

გამარჯვების დღე A2



"თქვენი აფხაზეთი" A5



თბილისი. საღამო. შარდენის 12 A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 10 მაისი, 2006 წელი. №101 (1253)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### წერილი, რომელიც კითხვებს არ პასუხობს

ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის წერილს, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მსოფლიოში, რუსეთიც გამოეხმაურა. ევროპული თუ აზიური ქვეყნების მსგავსად არც რუსეთი აფასებს ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის წერილს ჩიხიდან გამოსავლის პერსპექტივად.

A2

## სამართალი

### შაქრო კალაშოვს დუბაიში მისწვდნენ

დუბაიში დააკავეს რუსეთში მოქმედი ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი შაქრო კალაშოვი, რომელზეც ესპანეთის პოლიციას საერთაშორისო ძებნა ჰქონდა გამოცხადებული. შაქრო კალაშოვის დაკავების შესახებ ინფორმაცია ესპანეთის სამართალდამცველი უწყებების წარმომადგენლებმა გაავრცელეს.

A4

## რევიუ

### ენა, რომელიც იციან და ესმით

ლაშა ონიანის სპექტაკლში ჰამლეტს, ისე როგორც ყოველთვის, უამრავი პრობლემა აქვს, თუმცა, რეჟისორმა და ქორეოგრაფმა მას ცხოვრება ოდნავ მაინც შეუმსუბუქა. მიმოდრამის „ჰამლეტში", რომელიც ორი დღის წინ ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გათამაშდა, ოფელია არ ჩანდა.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 10/05 | 11/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | 28 |
| ტყიბული | 25 | 27 |
| სოხუმი | 22 | 25 |
| დმანისი | 22 | 25 |
| გორი | 24 | 25 |
| ონი | 18 | 23 |
| ზუგდიდი | 25 | 30 |
| ახმეტა | 26 | 28 |
| გაგრა | 22 | 23 |
| სამტრედია | 25 | 29 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8140 |
| ევრო | 2.3185 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3880 |
| რუბლი | 0.0670 |


ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
პროექტი A 5
რევიუ A 6
ტენდერი A 7
რევიუ A 8


# ეს ომი ქურდებმა არ უნდა მოიგონ!

ივანე მერაბიშვილი
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



უკანასკნელ ხანს პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციების თემამ მასმედიის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ოპოზიციამ შსს-ს მაშინვე დასდო ბრალი ზედმეტი ძალის გამოყენებაში. ჩვენი ზოგიერთი ოპონენტი იმასაც კი ამტკიცებს, თითქოს დამნაშავეთა ადგილზე ლიკვიდაცია სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყოს. მინდა, კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ დამნაშავეთა ლიკვიდაციას სამინისტრო განიხილავს, როგორც უკიდურეს ღონისძიებას, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც საფრთხე ემუქრება ადამიანთა, მათ შორის პოლიციის თანამშრომელთა სიცოცხლეს, და აღარ არსებობს საფრთხის თავიდან აცილების სხვა საშუალება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"

A8



# ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორია და რეალობა

### ისრაელის მაღალი რანგის დიპლომატი თბილისს სტუმრობს

თეა მაისურაძე

*გუშინ გამთენიისას თბილისს ოფიციალური ვიზიტით ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილე მარკ სოფერი ეწვია. ეს მისი პირველი ვიზიტია საქართველოში. მარკ სოფერი საქართველოში ხუთი დღე დარჩება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრა საქართველოს ხელისუფლების წამომადგენლებთან, ის ასევე ეწვევა ქუთაისსა და ბათუმს.*

სამშაბათს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდში გამართულ პრესკონფერენციაზე მარკ სოფერი ბევრ საინტერესო საკითხს შეეხო, მათ შორის საქართველო-ისრაელის ურთიერთობებს. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილემ ხაზი გაუსვა ებრაელთა და ქართველთა მრავალსაუკუნოვან მეგობრობას: **„მე ებრაელი ვარ და ვიცი, რომ ებრაელებს 2 600 წლიანი ისტორია აქვთ საქართველოში, ქვეყანაში, სადაც სიტყვა ანტისემიტიზმი არ არსებობს. საქართველო გახლავთ ის ნიშანსვეტი, რომელიც გამოირჩევა თავისი კეთილგანწყობითა და ტოლერანტობით ისრაელის მიმართ"** - აღნიშნა მარკ სოფერმა. მისი თქმით, ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრული დამოკიდებულება არის ის საწყისი, საიდანაც მათი ურთიერთობა იწყება.

მარკ სოფერის განცხადებით, პოლიტიკის სფეროში ისრაელსა და საქართველოს არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ, ხოლო რაც შეეხება ეკონომიკას, აქ გარკვეული ხარვეზები არსებობს. ამ ორი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის გარკვეული ასიმეტრიაა და მისი ვიზიტიც სწორედ ამ საკითხის მოგვარებას უკავშირდება, რადგან მიზნად ისახავს ეკონომიკური ურთიერთობების უფრო გაღრმავებას და მათ გათანაბრებას პოლიტიკურ ურთიერთობებთან. როგორც აღნიშნა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილემ, ისრაელს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები აქვს ევროპის ქვეყნებთან,

გაგრძელება A3 გვერდზე




# რუსეთი ალავერდის მოლოდინში

B

## "Правда не может быть "комсомольской"

### ქართული ღვინის მხარდასაჭერი ინტერნეტ-აქცია

დიანა ჩაჩუა

*გუშინ ინტერნეტის სხვადასხვა ფურცლებზე საკმაოდ საინტერესო სახელწოდების აქციას გადააწყდებოდით - "Правда не может быть "комсомольской". პლაკატი სათაურით - "დალიე ქართული ღვინო" უცნობმა ავტორებმა შექმნეს და ის რუსულ გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდაში" დაბეჭდილ მასალას ეხებოდა, რომელიც მოსახლეობას ქართულ ღვინოზე უარის თქმას მოუწოდებდა. "პატივი ეცი საკუთარ თავს და შენს სამშობლოს, ნუ წაიკითხავ "კომსომოლსკაია პრავდას" და ნუ გახდები მონა კრემლის მარიონეტების ჯინაზე..." - ნათქვამი იყო განცხადებაში, რომელიც 2006 წლის კალენდარსაც შეიცავდა. პლაკატის მოძიებას ინტერნეტში ნუღარ შეეცდებით, ერთი მარტივი მიზეზის გამო - ის, უბრალოდ, გაქრა ვირტუალური ფურცლებიდან. თვალსაჩინოებისთვის ვაქვეყნებთ აღნიშნულ პლაკატს, რომლის გადანახვა "24 საათმა" მოასწრო.*

**რუსული "იზვესტიას" კორესპონდენტმა თავად მოინახულა რუსულ ემბარგოგამოვლილი საქართველო და საკუთარი თვალით დარწმუნდა, რომ თბილისის, და არა მარტო დედაქალაქის, მაღაზიების დახლები "სწორედ რუსული პროდუქციითაა გადავსებული." "ამიტომაც, ძველი ქართული ტრადიციის - ალავერდის ამოქმედების შესაძლებლობა უსაფუძვლოდ არ უნდა ჩაითვალოს. საქართველოს პასუხის გაცემა ნამდვილად შეუძლია," - წერს რუსი ჟურნალისტი.**

## სახელმწიფო მინისტრის ვიზიტი ესტონეთის რესპუბლიკაში

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე სამუშაო ვიზიტით ესტონეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა.

გუშინ გიორგი ბარამიძემ ოფიციალური შეხვედრები გამართა ესტონეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარესთან ტომას ვარეკთან, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან თოივო ტოტსენთან, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან მარკო მეკპელსონთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ურმას პაეტსა და თავდაცვის მინისტრ იურგენ ლიგთან. გაიმართა ვახშამი ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო კანცელარიის ევროკავშირის საკითხების სამმართველოს უფროსის გერტ ანტსუს სახელით. შეხვედრებზე საუბარი შეეხო ქართულ-ესტონურ ორმხრივ ურთიერთობებს. ხაზი გაესვა საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით ესტონეთის მხარდაჭერის მნიშვნელობას.

საგულისხმოა, რომ ესტონეთის რესპუბლიკის საგარეო დახმარების ყველაზე დიდი წილი საქართველოზე მოდის და ის 36%-ს შეადგენს. წელს დაგეგმილია საქართველოში ესტონეთის რესპუბლიკის საელჩოს გახსნა.

სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრებზე ვრცლად ისაუბრა ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღწეული წარმატებების თაობაზე, ასევე ნატოში ინტეგრაციის ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) განხორციელების წარმატებით შესრულების შესახებ. გიორგი ბარამიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ნატოში გაწევრიანების საქმეში ესტონეთის მხარდაჭერის მნიშვნელობაზე, რომ ესტონეთმა გაგვიწიოს ლობირება ნატოს სხვა წევრ სახელმწიფოებთან და შემოდგომაზე გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) მივიღოთ.

შეხვედრებზე აღინიშნა, რომ ესტონეთი მზად არის საქართველოს ყველა დონეზე დაუჭიროს მხარი და ლობირება გაუწიოს საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხს.

რაც შეეხება ბოლო პერიოდში საქართველო-რუსეთს შორის განვითარებულ მოვლენებსა და რუსეთის მიერ ქართული პროდუქციის აკრძალვას, ესტონელებს კარგად ესმით ჩვენი. 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთი ამავე პოლიტიკას მათ მიმართაც აწარმოებდა, მაგრამ ამან ესტონეთს მხოლოდ კარგი შედეგი მოუტანა და მათი პროდუქცია სხვა ბაზარზე დამკვიდრდა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩვენც, მსგავსად ესტონეთისა, ჩვენი პროდუქციისთვის ახალ ბაზრებს მოვიპოვებთ. ამ საქმეში კი დიდი მნიშვნელობა ევროკავშირის პოზიციას ექნება. კერძოდ, სასურველია ევროკავშირსა და საქართველოს შორის იყოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რის თაობაზეც მოლაპარაკებები ევროპულ მხარესთან მიმდინარეობს.

## თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 92.0

**გადაცემა გადის რადიო „უცნობის" ეთერში ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე.**
**გადაცემას უძღვება ჟურნალისტი ეკა ხოფერია. სტუმრები არიან მსახიობი სოფიკო ჭიაურელი და დოკუმენტალისტი თომა ჩაგელიშვილი.**

**ეკა ხოფერია:** დღეს არის 61 წელი ფაშიზმზე გამარჯვებიდან. ისტორია, რომელიც თანამედროვეობას კინოფირებიდან შემორჩა, მივიწყებული გმირები და გაცოცხლებული კადრები,როგორ იქმნებოდა ომის ქრონიკები, რეალობა და შექმნილი მითები. ამ ყველაფერზე გადაცემის სტუმრები ისაუბრებენ.რა უნდა ვიცოდეთ 9 მაისის შესახებ? მოდით, მოვყვეთ ისეთი ისტორიები, ისეთი დეტალები, რაც საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი.

**სოფიკო ჭიაურელი:** მინდა მოვულოცო ეს დღე, არა მარტო ომის ვეტერანებს, არამედ ახალგაზრდებსაც, რომელთა ნაწილმა შეიძლება არც იცის, რომ ასეთი ომი იყო. სულ პატარა ვიყავი, ომი რომ დაიწყო. ამიტომ, ომის მსვლელობის დროს მომიწია სკოლაში შესვლა, ისეთი გაჭირვება იყო, რომ კარგად მახსოვს სკოლაში გვირიგებდნენ პავიდლოიან ფუნთუშას და რძის და კვერცხის ფხვნილს, რასაც ხელის ფულზე გვიყრიდნენ და ვლოკავდით.

პროცენტული რაოდენობით, ომში ძალიან ბევრი საქართველოს მოქალაქე დაიღუპა. მახსოვს, დედაჩემი სხვა მსახიობებთან ერთად დადიოდა სამხედრო ნაწილებში, სადაც კონცერტებს მართავდნენ. ანაზღაურების ნაცვლად "პაიოკს" აძლევდნენ. ერთ-ერთ კონცერტზე აჩუქეს ქათამი. მაისის დასაწყისი იყო, 21 მაისს ჩემი დაბადების დღეა და დედამ იფიქრა, ჩემი დაბადების დღისთვის წამოეზარდა ქათამი. უკრაინელი ქალები იყვნენ ჩამოსულები, ჩვენც გვყავდა ერთი უკრაინელი მოსამსახურე მარუსია. ქათამი ეზოში გაუშვეს და მარუსია უყურებდა. ერთხელ ხედავს, რომ ღობეზე გადმოძვრა პატარა ბიჭი და დასდევს ქათამს დასაჭერად. ერთი სიტყვით, ქათამი, რომელსაც დედაჩემი ჩემი დაბადების დღისთვის ინახავდა, პატარა ბიჭმა მოიპარა.

ასევე მახსოვს, რომ ერთ-ერთი კონცერტის დროს დედას აჩუქეს ამერიკული, შედედებული რძის კოლოფები. ამას ჩემი ძმის დაბადების დღისთვის ინახავდა. მოვიდა ჩემი ძმის დაბადების დღე, ნახა დედამ კოლოფი და ცარიელი იყო. ჩემ ძმას და მის მეგობრებს გაუხვრეტიათ კოლოფი და შეუჭამიათ.

მაშინ გერმანელებს ისე გვიხატავდნენ, რომ ადამიანი კი არა, ცხოველი მეგონა. უცბად, ჩვენს პარალელურ ქუჩაზე სახლის აშენება დაიწყეს, გვითხრეს, რომ სახლს აშენებენ გერმანელი ტყვეებიო. დაგვხვდნენ პირტიტველა, ცისფერთვალება, ოქროსფერთმიანი ბიჭები. მერე, ისე დავმეგობრდით, მახსოვს, პურს რომ მაძლევდნენ, ვიპარებოდი და იმათ ვაჭმევდი. ისინი გვიკეთებდნენ პლასტმასის ბეჭდებს, რომლებიც დიდხანს მქონდა შემორჩენილი.

ძალიან კარგად მახსოვს ომის დამთავრება. საოცარი გრძნობა იყო. ვიღაცამ იკივლა - ომი გათავდა, ომი. ფიქრის გორიდან გადმოვდექით და ვხედავდით, ხალხი სხვადასხვა მხრიდან მორბოდა, ერთმანეთს ეხვეოდა. ეს იყო სახალხო დღესასწაული.

**ე.ხ.** თომას თითო ფილმი არის განხილვის დიდი საგანი. ასევე იყო ფილმი „ქართველები და მეორე მსოფლიო ომი". რამ განაპირობა შენი ინტერესი?

**თომა ჩაგელიშვილი:** ქართველების ძირითადი ნაწილი, ვინც გერმანელების მხარეს იბრძოდა იყვნენ ყოფილი ტყვეები, რომლებიც ხვდებოდნენ ტყვეთა ბანაკებში და შემდეგ ხდებოდა მათი გადაბირება. მაგრამ, მათი იდეური სულისჩამდგმელები იყვნენ ის ემიგრანტები, რომლებიც 1921 წელს გაიქცნენ საფრანგეთში. ეს ადამიანები ორ კატეგორიად დავყავი: ერთნი იყვნენ, ადამიანები, რომლებიც ტყვეთა ბანაკებში იმდენად მძიმე პირობებში იყვნენ, რომ გერმანელების მხარეს გადავიდნენ, რათა თავი გადაერჩინათ და მეორენი - ან ემიგრანტები, ან ემიგრანტების შთამომავალნი, ან დაუძინებელი ანტი-კომუნისტები. ამ უკანასკნელთ მიაჩნდათ, რომ გერმანელების კავკასიაში შემოსვლის შემთხვევაში საქართველო გახდებოდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

**ე.ხ.** საერთო ჯამში, რამდენი ადამიანი იყო ტყვედ?

**თ.ჩ.** შალვა მაღლაკელიძე იყო რამდენიმე ქართული ლეგიონის ხელმძღვანელი. მისი მონაცემებით, დაახლოებით 50 ათასი ქართველი იბრძოდა გერმანელების მხარეს. ეს ლეგიონერები არ იბრძოდნენ მაინცდამაინც კავკასიაში. იყო „ბერგმანის სპეცდანიშნულების" ნაწილი, რომელშიც შედიოდნენ ქართველებიც. ამ სპეცდანიშნულების ნაწილმა მომზადება გაიარა ალპებში, რომლებიც სწორედ ქართულმა ემიგრაციამ, ემიგრაციის მეორე თაობამ მოამზადა.

თუმცა იყო 30 ათასი კაცისგან შემდგარი ჩვეულებრივი ლეგიონებიც, მაგრამ ამათ კავკასიაში ბრძოლები არ უწარმოებიათ. გერმანელები ბოლომდე არ ენდობოდნენ ტყვეთა ბატალიონებს და მათ წინა ხაზზე არ უშვებდნენ, რადგან იყო შემთხვევები, რომ ტყვეები როგორც კი წინა ხაზზე ხვდებოდნენ, მაშინვე გადმოდიოდნენ საბჭოთა მხარეს, მაგრამ ისეთებიც იყვნენ, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ.

თითქმის ყველა მათგანი დაბრუნდა საქართველოში. მათი თითქმის 90 პროცენტი 20-30 წლით გადაასახლეს. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც გერმანელების მხარეს იბრძოდნენ. მათ უმრავლეობას აქვს კომპლექსი, რომ ისინი სამშობლოს მოღალატეები არიან.

# გამარჯვების დღე

### საქართველოს პრეზიდენტი: რუსეთი და საქართველო - კეთილმეზობლობისთვის განწირულები

ნათია მსხილაძე

*ფაშიზმზე გამარჯვების 61-ე წლისთავი მიხეილ სააკაშვილმა ომის ვეტერანებს სამ - ქართულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე მიულოცა. პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ გამარჯვების დღე ომის ვეტერანებისთვის არასოდეს გაფერმკრთალდება და, ამავე დროს, ვეტერანები გაორმაგებულ პენსიას მიიღებენ.*



ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, ტრადიციისამებრ, პრეზიდენტმა სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად გამარჯვების პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკო. მილოცვის შემდეგ სააკაშვილმა საქართველო-რუსეთს შორის დაძაბულ ურთიერთობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ რუსეთთან საერთო ენის გამონახვას შეძლებს. სააკაშვილმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დაძაბვაში რუსეთის გარკვეული წრეები დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ეკონომიკური სანქციებით ეს ძალები მიზანს ვერ მიაღწევენ. **„ყველას ერთად შეგვიძლია საერთო ენის მოძებნა, მით უმეტეს, რუსეთთან. ჩვენ ერთად ვიბრძოდით ფაშიზმის წინააღმდეგ, გარდა ამისა, ადამიანური ურთიერთობებიც გვაკავშირებს. რუსეთი და საქართველო მეზობლები არიან და განწირულები ვართ კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის,"** - აცხადებს სააკაშვილი.

პრეზიდენტი გამარჯვების პარკში ომის ვეტერანებთან შეხვედრის შემდეგ, სამკურნალო ცენტრ „თბილისში" გაემგზავრა და ის ვეტერანები მოინახულა, რომლებიც ცენტრში მკურნალობას გადიან. **„წინა წლებში, ყველაზე დიდი პრობლემა სამედიცინო მკურნალობა იყო. ხელისუფლებამ ეს პრობლემა მოაგვარა და დღეს ვეტერანებს მკურნალობა უფასოდ შეუძლიათ. თქვენ გამოჯანმრთელდით, სახელმწიფო მოგივლით და ყველა ხარჯს დაფარავს,"** - ასე მიმართა პრეზიდენტმა მწოლიარე ვეტერანებს.

გუშინ ომის დაწყების პერიოდს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქიც იხსენებდა. პატრიარქის თქმით, მას კარგად ახსოვს როგორც ომის დაწყება, ისე დასასრული და იცის, როგორ იბრძოდნენ ქართველები ამ ომში. მან სამამულო ომში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი ლოცვა აღავლინა, ხოლო ცოცხლებს ტკბილეული, პასკა, წითელი კვერცხები და ღვინოც მიუტანა.

9 მაისის გამარჯვების დღე სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაშიც დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს .

ოს ვეტერანებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მისალოცი წერილი გაუგზავნა, რომელიც მათ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალ-მაიორმა მურატ კულახმეტოვმა გადასცა.

დღესასწაულთან დაკავშირებით თითოეულ მათგანს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჰუმანიტარული დახმარება: თითო ტომარა შაქარი და ფქვილი, ხუთ-ხუთი კილოგრამი ბრინჯი და წიწიბურა, 10 ქილა შესქელებული რძე, ხორცის კონსერვები და ზეთი გადასცა.

როგორც გავარკვიეთ, დღეისათვის სამხრეთ ოსეთში 200-მდე ვეტერანია.

## ერთი წელიწადი ჟანი კალანდაძის გარდაცვალებიდან

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

თქმულა: კარგი კაცი როცა კვდება, ქვეყანას უკვდებაო.

კაცის რაგვარობა ხშირად სწორედ წუთისოფლიდან წასვლის შემდეგ ხდება საცნაური. ზოგს ადვილად ივიწყებენ, ზოგიც მოურჩენელ იარად რჩება ცოცხლად დარჩენილთათვის. სწორედ ქვეყნისათვის მკვდარ კაცად აღიქვამს გურიის საზოგადოება ჟანი კალანდაძეს. ის აქ სულ რაღაც 1 წელი იღვწოდა.

ვარდების რევოლუციის შემდგომ გურია ელოდა ახალ ძალას, ფეხზე დადგომის იმედის გამღვიძებელს, გამფანტველს ნიჰილიზმისა, რომელიც ობივით ჰქონდა გამოკრული ადამიანების სულებს. თავიდან კი ემცხეთათ 24 წლის ბიჭი გუბერნატორის სავარძელში, მაგრამ განწყობა და დამოკიდებულება უმალ შეიცვალა, როცა ყმაწვილი კაცი, როგორც იტყვიან, საქმეში იხილეს.

- "მე უნდა ამოვიყვანო გურია უიმედობის ჭაობიდან", - ეს იყო მისი დევიზი.

იგი კარგად ხედავდა, რომ გურია სადღაც ძალიან უკან იყო ჩარჩენილი და ყველა მიმართულებით ბიძგს საჭიროებდა. ამიტომაც ყველაფერი ერთდროულად დაიწყო - ელექტროენერგია და გამრიცხველიანება, გზების შეკეთება, მეჩაიეობის ოპტიმიზაცია, ალტერნატიული კულტურების გაშენება, რაიონული ცენტრებისა და სოფლების მოწესრიგება, თეატრის აღორძინება, კინო-თეატრის რემონტი, სპორტული ბაზების კეთილმოწყობა; ფორსმაჟორიც (წყალდიდობა, დიდთოვლობა) გამოსცადა. არ დაბნეულა, ფხიზლად და გეგმიანად მოქმედებდა. ამ ახალგაზრდა კაცმა ბევრი რამ იცოდა. რაც არ იცოდა, მცოდნეს ეკითხებოდა, დიდთან და პატარასთან საერთო ენის გამონახვა არ უჭირდა. უფროსებს ყურადღებით და დიდსულოვნად უსმენდა, უმცროსებთან ერთად თამაშობდა ფეხბურთსა და კალათბურთს. ამას ჟესტის გამო არ აკეთებდა.

ახლა, როცა ჟანი კალანდაძის გარდაცვალებიდან ერთი წელიწადი შესრულდა, უფრო მძაფრად იგრძნობა მისი არყოფნა. ყველა, ვინც მას იცნობდა, დარწმუნებულია, ცოცხალი რომ ყოფილიყო, გურია წინ იქნებოდა.

სამწუხაროდ, ბრმა შემთხვევამ დაუსვა წერტილი ყველაფერს, თუმცა - ყველაფერს არა, ადრე წასულ კაცს ერთ სიცოცხლედ მხოლოდ ის სიყვარული ეყოფოდა, რაც ჟანი კალანდაძემ გურიაში დატოვა; ის ცრემლი ეყოფოდა, მხოლოდ გურიაში რომ დაიღვარა. გუშინ გურიის ეკლესია-მონასტრებში ბევრი სანთელი დაინთო მის სახელზე.




## მოკლედ

### წერილი, რომელიც კითხვებს არ პასუხობს

ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის წერილს, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მსოფლიოში, რუსეთიც გამოეხმაურა. ევროპული თუ აზიური ქვეყნების მსგავსად არც რუსეთი აფასებს ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის წერილს ჩიხიდან გამოსავლის პერსპექტივად. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის თქმით, პრეზიდენტ ბუშისთვის მიწერილი წერილი ირანთან დაკავშირებით არსებულ არც ერთ კითხვას არ პასუხობდა. რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და ჩინეთის საგარეო უწყებების მეთაურთა შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ეს წერილი არც განხილულა შეხვედრაზე.

**„შეხვედრაზე ამ წერილზე აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა გვიამბო, მაგრამ როგორც მისი ნათქვამიდან მივხვდით, ეს წერილი არაფრისმთქმელი იყო და არც ერთ კითხვას არ პასუხობდა,"** - აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

შეხვედრაზე ასევე არაფერი თქმულა ირანის წინააღმდეგ სანქციებზე. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, მოლაპარაკებებში ჩართულ მხარეებს კარგად ესმით ვითარების სირთულე, რომელიც პოლიტიკურ და დიპლომატიურ დონეზე მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს.

**„ჩვენ ველით, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭო შეძლებს მისაღები ვარიანტის შემუშავებას, რაც პრობლემას მოაგვარებს. რაც შეეხება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური მდივნის ანგარიშს, ვფიქრობთ, რომ იგი მკაფიოდ მოსთხოვს ირანს საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნებზე აუცილებელ პასუხებს. ირანს პრობლემის აღმოფხვრის აუცილებლობას უკვე შექმნილი მდგომარეობაც კარნახობს,"** - განაცხადა სერგეი ლავროვმა.

### ცრემლით სავსე სიხარულის დღე რუსეთში

რუსეთის 2500 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების დღე აღლუმითა და სამგლოვიარო მიტინგებით აღინიშნა. დღესასწაული ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ვლადივოსტოკში, პეტროპავლოვსკამჩატკაში, ხაბაროვსკში, კრასნოიარსკში ჩატარდა. სამხედრო აღლუმის გარდა, ამავე ქალაქებსა და რეგიონის დასახლებულ პუნქტებში საზოგადოებამ პატივი მიაგო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულებს და მათი ძეგლები ყვავილებით შეამკო. გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ძირითადი ღონისძიებები დღეს, მოსკოვში გაიმართა. მოსკოვის დროით 10 საათზე, სამხედრო აღლუმი სამხედრო ტექნიკის გარეშე წითელ მოედანზე გაიმართა.

სახალხო ზეიმი და თეატრალური წარმოდგენები მოსკოვში პუშკინის მოედნიდან ლიუბიანსკის მოედანამდე გაიმართა. მოსკოვის თავზე ცივი ატმოსფერული ფრონტისა და ღრუბლების გასაფანტად 11 სპეციალური აღჭურვილობის მქონე თვითმფრინავმა იმუშავა. ღრუბლების გაფანტვის შედეგად წვიმა არა მოსკოვში, არამედ მოკოვის ოლქის სამხრეთ-დასავლეთში იქნება.

დღესასწაულის უსაფრთხოებას 15 ათასი მილიციელი, სამხედრო მოსამსახურე და შინაგანი ჯარების წარმომადგენლები დაიცავენ. „დღის ბოლოს, გამარჯვების დღესასწავლის აღსანიშნავად გმირ-ქალაქებში და რუსეთის სხვა ქალაქებში სადღესასწავლო სალიუტებს გაისვრიან. რუსეთის ხელისუფლება ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას ცდილობს. დღესასწაულამდე, ხელისუფლებამ გმირი-ქალაქების გარდა „სამხედრო დიდების ქალაქის" წოდება დააწესა. **ინტერპრესნიუსი**

### დიკ ჩეინის განცხადებით, აშშ და რუსეთი აუცილებლად დამეგობრდებიან

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის განცხადებით, აშშ და რუსეთი აუცილებლად დამეგობრდებიან.

„ცივი ომი და გარდაქმნასთან დაკავშირებული კონფუზი ვერ შეუშლის ხელს რუსეთისა და აშშ-ის მეგობრობას",- განაცხადა დიკ ჩეინიმ.

2006 წლის ზაფხულში, პეტერბურგში დაგეგმილი „დიდი რვიანის" სამიტისგან ჩეინი პოლიტიკური თვალსაზრისით „მხოლოდ პოზიტივს", ანუ „ლიდერებს შორის თავისუფალ და ღია აზრთა გაცვლა-გამოცვლას ელის". „იმედი გვაქვს, რუსეთი თავის მომავალს აშშ-სთან პარტნიორობაში, საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებისას (მათ შორის მეზობლებთან ურთიერთობაში) დემოკრატიის მხარაჭერაში და დემოკრატიული პრაქტიკის განხორციელებაში ხედავს", - აღნიშნავს დიკ ჩეინი, რომელიც სამიტის მონაწილეებს მოუწოდებს არ შეუშინდნენ „დემოკრატიის დასავლელ კორიფეებს და ღიად და თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები".

„არავის აქვს სურვილი რუსეთში მტერი დაინახოს, მაგრამ იმის გამო რომ, რუსეთში რეფორმების მოწინააღმდეგეებს 1990-იან წლებში მიღწეული დემოკრატიული ცვლილებების ლიკვიდირება სურთ, რუსეთის დემოკრატიული მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია", - დასძინა დიკ ჩეინიმ. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი




# ეს ომი ქურდებმა არ უნდა მოიგონ!

პირველი გვერდიდან

2005 წელს პოლიციამ დააკავა 11 ათასზე მეტი ადამიანი. აქედან, მხოლოდ 15 შემთხვევაში პოლიციას მოუწია სასიკვდილო ძალის გამოყენება. სამწუხაროდ, შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა. მათგან 3 ეჭვმიტანილი იყო პოლიციელების მკვლელობაში, 2 გაქცეული იყო ციხიდან, 6 ნასამართლევი იყო 3-ჯერ და მეტად, 4 - ორჯერ. ყველა შემთხვევაში პოლიციის წინააღმდეგ გამოყენებული იყო იარაღი. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის დროს დაღუპულიყოს ან დაშავებულიყოს შემთხვევითი გამვლელი. ეს ნათლად მეტყველებს პოლიციელების პროფესიონალიზმზე.

21 ლიკვიდაცია ერთი წლის მანძილზე. ბევრია თუ ცოტა?

ჩვენ არ გვაქვს სანდო მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანის ლიკვიდაცია ხდებოდა ქართველი ძალოვანების მიერ წარსულში. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ციფრი უფრო ნაკლები იყო. და ეს ადვილად აიხსნება: სერიოზული კრიმინალი არ გაუხსნიდა ცეცხლს და არ შეაკლავდა თავს პოლიციას, მაშინ როდესაც კარგად იცოდა, რომ პოლიციიდან თავის დაღწევა ბევრად უფრო უსაფრთხოდ შეიძლებოდა დიდი ქრთამის გადახდის ან პოლიციის მაღალჩინოსნებთან კავშირების გამოყენების საშუალებით (და, სამწუხაროდ, არც პოლიცილი გამოიდებდა თავს შეიარაღებულ კრიმინალთან დაპირისპირებით). ხოლო თუ ციხეში წასვლა მაინც მოუწევდა, იქაც საკურორტო პირობებში იქნებოდა. დღეს ყველა კრიმინალმა იცის, რომ ვერც ქრთამი და ვერც ნაცნობობა ვერ უშველის, ხოლო ციხეში იქნება რიგითი პატიმრის და არა ბატონ-პატრონის მდგომარეობაში.

სამაგიეროდ, წინა წლებში ბევრი იყო წინასწარი დაკავების საკნებში „თვითმკვლელობის“ შემთხვევები. რატომღაც, პატიმრები მასობრივად „ხტებოდნენ“ პოლიციის შენობების მაღალი სართულებიდან. ის ადამიანები, რომლებიც ფულს ვერ იხდიდნენ, უსასტიკესი წამების მსხვერპლი ხდებოდნენ, რასაც ხშირად მათი სიკვდილი მოსდევდა. ეს პრაქტიკა საბოლოოდ დასრულდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში წინასწარი დაკავების საკნებში არათუ „თვითმკვლელობა“, წამების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. სამინისტრო ძალზე ფხიზლად ადევნებს თვალს ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებულ მდგომარეობას როგორც წინასწარი დაკავების საკნებში, ისე პოლიციის განყოფილებებში. ყველამ, ვინც ჩვენ ზედმეტ სისასტიკეში გვადანაშაულებს, პირველ რიგში ეს უნდა გაითვალისწინოს.

ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ჩვენ 150-ზე მეტი პოლიციელი დავიჭირეთ სხვადასხვა დანაშაულის, მათ შორის ადამიანის უფლებათა დარღვევისა და კორუფციის გამო. ეს უფრო მეტია, ვიდრე მთელი წინა ათი წლის განმავლობაში ერთად აღებული.

ბოლო წლების მანძილზე არ მომხდარა არც ფარული ლიკვიდაციები, რაც გავრცელებული მოვლენა იყო ახლო წარსულში. ყველა სპეცოპერაციის შესახებ სამინისტრო თავად ავრცელებს ინფორმაციას. ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს.

რაც შეეხება უცხოეთის ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან შედარებას: საქართველოში პოლიციელების ხელით დაღუპულთა რიცხვი ყოველ ასი ათას მოსახლეზე 0,46-ს შეადგენს (21 დაღუპული 4,6 მილიონ მოსახლეობაში), საოცარია, მაგრამ აშშ დედაქალაქში, ვაშინგტონში იგივე მაჩვენებელი 1,53-ია, ანუ სამჯერ უფრო მაღალი, ვიდრე საქართველოში. ჩვენთან რომ იგივე პროპორცია იყოს, როგორც ვაშინგტონშია, გასულ წელს ჩვენ გვეყოლებოდა 70 ლიკვიდირებული და არა 21. ლოს-ანჟელესში, სადაც 3,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, წელიწადში პოლიცია საშუალოდ 19 ადამიანის ლიკვიდაციას ახდენს. ჰიუსტონში, პოლიციელის ხელით პროპორციულად უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე საქართველოში.

2005 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 16 პოლიციელი დაიღუპა, მათგან 6 - კრიმინალების ხელით. სამი პოლიციელი გორში მომხდარ ტერაქტს შეეწირა, ერთი - ქურთაში ოსი ბანდიტების ხელით დაიღუპა, ზურაბ ქვლივიძე არუთინიანის მსხვერპლი გახდა, დავით კვანტალიანი კი ყაჩაღებმა მაშინ ჩაცხრილეს, როდესაც თავის უბანში პატრულირებას ახორციელებდა. პატრული გურამ თოფჩიშვილი მაშინ დაიღუპა, როდესაც ქობულეთში ზღვაში ბავშვის გადარჩენას ცდილობდა.

ის რეფორმები, რომლებიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პოლიციაში გატარდა, სამაგალითოდ გამოადგებოდა ბევრ ქვეყანას. პოლიციის რეფორმის მიზანი მარტო ის არ არის, რომ გზაზე პატრული ფულს აღარ იღებს, არამედ პირველ რიგში ის, რომ უფრო ეფექტურად ვებრძოლოთ კრიმინალს. დღეს, ამ ბრძოლაში გადამწყვეტი ეტაპია. ან პოლიცია შეძლებს და საბოლოოდ დაამარცხებს კანონიერ ქურდებსა და ზოგადად ქურდულ აზროვნებას, ან კიდევ ათწლეულების მანძილზე ჩვენს შვილებს ონიანების, კალაშოვების, გლეხოვიჩებისა და წრიპების მიერ დადგენილი წესებით მოუწევთ ცხოვრება.

თუ ჩვენ შევძელით და ქურდული სამყარო საბოლოოდ წელში გავტეხეთ, თუ ყველა დამნაშავე მიხვდა, რომ პოლიციელს ცეცხლის გახსნით ვერ შეაშინებ, ვერც მოქრთამავ და ვერც გავლენიანი ნაცნობების საშუალებით დააღწევ თავს, მაშინ ვიტყვით, რომ კრიმინალთან ბრძოლაში გამარჯვებას მივაღწიეთ. პოლიციისა და დამნაშავეების ბრძოლა მხოლოდ დამნაშავეთა სამყაროს უკან დახევით შეიძლება დასრულდეს. ჩვენ უკან არ დავიხევთ, რადგან ჩვენს უკან ჩვენი და ჩვენი შვილების უსაფრთხოება და კეთილდღეობა დგას.

# ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორია და რეალობა

პირველი გვერდიდან

მაგალითად პოლონეთთან, ჩეხეთთან და ა.შ, სადაც ისრაელის ინვესტიციები 7 მილიარდ დოლარს აღწევს. ისრაელის ხელისუფლება მოხარული იქნება, თუ ამ თანხის ნახევრის ან თუნდაც მასზე მეტის ინვესტირება მოხდება საქართველოში: **„ჩვენ გარკვეული იმედები გვაქვს საქართველოს ეკონომიკასთან დაკავშირებით და ნდობით ვართ აღჭურვილი მის მიმართ. . . ჩვენი ამოცანაა საქართველოში საინვესტიციო გარემო უფრო მიმზიდველი გავხადოთ. სწორედ ეს არის თბილისში ჩემი ყოფნის მთავარი მიზანი,**“ - აღნიშნა მარკ სოფერმა. ისრაელის მიზანია გაზარდოს სავაჭრო ბრუნვა საქართველოსთან, მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ბრუნვა ისრაელსა და საქართველოს შორის ბოლო ერთი წლის განმავლობაში 35%-ით გაიზარდა, რაც დაახლოებით 12 მილიონს შეადგენს, ეს მაჩვენებელი მაინც საკმაოდ დაბალია და მომავალში უფრო უნდა გაიზარდოს. ამავდროულად ისრაელი შეეცდება საქართველოში ბიზნესკლიმატი უფრო მიმზიდველი გახადოს და გაზარდოს აქ ინვესტიციები. ეს უკანასკნელი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პირობებს შესთავაზებს საქართველო ებრაელ ინვესტორებს: „ერთადერთი მიზეზი იმის, თუ რატომ არ შემოდის საქართველოში ებრაული ინვესტიცია, არის ის, რომ ისრაელი ადგილობრივ საინვესტიციო გარემოს და პირობებს არ იცნობს“- აღნიშნა ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენელმა. მისივე თქმით, არ იქნება სწორი, რომ ყურადღება მხოლოდ ერთ რომელიმე სფეროზე გავამახვილოთ. ყველა სფერო უნდა იყოს ღია და შეღწევადი. საქართველოს მთავრობამ კარგად იცის, თუ როგორ წარმოადგინოს ის პრიორიტეტები, სადაც პირველ რიგში სჭირდება ინვესტიცია.

მარკ სოფერი სოფლის მეურნეობის საკითხებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ისრაელს არ აქვს პრობლემები ქართულ ღვინოსთან, მინერალურ წყლებთან და მათ იმპორტთან დაკავშირებით. ამ პროდუქციისათვის ისრაელის ბაზარი ღიაა. ისრაელის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მის ქვეყანას საკმაოდ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია საქართველოსთან ერთად სოფლის მეურნეობის სფეროში, თუმცა მან აღნიშნა, რომ საქართველო მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე არ უნდა შეჩერდეს და ყურადღება უნდა გაამახვილოს მაღალ ტექნოლოგიებზეც. ებრაელმა პოლიტიკოსმა მაგალითისათვის თავისი ქვეყანა მოიყვანა და აღნიშნა, რომ ისრაელს საკმაოდ კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა აქვს, თუმცა ის ქვეყნის ეკონომიკის მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენს, დარჩენილი 80 პროცენტი კი ტექნოლოგიაზე მოდის. ისრაელი, ინდოეთთან ერთად, პირველი ქვეყანაა მსოფლიოში კომპიუტერული ტექნოლოგიებით.

საქართველო-ისრაელს შორის ურთიერთობებზე საუბრისას მარკ სოფერმა განაცხადა, რომ ისრაელი შეეცდება საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივებას. როგორც ცნობილია, საქართველომ გააუქმა სავიზო რეჟიმი იმ ებრაელებისათვის, ვისაც სურს ამ ქვეყანაში ჩამოსვლა, შესაბამისად ისრაელიც ეცდება ყოველგვარი საშუალება გამონახოს მსგავსი ნაბიჯების გადასადგმელად.

რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთში შექმნილ სიტუაციას, ისრაელელი დიპლომატის განცხადებით, აქ მდგომარეობა საკმაოდ მგრძნობიარეა. პალესტინის ხელისუფლებაში ექსტრემისტული დაჯგუფება „ჰამასი“ მოვიდა, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს ბევრ ტერორისტულ აქტზე და იმ სიძულვილზე, რომელიც ამ რეგიონში მძვინვარებს. ეს ის ძალაა, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს არ აღიარებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ „ჰამასი“ მარტო არაა და ის მხარდაჭერას იღებს ისეთი აგრესიული ქვეყნიდან, როგორიც არის ირანი. მარკ სოფერის თქმით: **„ირანს სათავეში უდგა ფსიქიურად შეშლილი, ფსიქოპატი ანტისემიტი, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს განადგურებას ისახავს მიზნად**“.

ისრაელის სახელმწიფოს წარმომადგენლის განცხადებით, ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი ხელს უწყობს ტერორიზმის გაძლიერებას ახლო აღმოსავლეთში და მთელს მსოფლიოში. ის ყველაფერს აკეთებს ატომური პოტენციალის შესაქმნელად, რაც შემდგომ მას თავისი მიზნების განხორციელებაში დაეხმარება. ისრაელი მზადაა პალესტინასთან სამშვიდობო მოლაპარაკებები აწარმოოს და გარკვეულ პროგრესს მიაღწიოს ამ საკითხში: „ჩვენ მოთმინებით დაველოდებით იმ დროს, როცა პალესტინის ხელისუფლებაში მოვა მთავრობა, ვისთანაც შესაძლებელი იქნება მოლაპარაკებების წარმოება, ხოლო თუ ჩვენ სამშვიდობო მოლაპარაკებებში პალესტინელთა სახით პარტნიორი არ გვეყოლება, მაშინ მოგვიწევს ცალმხრივი ნაბიჯები გადავდგათ“.

რაც შეეხება ირანის ბირთვული პროგრამის საკითხს, რომელიც დღეს ძალზედ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს და მსოფლიო პრობლემაა, მარკ სოფერმა აღნიშნა, რომ უნდა იქნეს გამოყენებული ყველა შესაძლებლობა დაძაბულობის განსამუხტავად, რადგან არ მოხდეს სამხედრო დაპირისპირება დასავლეთსა და თეირანს შორის. ირანის ბირთვული პოტენციალი სახიფათოა არა მარტო ისრაელისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. ირანის ურანით გამდიდრების პროგრამას მთელი ცივილიზებული სამყარო ეწინააღმდეგება. თუმცა ისრაელის მდგომარეობა ამ მხრივ მაინც მძიმეა, რადგან ის ერთადერთი ქვეყანაა, ვისაც ირანი საჯაროდ ემუქრება განადგურებით. რა თქმა უნდა ეს ისრაელისათვის სერიოზული საფრთხეა, თუმცა არა დაუძლეველი: „ისრაელი ძლიერი ქვეყანაა და მან კარგად იცის, თუ როგორ დაიცვას საკუთარი თავი მტრებისაგან“- აღნიშნა მარკ სოფერმა.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ უძველესი სპარსული ცივილიზაცია, რომელიც საუკუნეთა მანძილზე არსებობდა და დღემდე მოაღწია, ფსიქოპატის ხელშია: „მე იმედს ვიტოვებ, რომ ირანელი ხალხი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ისლამური რესპუბლიკის სათავეში სხვა ლიდერი მივიდეს“.

## პროკურორის საქმეს ომბუდსმენი აკონტროლებს

*სახალხო დამცველის აპარატმა კონტროლზე აიყვანა იმერეთის სამხარეო პროკურატურის პროკურორის მალხაზ აბულაძისა და ამავე რეგიონის იმ პოლიციელების საქმე, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ, მოქალაქეები უმოწყალოდ სცემეს. საუბარია ქუთაისში მომხდარ ინციდენტზე, რომლის შედეგადაც, პროკურორისგან სასტიკად ნაცემი ახალგაზრდა, 24 წლის ავთანდილ ენუქიძე იმერეთის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში მოხვდა. მძიმე დაზიანებებით ის დღემდე სტაციონარში იმყოფება. პროკურორის მიერ ჩადენილი დანაშაულის გახმაურების დღესვე გენერალურმა ინსპექციამ მალხაზ აბულაძეს სამსახურეობრივი უფლებამოსილება შეუჩერა. ამ ფაქტზე გამოძიებას ქუთაისის რაიონული პროკურატურა აწარმოებს.*

ომბუდსმენის აპარატის წევრებმა პროკურორისგან დაზარალებული საავადმყოფოში მოინახულეს და მომხდარის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

ავთანდილ ენუქიძის მონათხრობის მიხედვით, 4 მაისს, მან მეგობრებთან ერთად, რესტორანში ისადილა. გამოვიდა რესტორნიდან და ტაქსით სახლში წასვლას აპირებდა. გზაში ერთ-ერთი მეგობრის ნაცნობი შეხვდა, რომელმაც მანქანით წაყვანა შესთავაზა. ავთანდილ ენუქიძე მეგობრებთან ერთად ავტომანქანაში ჩაჯდა.

**„საჭესთან მჯდომი ავტომანქანას გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა. მე მას ვთხოვე, სიჩქარისთვის მოეკლო. შელაპარაკება მომივიდა, გაჩერება ვთხოვე და მანქანიდან გადმოვედი. სახლისკენ გზა ფეხით განვაგრძე. დაახლოებით 5 წუთის შემდეგ, მანქანა დამეწია და დამეჯახა. მძღოლი მანქანიდან გადმოვიდა და სახეში დამარტყა. ხელი არ შემიბრუნებია და გზა განვაგრძე. მანქანა კიდევ ერთხელ, მსუბუქად დამეჯახა, მძღოლი გადმოვიდა და მიწაზე დაცემულს ცემა დამიწყო. მე გონება დავკარგე. როგორც შემდეგ გავიგე, ჩემი ცემის თვითმხილველი ბევრი მოწმე არსებობს“**

ასე გაიხსენა მომხდარი ინციდენტი ავთანდილ ენუქიძემ. დაზარალებულის განმარტებითვე, მან მძღოლის სახელი და გვარი არ იცოდა და მოგვიანებით შეიტყო, რომ ის რეგიონის პროკურორი იყო.

იმერეთის რეგიონში სახალხო დამცველის წარმომადგენლები სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში სხვა დაზარალებულებსაც შეხვდნენ. მათ მამა-შვილი შალვა და დავით ჟორჟოლიანები მოინახულეს.

დავით ჟორჟოლიანის ინფორმაციით, 2006 წლის 22 აპრილს მასთან სახლში მივიდნენ შს ფარცხანაყანების ქვეგანყოფილების თანამშრომლები და ის და მისი ძმა, გურამ ჟორჟოლიანი, პოლიციის ქვეგანყოფილებაში წაიყვანეს. როგორც ადგილზე გაირკვა, მათ შემდეგ შემდუღებელი აპარატის ქურდობას ედავებოდნენ. ჟორჟოლიანები ცალ-ცალკე ოთახებში შეიყვანეს და გაჩხრიკეს. დავით ჟორჟოლიანი ირწმუნება, რომ პოლიციის თანამშრომელმა მას ჯიბეში „მარიხუანა“ ჩაუდო და ნარკოტიკული ნივთიერების შენახვისთვის გასამართლებით დაემუქრა. ერთ-ერთმა პოლიციელმა კი თავში იარაღის ტარი ჩაარტყა.

მოგვიანებით, პოლიციის განყოფილებაში ჟორჟოლიანების მამა - შალვა ჟორჟოლიანიც მიიყვანეს. გარკვეული დროის შემდეგ, პოლიციის თანამშრომლებმა ძმებს განუცხადეს, რომ შალვა ჟორჟოლიანი თავს ცუდად გრძნობდა და სამივე პოლიციის მანქანით სახლში წაიყვანეს.

როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, ჟორჟოლიანების დაკავება პოლიციის განყოფილებაში ოფიციალურად არ დაუფიქსირებიათ. არ შემდგარა დაკავების ოქმი. რაც ყველაზე მთავარია, პოლიციელები შალვა ჟორჟოლიანის ცემის ფაქტს უარყოფენ.

ავთანდილ ენუქიძის მსგავსად, შალვა ჟორჟოლიანი კლინიკურ საავადმყოფოში დღემდე მკურნალობს. ექიმების დასკვნის თანახმად, მიღებული ტრავმებისგან მას ტვინის შერყევა და გაჟონვა განუვითარდა. ჟორჟოლიანი კომპიუტერულ ტომოგრამას საჭიროებს, რისი თანხებიც ოჯახს არ გააჩნია.

*24 საათი*

## შაქრო კალაშოვს დუბაიში მისწვდნენ

დუბაიში დააკავეს რუსეთში მოქმედი ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი შაქრო კალაშოვი, რომელზეც ესპანეთის პოლიციას საერთაშორისო ძებნა ჰქონდა გამოცხადებული. შაქრო კალაშოვის დაკავების შესახებ ინფორმაცია ესპანეთის სამართალდამცველი უწყებების წარმომადგენლებმა გაავრცელეს. ესპანეთის ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, თბილისელი შაქრო კალაშოვი ინტერპოლმა დუბაიში გამართულ „კანონიერ ქურდთა“ შეკრებაზე, ე.წ. „სხოდკაზე“ დააკავა. შეკრებაზე იმყოფებოდნენ რუსეთის კრიმინალური სამყაროს სხვა წარმომადგენლებიც.

ესპანელ სამართალდამცველთა განცხადებით, კალაშოვმა ესპანეთი 2005 წელს დატოვა - მას შემდეგ, რაც ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების წინააღმდეგ რუსეთში ფართომასშტაბიანი ოპერაცია ჩატარდა. ორგანიზაციის წევრები, მათ შორის შაქრო კალაშოვი, ეჭვმიტანილი იყო ესპანეთში ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნაში, რომელიც ფულის გათეთრებაზე მუშაობდა. ესპანეთში ჩატარებული სპეცოპერაციისას რუსეთის კრიმინალური დაჯგუფების 10-ზე მეტი წარმომადგენელი დააკავეს, გაიყინა 80-ზე მეტი საბანკო ანგარიში და დაყადაღდა დაკავებულ კრიმინალთა საკუთრებაში არსებული ფეშენებლური ვილები და ავტომობილები. თუმცა, მაშინ შაქრო კალაშოვი ესპანელ სამართალდამცველებს ხელიდან დაუსხლტდა.

ესპანელ სამართალდამცველთა მიერ დაგეგმილ ოპერაციაში, სახელწოდებით „კრაზანა“, სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებიც მონაწილეობდნენ. სპეცოპერაციის მიზანი იყო ესპანეთში რუსეთიდან გასათეთრებლად შესული შავი ფულის ამოღება.

თავიდანვე ვარაუდობდნენ, რომ მსხვილ მაფიოზურ ქსელში ქართველებსაც ეჭირათ მნიშვნელოვანი ადგილი. „კრაზანას ქსელში“ მოყოლილ ვროპელ და რუს მაფიოზთა გვერდით, რომლებიც შავი ფულის გათეთრებაზე მუშაობდნენ, ქართულმა გვარებმაც გაიელვა. უცხოელმა სამართალდამცველებმა ქართველ კოლეგებს გამოუგზავნეს კიდეც ექვსი კაცის სია და მათ იდენტიფიკაციაში დახმარება სთხოვეს. აღმოჩნდა, რომ ისინი საქართველოდან კარგა ხნის წინ იყვნენ წასულები და გარკვეულ პერიოდში მოსკოვში საქმიანობდნენ და 90-ანი წლების დასაწყისში იარაღის კონტრაბანდაშიც იყვნენ ჩართულები. ესპანელ სამართალდამცველებს შაქრო კალაშოვის შესახებ ინფორმაცია ქართულმა მხარემ მიაწოდა.

გუშინწინ, საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ქართველ „კანონიერ ქურდებთან“ დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, ქართველი „კანონიერი ქურდები“ მსოფლიოს თავის ტკივილს წარმოადგენენ.

**„იმაში, რომ „ქართველი ქურდებით“ შეწუხებულები არიან ჩვენი კოლეგები, ვენაში ვიზიტისას დავრწმუნდი. „გლეხოვიჩი“ ვენის პოლიციის თავის ტკივილია; რუსეთის შს მინისტრმა ჩემთან შეხვედრისას კალაშოვზე საუბარს 15 წუთი დაუთმო, ხოლო ესპანეთის შს მინისტრი რამდენიმე წუთი მესაუბრა ტარიელ ონიანზე, რაც იმის დასტურია, რომ ქართული მაფია არაფრით ჩამოუვარდებოდა იტალიურ ან ამერიკულ მაფიას,“** - განაცხადა მერაბიშვილმა და დასძინა, რომ შსს- მ ამ მაფიას სერიოზული დარტყმა მიაყენა და მაფიოზები საქართველოში ჩამოსვლას ვეღარ ბედავენ.

## ინციდენტი პოლიციელებს შორის

გუშინწინ, ღამით, თბილისის მეცხრე საავადმყოფოში გულმკერდისა და მუცლის არეში დაჭრილი პოლიციელი ნიკა აღნიაშვილი მიიყვანეს. სასწრაფო ოპერაცია მას რამდენიმე საათის განმავლობაში უტარდებოდა.

**„შემთხვევა ერთ-ერთი პოლიციელის დაუდევრობის გამო მოხდა. კერძოდ, მას იარაღი შემთხვევით გაუვარდა და თავისი კოლეგა დაჭრა,“** - ასეთ კომენტარებს აკეთებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. თუმცა, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა შოთა ხიზანიშვილმა არც ინციდენტში მონაწილე პოლიციელების ვინაობა დაასახელა და არც შემთხვევის ადგილი. ვინ, სად და რატომ დაჭრა ნიკა აღნიაშვილი, ამის თაობაზე ინფორმაციის გაცემისგან თავს იკავებდნენ დაჭრილი პოლიციელის ნათესავებიც.

მომხდართან დაკავშირებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლიციელი კოლეგამ ერთ-ერთი სპეცოპერაციისას დაჭრა. გავრცელებული ხმებით, სპეცოპერაცია 7 მაისს კაფე „დელმარიში“ მომხდარი ინციდენტის გამო (რომლის დროსაც 24 წლის ირაკლი გოგიშვილი დაიჭრა) ძებნილის ჯუანშერ ზალდასტანიშვილის დასაკავებლად ტარდებოდა. გავრცელებული ინფორმაციითვე, პოლიციელები ზალდასტანიშვილის სახლში ერთდროულად ორი კარიდან შევიდნენ და სროლა დაიწყეს, რა დროსაც ნიკა აღნიაშვილი დაიჭრა. დაჭრილი პოლიციელი კოლეგებმა სასწრაფოდ გაიყვანეს სახლიდან და თვითონაც გაუჩინარდნენ. ამ ინფორმაციას სამართალდამცველები თავდაპირველად უარყოფდნენ, თუმცა, მოგვიანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურად მაინც მოუწია გავრცელებული ინფორმაციის დადასტურება.

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, გასროლა მართლაც ცხვედაძის ქუჩაზე მდებარე იმ ეჭვმიტანილს სახლში მოხდა, რომელიც სამართალდამცველებს თავისი ნებით ჩაბარდა. ოფიციალური ინფორმაციითვე, სახლში არავითარი სპეცოპერაცია არ ჩატარებულა და პოლიცია ეჭვმიტანილის სახლის ჩხრეკას გეგმავდა, რა დროსაც ინციდენტი მოხდა - პოლიციელ გელა ბედოიძეს იარაღი გაუვარდა.

**„იმ პოლიციელის ქმედებას, რომელსაც იარაღი შემთხვევით გაუვარდა და მისი თანამშრომელი დაჭრა, სამართლებრივი შეფასება მიეცემა,“** - აცხადებს შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

პოლიციისვე ინფორმაციით, ირაკლი გოგიშვილის მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილმა ზალდასტანიშვილმა პოლიციასთან თანამშრომლობის სურვილი თავად გამოთქვა, რადგან მიიჩნევს, რომ არაფერში დამნაშავე არ არის და შეუძლია, გამოძიებას ობიექტურობის დადგენაში დაეხმაროს. ჯუანშერ ზალდასტანიშვილი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება და კაფე „დელმარში“ მომხდარის შესახებ გამოძიებას ჩვენებებს აძლევს, თუმცა იგი დანაშაულში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს.

*24 საათი*

## პატრულის ბოდიში საკმარისი არ არის

*„მადლობა პატრულს“, - სტუდია „რეპორტიორის“ მიერ ამ სათაურით დაწყებული ფილმის გადაღებას სკანდალი უკვე მოჰყვა, პატრულის სამმა თანამშრომელმა სამსახური დაკარგა.*

ამჟამად, „რეპორტიორი“ 2004 წლის 24 ნოემბერს მომხდარ ფაქტზე - 19 წლის ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმეზე მუშობს, რომელიც სტუდიის ხელმძღვანელის ვახო კომახიძის დაპირებით, ტელეეთერით რამდენიმე დღეში გავა.

შეგახსენებთ, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონთან ჩატარებული სპეცოპერაცია ამირან რობაქიძის ლიკვიდაციით და მისი მეგობრების დაპატიმრებით დასრულდა. სწორედ ამ ფაქტზე მუშაობის დროს, დიდუბის პანთეონის მიმდებარე ტერიტორიაზე, პატრულის თანამშრომლებმა დააკავეს სტუდია „რეპორტიორის“ გადამღები ჯგუფის წევრები, რომლებიც დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გაათავისუფლეს.

**„საპატრულო პოლიციის თანამშრომლები „უკანონო გადაღების“ გამო თავისუფლების აღკვეთით გვემუქრებოდნენ. ვიდეოფირის ნახვის შემდეგ კი ბრალი დაგვდეს, რომ რობაქიძის მკვლელობის ფილმში, კადრში მოხვედრილი პატრულის „მიბმას“ ვაპირებდით. ამის გამო, მათ ფირიც წაგვართვეს,“** - აცხადებენ „რეპორტიორის“ წარმომადგენლები.

ჟურნალისტების განმარტებით, პატრულის თანამშრომლებმა მათ ფირი წაართვეს და დაჰპირდნენ, უფროსობასთან ერთად ვნახავთ, რაც არ მოგვეწონება, წავშლით და დაგიბრუნებთო.

სტუდიის წარმომადგენლებმა მომხდარი სახალხო დამცველს სოზარ სუბარს აცნობეს, რომლის ჩარევის შემდეგაც წართმეული ფირის უკან დაბრუნება მოხერხდა.

აღნიშნულ ინციდენტზე საპატრულო პოლიციამ რეაგირება ოპერატიულად მოახდინა. სამართალდამცველებმა აღნიშნული ფაქტი დაგმეს და „რეპორტიორის“ თანამშრომლებს ბოდიში მოუხადეს. ინციდენტის მონაწილე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები -ბაკურ კორნილოვი, გოჩა კაჭკაჭიშვილი და კოტე დიღმელაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მათ უშუალო ხელმძღვანელს კი შენიშვნა გამოუცხადეს.

მიუხედავად პოლიციელთა სწრაფი რეაგირებისა, სტუდია „რეპორტიორის“ წარმომადგენლები შედეგით უკმაყოფილნი არიან და იმ პოლიციელების დასჯას მოითხოვენ, რომლებმაც გადაღებული ვიდეომასალა ჩამოართვეს.

სტუდია „რეპორტიორის“ ჟურნალისტებმა ვახტანგ კომახიძემ, ბელა ზაქაიძემ და ადვოკატმა ირმა ჭკადუამ პრესკონფერენცია გამართეს და განაცხადეს, რომ საპატრულო პოლიციის სამი თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლება და მათი უშუალო ხელმძღვანელისთვის საყვედურის გამოცხადება საკმარისი არ არის.

**„საპატრულო პოლიციის თანამშრომლეთა მიმართ გამოძიება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს, ვინაიდან, მათ დაარღვიეს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული კვალიფიცირდება შემდეგნაირად - განზრახ უკანონოდ დაკავება-დაპატიმრება, რომელიც ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს და ჟურნალისტის საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა,“** - ასეთია „რეპორტიორის“ ადვოკატის ირმა ჭკადუას პოზიცია, რომელიც უახლოეს დღეებში გამოძიების დაწყების მოთხოვნით სამართალდამცველი უწყებების შესაბამის სამსახურებს მიმართავს.

*24 საათი*

## მკვლელობისთვის ძებნილი დააკავეს

საზღვრის დაცვის N6 რეგიონული სამმართველოს მესაზღვრეებმა, სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის ბრალდებით დააკავეს აზერბაიჯანელი აზათ ფაზილ ოღლი იბრაგიმოვი, რომელსაც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არ აღმოაჩნდა. როგორც ფაზილ ოღლმა მესაზღვრეებს განუცხადა, იგი საქართველოს მოქალაქეა, კერძოდ, ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში ცხოვრობს. მიუხედავად ასეთი განმარტებებისა, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით, ფაზილ ოღლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მაინც აღიძრა.

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ აზათ იბრაგიმოვი, 2006 წლის 23 სექტემბერს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ფერმაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის იძებნებოდა. გამოძიების მასალებიდან ირკვევა, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა იბრაგიმოვმა ამავე ფერმაში მომუშავე იორმუღალნოელ მწყემსს რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც მწყემსი გარდაიცვალა, ხოლო მკვლელი გაიქცა და თავი აზერბაიჯანის ტერიტორიას შეაფარა.

აზათ იბრაგიმოვი ამჟამად კახეთის სამხარეო პოლიციის მთავარ სამმართველოშია გადაყვანილი და დაკავებულს ბრალი რამდენიმე მძიმე მუხლით წაუყენეს.

*24 საათი*

United Nations Population Fund

UNDP

გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი (UNFPA) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს გაეროს ერთობლივ ღია ტენდერს ტურისტული სააგენტოს შერჩევაზე. გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდება გრძელვადიანი ხელშეკრულება. ტენდერის დეტალური პირობები შესაძლებელია ჩამოიტვირთოს გაეროს განვითარების პროგრამის ოფიციალური ვებ-გვერდიდან: www.undp.org.ge/News/tenders.html.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს გაეროს ერთობლივ ღია ტენდერს საწვავის შესყიდვაზე. გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდება გრძელვადიანი ხელშეკრულება. ტენდერის დეტალური პირობები შესაძლებელია ჩამოიტვირთოს გაეროს განვითარების პროგრამის ოფიციალური ვებ-გვერდიდან: www.undp.org.ge/News/tenders.html.

UNDP





# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# „არაოფიციალურ შეხვედრებზე აფხაზები გვეკითხებიან - სადა ხართ თქვენ?!"

ლელა მარგიანი

*ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე მომუშავე ფონდმა „კავკასიური დიალოგი" დევნილთა ინტერესებსა და პრობლემებს სპეციალური კონფერენცია მიუძღვნა. ინტეგრაციის პროცესში აფხაზეთიდან დევნილთა სამოქალაქო ინიციატივების შესახებ იმსჯელეს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ფონდის საბჭოს წევრებმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.*



*კონფერენციაზე.*

კონფერენციაზე აღინიშნა: მას შემდეგ, რაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დევნილთა სტრატეგიაზე მომუშავე კომისიის პირველი შეხვედრა ჩაატარა, რომელზეც ითქვა, რომ „დევნილთა ინტეგრაცია არის სახელმწიფოს სტრატეგიის პრიორიტეტი", „კავკასიური დიალოგის" საბჭოს წევრები ზუგდიდსა და ბათუმში შეხვდნენ დევნილ მოსახლეობას.

შეხვედრების ძირითადი მიზანი იყო, შეესწავლათ დევნილთა დამოკიდებულება მთავრობის ახალი ინიციატივისადმი. გამოიკვეთა, რომ ორივე ქალაქის დევნილ მოსახლეობას სურს ხელისუფლებასთან დიალოგი და მათი პრობლემების გადაჭრაში ხელისუფლების აქტიური მონაწილეობა.

„კავკასიური დიალოგის" საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ დევნილთა ინტეგრაცია დადებითი და მნიშვნელოვანი პროცესია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში. მაგრამ თუ ხელისუფლება არ გამართავს დიალოგს დევნილ საზოგადოებასთან, არ გაითვალისწინებს მათ ინტერესებს, ვერ მიიღებს დადებით შედეგს - მთავრობის გადაწყვეტილებები სიცოცხლისუნარიანობას იქნება მოკლებული.

**„დევნილები უფრო აქტიურად უნდა იყონ ჩართულები აღნიშნულ პროცესებში. რეგიონებში ჩასვლამ გვიჩვენა, რომ საკმაოდ დიდი ვაკუუმია შექმნილი და დევნილებს არა აქვთ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჩვენ გვესმის, რომ ეს რთული პროცესია, მაგრამ იმავდროულად, როდესაც სახელმწიფო შეიმუშავებს პოლიტიკას გარკვეული სოციალური ჯგუფის მიმართ, ეს სოციალური ჯგუფი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ პოლიტიკის შემუშავებაში,"** - განაცხადა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ქალბატონმა მარინა ფაღავამ.

ინტეგრაციის პროცესში დევნილების აზრის გათვალისწინების მიზნით, კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ სამეგრელოს, იმერეთის და აჭარის როგორც დევნილი საზოგადოების წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებელი პირები, რათა ერთად განეხილათ რეგიონებში არსებული პრობლემები.

პრობლემები კი, მიუხედავად ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა, დევნილებისთვის ნამდვილად არ შემცირებულა, ზოგ შემთხვევაში უარესობისკენ შეიცვალა.

ზუგდიდში მცხოვრებმა ქალბატონმა მაია ჩემიამ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „სამეგრელო - მედეა"-ს ხელმძღვანელობს, განაცხადა: **„უკვე ცამეტი წელი გავიდა იმ საბედისწერო დღიდან, როდესაც ქართველმა და აფხაზმა ერთმანეთს ესროლეს. სამწუხაროდ, ამ ხნის მანძილზე, ჩვენ - დევნილები ვერ ვხედავთ ხელისუფლების მხრიდან იმ ნაბიჯებს, რაც ერთმანეთთან დაგვაახლოებს. მთელს საქართველოში დევნილები ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან, მაგრამ მაინც განსაკუთრებით აუტანელია მათი ყოფა ზუგდიდში, სადაც 60 ათასზე მეტი დევნილი - უმეტესობა გალის რაიონის მოსახლეობა, ძალიან უმწეო ხალხია თავმოყრილი. და მიუხედავად ამ ხალხის უმძიმესი სოციალური მდგომარეობისა, მათ მხოლოდ ერთ კითხვაზე სურთ პასუხის მოსმენა - როდის დააბრუნებს მათ სახელმწიფო აფხაზეთში! რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, დევნილები აფხაზეთის დაკარგვის ჭრილობას ვერასოდეს მოიშუშებენ."**

ქალბატონმა მაიამ ისაუბრა ზუგდიდის რაიონში განთავსებული დევნილების უმძიმესი საყოფაცხოვრებო, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი პრობლემა არის უმუშევრობა. დევნილების უმეტესობა, თითქმის 90 პროცენტი უმუშევარია. და 14-ლარიანი დახმარების ამარა დარჩენილი დევნილების მდგომარეობა, დღევანდელი ინფლაციის პირობებში, წარმოუდგენლად მძიმეა.

დევნილთა კომპაქტური განსახლების ცენტრებში არ არსებობს არავითარი საყოფაცხოვრებო პირობები, რასაც იმის მუდმივი შიშიც ემატება, რომ „ვიღაც ინვესტორს დასჭირდება ფართი", რომელიც დევნილებს უკავიათ უკვე 13 წელია, მათ გამოასახლებენ და ისინი კვლავ ქუჩაში აღმოჩნდებიან. ან, საუკეთესო შემთხვევაში, მისცემენ იმ მიზერულ თანხას, რომლითაც ისინი ვერაფრის ყიდვას ვერ შეძლებენ.

**„რაც შეეხება კერძო სექტორში განსახლებულ დევნილებს, მათი არსებობით არასდროს არავინ არ დაინტერესებულა - არც დევნილები, არც საერთაშორისო ორგანიზაციები. ცოტა უხერხულია საუბარი იმაზე, რომ ხელისუფლება მათ სოციალურ დახმარებას უწევს და უხდის 14 ლარს. როდესაც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ასე არხეინად გამოდიან და საუბრობენ მილიარდიან ბიუჯეტზე, 14 ლარი რა დახმარებაა?!"** - აღნიშნა მომხსენებელმა..

პრობლემებია ჯანდაცვის სფეროშიც. ზუგდიდში არის დევნილთა პოლიკლინიკა, რომელიც ემსახურება როგორც ზუგდიდის რაიონის მოსახლეობას, ასევე გალიდან გადმოსულებსაც. ყოველდღიურად პოლიკლინიკა ღებულობს 130-150 პაციენტს, ექიმებს კი მიზერული ხელფასი აქვთ - 1 მარტამდე ექიმი ღებულობდა 39 ლარს, ექთანი - 24 ლარს, თებერვალში ჩატარებული რეორგანიზაციის შემდგომ, შესაბამისად, 58 და 35 ლარს ღებულობენ. არსებობს პოლიკლინიკის „შპს"-დ გადაკეთების საშიშროება და მაშინ, დევნილი საერთოდ ველარ მიიღებს უფასო სამედიცინო დახმარებას. ამას ემატება ისიც, რომ დევნილებს მოეხსნათ ჯანდაცვის პოლისი. ასეთი პოლიტიკით, დევნილთა უმეტესობისათვის სამედიცინო დახმარება ხელმიუწვდომელი გახდება.

მომხსენებლის აზრით, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დევნილთა საზოგადოებაში მძაფრდება უიმედობა, ხვალინდელი დღის შიში, დეპრესიული განწყობა. ისინი ვერაფრით ვერ ახდენენ საკუთარი თავის ფსიქოლოგიურ და სოციალურ რეაბილიტაციას.

**„ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება დევნილების სოციალურ რეაბილიტაციაზე, სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს თავის მოქალაქეებზე, დაიცვას მათი ინტერესები, იზრუნოს დევნილთა განსახლებაზე, მათ დასაქმებაზე,"** - განაცხადა დასასრულს მაია ჩემიამ.

თავის ემოციურ გამოსვლაში ძალიან მწვავე იყო ყოფილი ოჩამჩირელი, ამჟამად ზუგდიდის მცხოვრები, ბატონი რამინ საჯაია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი: **„რეორგანიზაციას, ძირითადად, დევნილი კადრები ეწირება. სამწუხაროდ, დღევანდელ შეხვედრაზე არ ბრძანდება ლტოლვილთა სამინისტროს არც ერთი წარმომადგენელი. მაგრამ მე ზუგდიდელმა დევნილებმა დამაბარეს და აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ჩვენი მინისტრი, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენს ხარჯზე ძალიან დიდ ხელფასს ღებულობს, რვა თვის განმავლობაში, სამწუხაროდ, არც ერთხელ არ ყოფილა სამეგრელოში! ესაა უკიდურესად რთული რეგიონი და ნუთუ არ აინტერესებს მას, რა მდგომარეობაში ვართ იქ დევნილები?! რას ვაკეთებთ, როგორ ვარსებობთ?! როცა ქვეყნის პრეზიდენტი ეუბნება თავის მინისტრებს - მიბრძანდით ხალხთან, ჩვენმა მინისტრმა ჩვენ შემოგვითვალა, მე ჩემს ხალხთან ერთად ჩამოვალო. ნუთუ ჩვენ - დევნილები არა ვართ „დევნილთა სამინისტროს" ხალხი?! ინტეგრაციას მივესალმებით, თუ მას მართლა ექნება პრაქტიკული შედეგები. მაგრამ ვშიშობ, რომ ეს ასე არ იქნება, რადგან დევნილების როლი, სამწუხაროდ, სულ უფრო სუსტდება, დევნილები რჩებიან მეორეხარისხოვნად, რადგან ჩვენი მონაწილეობა მმართველობაში, თუნდაც - ბიზნესსტრუქტურებში, არის ძალიან მცირე. მიზერულია დევნილთა დახმარების თანხები იმ დროს, როდესაც საქართველოში საარსებო მინიმუმი 200 ლარამდეა. ასეთ პირობებში ჩვენი შემწეობის თანხა მხოლოდ 14 ლარია.**

**როცა ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში არც ერთი დევნილი არ ღებულობს ოფიციალურად მონაწილეობას, ეს ძალიან ცუდია. ენგურის ხიდთან ზოგჯერ ისეთი ადამიანები ჩამოდიან, ვინც სრულიად არ იცნობენ აფხაზებს და როგორ უნდა ესაუბრონ მათ?! რატომ არ უნდა იყოს ამ საქმეში ჩვენი პოტენციალი გამოყენებული?! მე ოჩამჩირელი კაცი ვარ, ყველა მიცნობდა იქ, ძალიან კარგად ვფლობ აფხაზურ ენასაც და, იქნებ, მე უფრო მეტის გაკეთება შემიძლია კონფლიქტის მოგვარების საქმეში, ვიდრე სხვას?! ჩვენ ხომ არა მხოლოდ ტერიტორიის დაბრუნება გვინდა, არამედ, პირველ ყოვლისა, გვინდა დავიბრუნოთ ჩვენი მეზობლები, მეგობრები, თანაკურსელები და კოლეგები - აფხაზები. ამას თავად აფხაზებიც გვეუბნებიან არაოფიციალურ შეხვედრებზე - სადა ხართ თქვენ? ამიტომ, მთავრობამ ეს საკითხები აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს."**

არასამთავრობო ორგანიზაციის „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია" ხელმძღვანელმა, ბატონმა ალუ გამახარიამ, მას შემდეგ, რაც ისაუბრა ქუთაისში და, საერთოდ, იმერეთის რეგიონში ჩასახლებული დევნილების მძიმე მდგომარეობაზე, კონფერენციის მომწყობთა მოთხოვნილებისამებრ, მთავრობისთვის შემუშავებული საკუთარი რამდენიმე რეკომენდაციაც წარმოადგინა: **„პირველ რიგში, უნდა მიეცეს პოლიტიკური შეფასება იმას, რაც დაგვემართა, შემდეგ შემუშავდეს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თანმიმდევრული სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელებაში აქტიურად იქნებიან ჩართული როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე დევნილი მოსახლეობა და საერთაშორისო ორგანიზაციები, ადგილობრივი ხელისუფლებები. დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების რეგიონებში სამ თვეში ერთხელ შეხვდნენ დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლებს რეგიონში დაგროვილი პრობლემების განსახილველად, მოეწყოს ადგილობრივი ხელისუფლების „ღია კარის დღეები" დევნილი მოსახლეობისთვის, ამუშავდეს „ცხელი ხაზი" ყველა რეგიონში, სადაც ცხოვრობენ დევნილები."**

## გამოკითხვა

### თქვენი აზრით, დსთ-დან საქართველოს გამოსვლამ რა როლი შეიძლება ითამაშოს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში?

**ვახტანგ გურული,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: „დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველო დსთ-დან უკვე რამდენიმე წლის გამოსული უნდა იყოს. თავის დროზე დსთ-ში შესვლა ძალიან დიდი შეცდომა იყო. ქვეყნის მაშინდელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ქართული საზოგადოება შეიყვანა შეცდომაში - რომ დსთ-ში შესვლა და აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის განლაგება აფხაზეთის დაბრუნების ერთადერთი საშუალება იყო. ეს ტყუილი საზოგადოების ერთ ნაწილს მაშინაც არ სჯეროდა, მით უმეტეს, დღეს ამის უკვე აღარავის სჯერა. რუსეთი საქართველოს აფხაზეთს არ დაუბრუნებს. ამიტომ სადღეისოდ დაგვრჩა ერთადერთი გზა - საქართველო დსთ-დან უნდა გამოვიდეს რაც შეიძლება მალე, ამის შემდეგ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დატოვონ აფხაზეთის ტერიტორია, ისინი უნდა ჩაანაცვლონ სხვა სამშვიდობო ძალებმა და უნდა დაიწყოს აფხაზეთის დაბრუნებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი - ევროსაბჭოში, ევროკავშირში და გაეროში. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ საქართველო დარჩება დსთ-ში და რუსეთის სამშვიდობო ძალები - აფხაზეთში, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია ვერასოდეს აღდგება."

**ნანუკა კახაბრიშვილი,** ეკონომისტი: „მე ვფიქრობ, რომ საქართველოს დსთ-დან გამოსვლის გადაწყვეტილებამ რუსეთი კიდევ უფრო უნდა გააღიზიანოს, ამიტომ აფხაზეთთან დაკავშირებით რუსეთმა შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს ზეწოლა. გამორიცხული არ არის პროვოკაციებიც, რადგან აფხაზეთი რუსეთის ხელში საქართველოს წინააღმდეგ არანაკლებ ქმედითი იარაღია, ვიდრე ეკონომიკური ბერკეტები. ჯერ საქართველოს ეს გადაწყვეტილება არ მიუღია და მეორე მხრიდან უკვე ისმის საწინააღმდეგო განცხადებები - მხედველობაში მაქვს ბაღაფშის განცხადება, რომ აფხაზები დსთ-ში შესვლას აპირებენ."

**გიგლა გობეჩია,** ჟურნალ „სამყაროს" რედაქტორი: „დსთ-ში თავის დროზე არ უნდა შევსულიყავით, ან უნდა შევსულიყავით ადრე, როცა ულტიმატუმები კეთდებოდა რუსეთის მხრიდან, რადგან მაშინ აფხაზეთის საკითხი ამაზე იყო მიბმული. დღეს დსთ ისედაც განწირულია, მან ამოწურა თავისი არსებობა - ეს რუსეთსაც კარგად ესმის. დსთ-ში გინდა ყოფილხარ, გინდა - არა. თუმცა გამოსვლასთან დაკავშირებით მაინც სიფრთხილეა საჭირო. მე ვფიქრობ, დსთ-დან გამოსვლა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში არსებითად არაფერს შეცვლის. მთავარი ის არის, რომ ამის პარალელურად საქართველოს ხელისუფლებამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რაღაც ალტერნატიულ გაერთიანებაზე უნდა იფიქროს, რომელიც პარტნიორულ და მეგობრულ ურთიერთობაზე იქნება დაფუძნებული და ყველა ქვეყნისთვის მომგებიანი იქნება ეკონომიკური კავშირებისა და ეკონომიკური სივრცის ათვისების თვალსაზრისით."

**დავით ზარდიაშვილი,** სამართალმცოდნე, ექსპერტი: „ძალიან ძნელია თქმა, კონკრეტულად რას შეცვლის საქართველოს დსთ-დან გამოსვლა ამ თვალსაზრისით - ალბათ, კიდევ უფრო დაიძაბება რუსეთთან ურთიერთობა და, შესაბამისად, ეს კიდევ უფრო გაართულებს აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის საკითხს. დსთ-დან, რა თქმა უნდა, უნდა გამოვიდეთ, მაგრამ ამისათვის შესაფერისი დრო და მომენტი უნდა ვიპოვოთ, უნდა მოვემზადოთ ამ პროცესისათვის, მანამდე უნდა ვეცადოთ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას - გამოვიდეთ დსთ-დან და პარალელურად არაფერი ვაკეთოთ, რა გამოვა?"

**დავით ჭიჭინაძე,** თვითმმართველობის რეფორმის ცენტრის დირექტორი, იურისტი: „დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შემთხვევაში აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით სიტუაცია ნამდვილად შეიცვლება იმიტომ, რომ ის ჯარები, რომლებიც იქ დგანან, დსთ-ს მანდატით არიან აღჭურვილი. დსთ-დან გამოსვლის შემდეგ ახალი იმპულსი და ახალი ტალღა რომ წამოვა, ეს ცხადია. დაიწყება რეალური საუბარი სამშვიდობო პროცესში საერთაშორისო საზოგადოების ჩართვაზე, ანუ სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლასთან დაკავშირებით და არსებობს დიდი ალბათობა, რომ რუსები გაეროს სპეციალური მანდატით აღჭურვილმა სამშვიდობო ძალებმა შეცვალონ. დსთ-დან საქართველოს გამოსვლა საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც დიდი იმპულსი იქნება, რათა უფრო აქტიურად ჩაერთოს კონფლიქტების მოგვარებაში."

## ცხოვრებისეული ისტორიები

# ჩემი - სხვისი სახლი

უკვე მერამდენე წელია, ახალ წელს „აქ" ვხვდები, ჩემი სახლიდან შორს. და ყოველ წელს იმ იმედით ვიწყებ, რომ შემდეგ „ახალ წელს" უკვე მშობლიურ აფხაზეთში შევხვდები.

გიგუშა, ჩემო საყვარელო ნათლულო, გახსოვს, რა ხშირად ვკამათობდით იმაზე, რომ შეიძლება მე ვეღარასდროს ვეღარ მენახა ჩემი სახლი სოხუმში?!.

იცი, ჩემო ძვირფასო, შენ დამარცხდი ჩემთან კამათში, რადგან მე მაინც შევძელი საკუთარი მიტოვებული სახლის ნახვა.

იცი, მე ჩემი მშობლიური სოხუმის ქუჩებშიც კი დავდიოდი?! როგორც კი ჩემმა დაქალებმა გაიგეს, რომ ბიჭვინთაში ვიყავი ჩასული, გვერდიდან აღარ მომცილებიან და მთელი სოხუმი შემომატარეს...

ეს მაშინ მოხდა, როდესაც ერთ დღეს, მეცადინეობებისგან თავისუფალ დღეს, ჩვენ სოხუმში წაგვიყვანეს. იქაც ჩემი მეგობრები დამხვდნენ და მე მათთან ერთად გავატარე რამდენიმე საათი სოხუმში. ჩვენ მანქანით შემოვირბინეთ ყველაფერი და მე ვერ გავძელი, რომ არ მენახა ჩემი სახლი, რომელშიც დავიბადე, გავიზარდე და ბავშვობის ბედნიერი წლები გავატარე.

როდესაც აფხაზეთში მივდიოდი, ჩემს თავს ვუმტკიცებდი, რომ სოხუმში ჩასვლის შემთხვევაში, მოვინახულებდი ყველაფერს, მაგრამ საკუთარ სახლში ფეხსაც არ შევდგამდი, თუმცა ყოველდღე, ყოველ წამს მე მხოლოდ ამაზე ვოცნებობდი...ვოცნებობდი, რომ თუნდაც წამით მაინც თვალი შემევლო ჩემი სახლისთვის.

მართალია, საკუთარ თავს საწინააღმდეგოს ვუმტკიცებდი და თითქოს ყველაფერი მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მაინც ვერ შევძელი, რომ არ მენახა ჩემი სახლი...

ჩემს მეგობრებს - ნაიკასა და მაიკოს ვთხოვე, მიმყოლოდნენ სახლამდე, რომ მხოლოდ თვალი შემევლო მისთვის! მაგრამ, იცი, რა ძნელი ყოფილა ამის გაკეთება?!

ვთხოვე, სახლთან უფრო ახლოს მისვლა, რომ უკეთ დამენახა ჩემი სახლი, ჩემი ფანჯრები! როდესაც მანქანა სახლს მიუახლოვდა, გავაჩერებინე, გადმოვედი...დავდექი ჩემი სადარბაზოს წინ და ძალიან, ძალიან მომინდა „შიგ" შესვლა...ჩემი მეგობრები მეექვსე სართულზე ცხოვრობდნენ, მე - მეხუთეზე.. მათ მთხოვეს, მენახა მათი მშობლები, ამ შემთხვევაში მე ჩემი ბინის კარებთან უნდა ჩამევლო...ამ თხოვნაზე კინაღამ გავგიჟდი, მაგრამ მაინც დავთანხმდი...იმიტომ, რომ ვიცოდი - მე ძლიერი ვარ და „ამას" შევძლებდი...

არასდროს დამავიწყდება, როგორ ნელა, მძიმედ მივუყვებოდი მშობლიურ კიბეებს...

წარმოგიდგენია?! მაშინ, ათიოდე წლის წინათ ხომ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ წლების შედეგ, ამ საფეხურებზე მხიარული და ბედნიერი კი აღარ ავირბენდი, არამედ - გულდამწვარი და ნამტირალევი თვალებით, მძიმედ ავუყვებოდი საფეხურებს.. ამ ყველაფრის გამო, გული ძალიან, ძალიან მეტკინა...

მეგობრების მშობლების სანახავად მეექვსე სართულზე ასულს, მეხუთეზე საკუთარ კარებთან უნდა გამევლო?! ეს კი ისეთი ძნელი გასაკეთებელი იყო?! საოცრად ძნელი ყოფილა, უცხოსავით გაუარო საკუთარი ბინის კარებს, რადგან იქ ახლა „სხვა" ადამიანები ცხოვრობენ! მათ თავი ჩემი ბინის პატრონებად მიაჩნიათ...

ღმერთს ვთხოვდი დახმარებას, რომ არ შემეხედა ჩემი ბინის კარებისთვის, რომ სულით არ დავცემულიყავი, მაგრამ არაფერი არ გამომივიდა...

როგორც კი დავინახე ჩემი მშობლიური, ტკივილამდე ნაცნობი და საყვარელი, თითქმის შეუცვლელი „კარები", ფეხები ჩამეკეცა! დავვარდი მუხლებზე და ბღავილი დავიწყე...ვეფერებოდი ჩემს კარებს, თითქოს მეცოდებოდა იგი, ამდენი წელი უჩემოდ ყოფნის გამო... მაშინ სხვა არაფერზე აღარ ვფიქრობდი...

მხოლოდ ყველაფრის მიმართ პროტესტის საოცარი გრძნობა გამიჩნდა, და პირობა მივეცი ჩემს თავს: ყველაფერს გავაკეთებდი იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე დავბრუნდე „ჩემს - სხვის სახლში"....

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი*
*პროექტი „ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის „შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.*

# სერგეი ბაგაფში: „მე ხშირად მეკითხებიან, თქვენ დამოუკიდებლობა გსურთ თუ რუსეთთან შეერთება?!"

*გთავაზობთ აფხაზურ საიტზე გამოქვეყნებულ ინტერვიუს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტთან სერგეი ბაგაფშთან.*

**- სერგეი ვასილის ძევ, აფხაზეთის ამჟამინდელი კოალიციური ხელმძღვანელობის ჩამოყალიბება რთული კომპრომისის შედეგია. შეიძლება ითქვას, რომ ამ კომპრომისმა გაამართლა?**

- ჩემი აზრით, გაამართლა. სხვა გზით რომ წავსულიყავით, აფხაზეთში ქაოსი იქნებოდა. ჩვენ ავირჩიეთ ერთადერთი სწორი გზა - ფართო კოალიცია. ეს კოალიცია შეიქმნა ერთადერთი მიზნით -ყველა პოლიტიკური ძალა და ყველა მოქალაქე საერთო მიზნის მისაღწევად გაერთიანებულიყო. ეს მიზანი დამოუკიდებლობაა, რასაც ჩვენმა მოქალაქეებმა მხარი დაუჭირეს 1999 წლის რეფერენდუმზე.

**- რომელი პრობლემებია მოსაგვარებელი?**

- ყველაზე მთავარი პრობლემა მსოფლიოსგან ჩვენი იზოლაციაა. ის არ არის მთლიანი, ამჟამად ჩვენ გვაქვს გამჭვირვალე საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან. ჩვენ ვვაჭრობთ მხოლოდ რუსეთთან, რადგან ჩვენი საზღვაო და საჰაერო საზღვარი, ფაქტობრივად, დაკეტილია.

**- როგორია რუსეთთან ურთიერთობები?**

- რუსეთი ძალიან გვეხმარება. ის არიგებს რუსეთის მოქალაქეობას და, პრაქტიკულად, აფხაზეთში მცხოვრებთა 80 პროცენტი დღეს უკვე რუსეთის მოქალაქეა. ჩვენ უსაზღვროდ მადლიერები ვართ რუსული პენსიებისა. ფსოუს გამშვებ პუნქტზე მიმოსვლის გამარტივება განავითარებს ჩვენს ეკონომიკას. ბოლო დრომდე საზღვარგარეთის მოქალაქეებს ჩვენთან ჩამოსვლის საშუალება არ ჰქონდათ (მათ შორის, აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებსაც). ერთი თვის წინათ ეს საკითხი გადაწყდა ორმაგი რუსული ვიზების საშუალებით. ეს კი ხელს უწყობს ადამიანური და კულტურული ურთიერთობების აწყობას.

**- რამდენად აქტიურად მოქმედებენ აფხაზეთში თურქული ფირმები?**

- აქ არის პრობლემები. ტყვარჩელში თურქული ფირმა აპირებდა წელიწადში 130-150 ათას ტონა ქვანახშირის მოპოვებას, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ 45-50 ათას ტონას ამუშავებს. მეტი არ შეუძლიათ. ჩვენ კი ტყვარჩელის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები გათვალისწინებული გვაქვს 150 ტონიდან, და თუ ეს არ შესრულდა, ბიუჯეტთან დაკავშირებით პრობლემები გვექნება. ამიტომ ჩვენ მათთან სერიოზული კონფლიქტი გვაქვს. თუ ისინი თავიანთ პრობლემებს ვერ გაუმკლავდებიან, შევცვლით რუსი პარტნიორებით. ამასთან დაკავშირებით რუსული ფირმებიდან სერიოზული წინადადებები გვაქვს.

თურქული გემებისთვის აფხაზეთის ნაპირებთან თევზჭერაც შევზღუდეთ იმიტომ, რომ ისინი აბინძურებდნენ ბიოსფეროს, რასაც საერთოდ არ უნდა შეეხო, და იჭერდნენ ყველაფერს, რასაც მოიხელთებდნენ. საერთოდ, თურქი მეთევზეები ბუნებისადმი თავიანთი ბარბაროსული დამოკიდებულებით მთელ მსოფლიოში არიან ცნობილი. არის ხამსა - დაიჭირონ, მაგრამ აფხაზეთს საშემოსავლო და საბაჟო გადაუხადონ. ამჟამად ყოველ თურქულ თევზმჭერ გემზე აუცილებლად იმყოფება აფხაზეთის ეკოლოგიური სამსახურის წარმომადგენელი, რომელიც თურქების მოქმედებას აკონტროლებს.

**- შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში სოციალურ-ეკონომიკური ვითარება უკეთესობისკენ იცვლება?**

- დიახ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკეთესობისკენ იცვლება. ეს მხოლოდ ჩვენი დამსახურება არაა. ჩვენი წინამორბედების დამსახურებაცაა, რომლებმაც 12 წლის მანძილზე გააკეთეს ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა. ამჟამად შესაძლებლობები მეტია და ჩვენ უფრო ჩქარი ტემპით უნდა ვიაროთ უკეთესობისკენ. 2006 წლის ბიუჯეტი, პრაქტიკულად, ორჯერ გავზარდეთ - 1 მილიარდ რუბლამდე. საბიუჯეტო ორგანიზაციებს ხელფასები 50 პროცენტით გავუზარდეთ და მომატებას კიდევ ვაპირებთ. ეკონომიკური აღმავლობისათვის საჭიროა, მოვაწესრიგოთ საკურორტო სფერო, ფისკალური ორგანოები, საბაჟო სამსახური, გავაგრძელოთ პრივატიზაცია, განვავითაროთ წარმოება, პირველ რიგში, საშუალო და მცირე ბიზნესი.

**- როგორი პერსპექტივა აქვს საკურორტო სეზონს წელს?**

- აფხაზეთი, ტრადიციულად, დასვენების ადგილი იყო. ერთი პერიოდი ამის შესახებ ყველას დაავიწყდა, მაგრამ ახლა ყოველწლიურად ჩვენთან სულ უფრო და უფრო მეტი დამსვენებელი ჩამოდის რუსეთიდან. შარშან აფხაზეთში მილიონზე მეტი დამსვენებელი და ტურისტი ჩამოვიდა. ეს არის ძალიან დიდი ციფრი და ძალიან დიდი დატვირთვა საკურორტო ინფრასტრუქტურაზე, რასაც ჩვენ ღირსეულად გავუძელით. გასულმა წელმა აჩვენა, რომ ჩვენ შეგვიძლია დამსვენებელთა უსაფრთხოების დაცვა. შინაგან საქმეთა ორგანოები აღჭურვილი იყო ყველა აუცილებელი საშუალებით. ჩვენს გვერდზეა მშვენიერი კურორტი სოჩა, მაგრამ ყველას არ შეუძლია ასე ძვირ კურორტებზე დასვენება. ჩვენთან კი ყველასთვის მისაღები ფასებია. ამასთან, სუფთა ზღვა და მშვენიერი ბუნებაა.

**- კერძო სექტორის დაბეგვრა ფასების ზრდას ხომ არ გამოიწვევს?**

- გასულ წელს კერძო სექტორი გადასახადებისგან მთლიანად გავათავისუფლეთ. წელს კი გადასახადებს ვაწესებთ, თვეში 100 რუბლის ოდენობით. ერთი საწოლის ფასი კი დღე-ღამეში 150-250 რუბლია. ასე რომ, გადასახადი მიზერულია, მაგრამ ეს მოგვცემს დამატებით შემოსავალს, რომელსაც მიიღებენ არასაკურორტო სფეროში დაკავებული ადამიანები. ესენია - მასწავლებლები, ექიმები, სანიტრები. ამის გარდა, გვეცოდინება დამსვენებელთა რაოდენობა, ადგილი, ვინაობა და წესრიგს უფრო დავიცავთ.

**- რუსი ავტომოყვარულები რამდენად უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს აფხაზეთის გზებზე?**

- წელს ჩვენ უარი ვთქვით გაი-ს მუდმივ პოსტებზე. ბოლო 10 წლის მანძილზე ამ პოსტებს არავითარი სარგებელი არ მოუტანიათ და მათი მუშაობა არადამაკმაყოფილებელი იყო. არ იყო შემთხვევა, რომ მათ ვინმე საფუძვლიანად დაეკავებინოთ, იარაღი ამოეღოთ და ა.შ. ჩვენ მათ სულ ვაფრთხილებდით, რომ რუსულნომრებიანი მანქანების მისამართით არავითარი თვითნებობა არ უნდა ყოფილიყო. ცხადია, რომ რუსეთიდან შემოსულ მძღოლს ყველა საბუთი სრულ წესრიგში ექნება. ამიტომ მე კატეგორიულად ავკრძალე ამ მანქანების უმიზეზოდ გაჩერება.

გასულ წელს გაი-ს სამი ეკიპაჟი დავითხოვე სამსახურიდან, როცა ჩემი თვალით ვნახე, რუს მძღოლებს როგორ აწვალებდნენ.

ახლა ჩვენ გაი-სათვის შევიძინეთ 62 საპატრულო მანქანა. ფსოუდან ოჩამჩირემდე ტრასა დავყავით 12,5-კილომეტრიან მონაკვეთებად და დავაწესეთ საპატრულო სამსახური. ამით წესრიგი დამყარდება და სისხლის სამართლის დამნაშავეებთანაც ეფექტურად ვიბრძოლებთ.

დამსვენებლებს კი ცხელი ხაზის საშუალებით შეეძლებათ, მოგვაწოდონ ინფორმაცია კანონის დამრღვევი პატრულის შესახებ, და ჩვენ შესაბამის სერიოზულ ზომებს მივიღებთ. ისე, მკაცრი ბრძანება არსებობს, რომ „გაი" უწესო მუშაკებისაგან გაიწმინდოს.

**- ახლა სხვა აქტუალურ თემაზე გადავიდეთ. როგორც ცნობილია, კოსოვოში და კვიპროსზე კონფლიქტის მოგვარების მოდელები დევნილების დაბრუნებას არ ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით, როგორია აფხაზეთის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ქართველი დევნილებისადმი?**

- ჩვენ დავაბრუნეთ იმაზე მეტი დევნილი, ვიდრე დაბრუნებულ დევნილთა რაოდენობა ყველა კონფლიქტურ რეგიონში ერთად აღებული. გალის რაიონში დაბრუნებულია 55 ათასამდე დევნილი. ომამდე ქართველი მოსახლეობის რაოდენობა 240 ათასს შეადგენდა. ჩვენ მუდმივად გვიკიჟინებენ დევნილთა დაბრუნების აუცილებლობაზე, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქ იყო ომი, დაინგრა ინფრასტრუქტურა, აფხაზეთიდან გაზიდეს ყველაფერი და ჩვენ სახელმწიფოს შექმნას ცარიელ ადგილზე შევუდექით. ამაზე დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს გაჩუმება ურჩევნიათ. ომის შემდეგ მოხდა შეთანხმება, რომ ქართველი დევნილები გალში დაბრუნდებოდნენ. ეს შეთანხმება შესრულდა. ამის გარდა, ბევრი ქართველი დარჩა გაგრაში, სოხუმში, გულრიფშში და ა.შ.

**- ცნობილია თუ არა ქართული მოსახლეობის საერთო რაოდენობა?**

- ვფიქრობ, აფხაზეთში მუდმივად ცხოვრობს 65-70 ათასი ქართველი. შედარებისთვის, კოსოვოში სულ 8 ათასი დევნილი სერბი დაბრუნდა და, ნატო-ს სამშვიდობოების მიუხედავად, მათი უფლებები მუდმივად ირღვევა. ჩვენ კი ქართველ მოსახლეობას ისე ვექცევით, როგორც აფხაზეთის სრულუფლებიან მოქალაქეებს და ვცდილობთ, შევუქმნათ მათ ცხოვრების ნორმალური პირობები. საქართველოს მხრიდან მუდმივი დივერსიები და პროვოკაციები რომ არ ხდებოდეს, გალის რაიონში ცხოვრება უფრო მალე აეწყობოდა.

**- რატომ არ არის ინტერნეტში აფხაზეთის ოფიციალური საიტი?**

- ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვაკეთებდით ამ საიტებს. ამჟამად საიტი აქვს პრეზიდენტს, შსს-ს, პარლამენტს და ეს საიტები მალე ამუშავდება. ჩვენ ძალიან დავზარალდით იმით, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ინტერნეტში არ ვჩანდით. ჩვენი საიტები იქნება რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე. ჩვენ ვთანამშრომლობთ „თა REGNUM"-თან და მისი დახმარების იმედი გვაქვს.

ჩვენ ვაცნობიერებთ იმას, რომ ინტერნეტში აფხაზეთზე ობიექტური ინფორმაცია უნდა იყოს.

**- აფხაზეთის მომავალს როგორ ხედავთ?**

- დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო იქნება, რომელსაც რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობა ექნება. მე ხშირად მეკითხებიან: თქვენ დამოუკიდებლობა გსურთ თუ რუსეთთან შეერთება? მე ვპასუხობ: ამ ეტაპზე ჩვენ ვაშენებთ ჩვენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს. შემდეგ კი იქნება ისე, როგორც აფხაზი ხალხი გადაწყვეტს. მე ვიცი, ვისთან უნდა ყოფნა აფხაზ ხალხს. ჩვენ მადლიერები ვართ რუსეთის ხელმძღვანელობისა, ვისი წყალობითაც აფხაზეთში ინვესტიციები მოედინება. ეს ხალხი მუდმივად ჩვენთან ერთად მუშაობს და ისინი ჩვენი მეგობრები არიან. ამ კუთხით ვერ დავიწუწუნებთ. მაგრამ ახლა აფხაზეთი თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებს. მისი მომავალი დაკავშირებული იქნება იმ სახელმწიფოთა მომავალთან, რომელთაც რუსეთთან ერთად სურთ დიდი სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა. ასეთი პერსპექტივის რეალურობაზე მეტყველებს ის, რაც ახლა ხდება ყაზახეთში, ბელარუსში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, რომლებსაც, ეჭვი არ მეპარება, დროთა განმავლობაში შეუერთდება აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი.

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

### მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად (IFB)

თარიღი: 10 მაისი, 2006 წ.
სესხის N: 3702-GE
IFB N:PHCDP/NCB/1.1/02

1. საქართველომ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით შეისყიდოს საოფისე ავეჯი ქუთაისის რეგიონალური საოჯახო მედიცინის ტრეინინგ ცენტრისათვის და ქუთაისის პერინატალური ცენტრისათვის.

2. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი აცხადებს საკონკურსო წინადადებების მიღებას ყველა უფლებამოსილი მონაწილისაგან ქუთაისის რეგიონალური საოჯახო მედიცინის ტრეინინგ ცენტრისათვის და ქუთაისის პერინატალური ცენტრისათვის საოფისე ავეჯის მოწოდებაზე.

3. დაინტერესებულ უფლებამოსილ მონაწილეებს შეუძლიათ მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ საკონკურსო დოკუმენტებს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ოფისში შემდეგ მისამართზე:

ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
ქ. თბილისი 0160, საქართველო.
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-19-39, 38-82-10, 38-82-20
ელ-ფოსატა: info@hpic.ge
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი

4. საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის შეძენა შეუძლია ყველა დაინტერესებულ უფლებამოსილ მონაწილეს წერილობითი განცხადების წარდგენისა და 70 ლარის ოდენობის თანხის გადახდის შემდეგ, (გადახდილი თანხა უკან არ დაბრუნდება).

თანხა გადარიცხულ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:
სს ბანკი რესპუბლიკა 220101757
მიმღები: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პრექტების განმახორციელებელი ცენტრი.
ანგარიშის (ლარი) N 23408000189

5. ყოველ საკონკურსო განაცხადს თან უნდა ახლდეს საკონკურსო საბანკო გარანტია 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით და მიწოდებულ უნდა იქნას ზემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 7 ივნისის 16:00 საათამდე. დაგვიანებული საკონკურსო განაცხადები არ მიიღება და გაუხსნელად დაუბრუნდება გამომგზავნს.

6. საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით, (რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ) 2006 წლის 7 ივნისს, 16:00 საათზე საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტის ოფისში (ზემოთ მითითებულ მისამართზე)

# ენა, რომელიც იციან და ესმით

### მიმოდრამის თეატრი თბილისში

სოფო კილასონია

*ლაშა ონიანის სპექტაკლში ჰამლეტს, ისე როგორც ყოველთვის, უამრავი პრობლემა აქვს, თუმცა, რეჟისორმა და ქორეოგრაფმა მას ცხოვრება ოდნავ მაინც შეუმსუბუქა. მიმოდრამის „ჰამლეტში“, რომელიც ორი დღის წინ ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გათამაშდა, ოფელია არ ჩანდა. ამიტომ სპექტაკლს სიყვარული აკლდა. სამაგიეროდ ბევრი იყო ოსტატობა, ნიჭი, მონდომება. შესაბამისად, მაყურებლის დადებითი შეფასებებიც.*



*ლაშა ონიანი, სცენა სპექტაკლიდან „ჰამლეტი“.*

მიმოდრამის თეატრი, რომელიც მსახიობმა ლაშა ონიანმა ჩამოაყალიბა, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. დასმა, რომელიც სულ ექვსი ადამიანისგან შედგება, საარბრიუკენში დაიდო ბინა, თუმცა მათი ცხოვრების წესი გასტროლებზე სიარულია. მიმოდრამის თეატრს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს ევროპაში. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ქართველი მსახიობები ასე ხანგრძლივად შემორჩნენ ახალ სახლს და საქართველოში წელიწადში ერთხელ ჩამოდიან, თუმცა ხანდახან ესეც ვერ ხერხდება.

წარმოდგენა, რომელიც არც მხოლოდ პანტომიმაა და არც დრამატული თეატრი, რაღაც შუალედურს და, შესაძლოა, ბევრად გულწრფელ, სადა ფორმებს გვთავაზობს. მსახიობთა მცირერიცხოვნების მიუხედავად, რეჟისორს არ გასჭირვებია მასშტაბის, ემოციათა სიმძაფრისა და იდეათა გრანდიოზულობის გადმოცემა. ეს იმიტომ, რომ მას საკუთარი პროფესიის, ქორეოგრაფიის ენა კარგად ესმის. სწორედ ამიტომ მხატვრული კომპოზიციების მსგავსად აწყობილი სცენებით გველაპარაკება.

მიმოდრამის ქორეოგრაფია პანტომიმის, ბალეტისა და პლასტიკის ნაზავია, თუმცა ეს შერეულობა სულაც არ არის უხეში და ეკლექტიკური. შესაძლოა, ონიანის ქორეოგრაფია ზოგჯერ პირობითობას კარგავს და მეტად ნატურალისტურ სცენებს გვთავაზობს, მაგრამ არ არის არც ერთი წამი, რომელიც მაყურებელს მოდუნების საშუალებას მისცემს ან ინტერესს დაუკარგავს. იმ პანტომიმასთან შედარებით, რომელსაც თბილისი იცნობს, მიმოდრამის დასი თეატრის ყველა ძირითად ელემენტთან არის დაკავშირებული. ონიანის თეატრი პირველ რიგში თეატრია, რომლისთვისაც ქორეოგრაფია უბრალოდ ენაა და არა თვითმიზანი, პლასტიკა თხრობის სტილია და არა მხოლოდ სხეულის შესაძლებლობის პრეზენტაცია. ამ დუბლირებული ფუნქციების მიუხედავად, სულაც არ უნდა ვიფიქროთ, რომ მიმოდრამის თეატრში ოსტატობა პლასტიკის თვალსაზრისით მეორეხარისხოვანია და, შესაბამისად, არც ისე დახვეწილი. სულაც არა. ქორეოგრაფიის თვალსაზრისით არაერთი მხარეა აღსანიშნავი. მათი დახვეწილი მანერისა და ზომიერების შეგრძნების გარდა, ყველაზე საყურადღებო ამ ენის მრავალფეროვნებაა. სცენათა მუდმივი მონაცვლეობა, მოძრაობათა წყობა და ხუთივე მსახიობის განსხვავებული სტილი და მანერა... ეს და კიდევ სხვა მრავალი ფაქტორი „ჰამლეტს“ წარმატებულ ქორეოგრაფიულ წარმოდგენად აქცევს.

მუსიკალური გაფორმება კონტრასტებზე იყო აგებული. პოპულარულ და ცნობად მელოდიებს, რომლებიც ახლებური „არანჟირებითა“ და „გაორკესტრებით“ იყო ჩასმული, შედარებით ახალი მოტივები ენაცვლებოდა, ელექტრონულ მუსიკას კი - ორკესტრის ინსტრუმენტთა ხმოვანება. იცვლებოდა სტილისც, ტემპიც და ეს ცვლილებები პირველ რიგში მაყურებლის ფსიქიკაზე მოქმედებდა. ეს მოქმედება უეჭველად დადებითი იყო, რადგან ქორეოგრაფიული და მეტად მძიმე, დრამატული წარმოდგენა თითქმის სამი საათის მანძილზე მაყურებელის დაკვირვებული მზერისა და ინტერესის გარეშე არ დარჩენილა. მუსიკამ განსაკუთრებით მაშინ მიიქცია ყურადღება, როცა ქართველმა მაყურებელმა გია ყანჩელის ტანგო გაიგონა. ეს მაშინ მოხდა, როცა პიესაში კვანძი გაიხსნა და ტრაგედიამ აბსტრაქტული ფორმები შეიძინა.

მხატვრობა მინიმალური დეკორაციითა და პირობითი ნიშნების მქონე კოსტიუმებით შემოიფარგლება, თუმცა განათებასთან ერთად ყველა ეს კომპონენტი საკმაოდ მეტყველია.

ლაშა ონიანი და მისი მსახიობები სპექტაკლის შემდეგ გულითად მილოცვებს იღებდნენ. რეჟისორმა, რომელიც თავად არის დასის ყველაზე შთამბეჭდავი სახე და წარმოდგენის მთავარი მუხტი, ზუსტად არ იცის, კიდევ როდის ჩამოვა საქართველოში. ლაშა ონიანმა არც იმ წარმოდგენის შესახებ იცის რამე, რომელსაც ქართველ მაყურებელს მომავალში წარუდგენს, მაგრამ თუ ამ დასისადმი ჩვენი სიმპათიითა და მსახიობთა სიხარულით ვიმსჯელებთ, ჩანს, რომ მორიგი პაემანი მალე შედგება.

## მოკლედ

### „ერისიონი“ თურქეთში

საქართველოს კულტურის დღეების ფარგლებში ანსამბლი „ერისიონი“ 29 მაისს თურქეთში გაემგზავრება. ანსამბლი 4 დღის განმავლობაში მაყურებლის წინაშე სოლო კონცერტებით წარდგება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მწერალთა კავშირს კვლავ მაყვალა გონაშვილი უხელმძღვანელებს

აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის 22-ე ყრილობა გაიმართა. მსახიობის სახლში შეკრებილმა 300-მდე მწერალმა კავშირის ხელმძღვანელობა ძველი შემადგენლობით დაამტკიცა; კავშირის თავმჯდომარედ სამი წლით კვლავ მაყვალა გონაშვილი აირჩიეს, ხოლო მისი მოადგილის თანამდებობებზე ვაჟა ოთარაშვილი და რევაზ მიშველაძე დაამტკიცეს. ყრილობამ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე რევაზ ჭეიშვილი იმავე თანამდებობაზე აღარ წარადგინა.

მწერლებმა გამგეობის და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობაც აირჩიეს.

მწერალთა კავშირის ყრილობას სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ლეონ ანანიანი და საქართველოს კომპოზიტორთა და მხატვართა კავშირების წევრები ესწრებოდნენ. **მედიანიუსი**

### ფრესკების კონსერვაციის პროცესი მიმდინარეობს

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა დაიწყო მარტვილის (VII-XVII სს) ღვთისმშობლის ტაძრის ფრესკების კონსერვაციის პროექტის განხორციელება.

პროექტი ქართველ და იტალიელ რესტავრატორებთან თანამშრომლობით გეტის ფონდის გრანტის ფარგლებში ხორციელდება.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ პროექტის დირექტორმა მაკა დვალიშვილმა განუცხადა, ფრესკების კონსერვაცია მაისში დაწიყო და 2007 წლამდე გაგრძელდება.

მისივე თქმით, პროექტი ითვალისწინებს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ 2003-04 წლებში ჩატარებული დიაგნოსტიკური კვლევითი სამუშაოების შედეგად შემუშავებული მეთოდოლოგიისა და რეკომენდაციების მიხედვით ფრესკებზე საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებას.

„საკონსერვაციო სამუშაოების პარალელურად, პროექტი მოიცავს რესტავრაციის დარგში მოღვაწე პროფესიონალებისა და სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო ღონისძიებებს, საერთაშორისო სარესტავრაციო გამოცდილების დაუფლებას და ქართული კულტურული მემკვიდრეობის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის პოპულარიზაციას“,- განაცხადა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბანკი: პროკრედიტბანკი, საქართველო

### თარიღი: 31 მარტი 2006

**RC** **საბალანსო უწყისი** ლარებში

| | აქტივები | ლარი | უც. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნაღდი ფული | 5,152,724 | 12,768,266 | 17,920,990 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 18,766,405 | 23,368 | 18,789,774 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 2,004 | 32,939,993 | 32,941,997 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 |
| 6.1 | მთლიანი სესხები | 60,906,347 | 216,076,694 | 276,983,041 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (2,549,448) | (6,997,443) | (9,546,891) |
| 6 | წმინდა სესხები | 58,356,899 | 209,079,252 | 267,436,150 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 802,903 | 1,732,123 | 2,535,026 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 108,880 | X | 108,880 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 126,011 | 0 | 126,011 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 15,084,655 | | 15,084,655 |
| 10 | სხვა აქტივები | 3,470,647 | 3,289,387 | 6,760,035 |
| **12** | მთლიანი აქტივები | **101,871,129** | **259,832,389** | **361,703,517** |
| | | | | |
| | **ვალდებულებები** | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 6,900,001 | 11,006,148 | 17,906,148 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 16,243,099 | 33,221,124 | 49,464,223 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 1,831,707 | 18,118,682 | 19,950,389 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 11,530,062 | 77,032,410 | 88,562,472 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | 5,486,796 | | 5,486,796 |
| 18 | ნასესხები სახსრები | 4,410,000 | 108,064,810 | 112,474,810 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 417,062 | 3,570,635 | 3,987,697 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 1,890,382 | 3,799,807 | 5,690,189 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 0 | 12,710,799 | 12,710,799 |
| **22** | **მთლიანი ვალდებულებები** | **48,709,109** | **267,524,414** | **316,233,522** |
| | | | | |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 23,750,100 | X | 23,750,100 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 11,578,890 | X | 11,578,890 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | 0 | X | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 1,896,010 | X | 1,896,010 |
| 27 | საერთო რეზერვები | 0 | X | 0 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 8,244,995 | X | 8,244,995 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 0 | X | 0 |
| **30** | **სულ სააქციო კაპიტალი** | 45,469,994 | X | 45,469,994 |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | **94,179,103** | **267,524,414** | **361,703,517** |

**RC-O** **ბალანსგარეშე ანგარიშები** ლარებში

| N | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 | **პირობითი ვალდებულებები** | 97,934,029 | 1,083,388,983 | 1,181,323,013 |
| 1.1 | აქცეპტები და ინდოსამენტები | | | 0 |
| 1.2 | გაცემული გარანტიები | 1,041,476 | 2,240,185 | 3,281,661 |
| 1.3 | მიღებული გარანტიები | 78,012,565 | 615,079,520 | 693,092,085 |
| 1.4 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით გაცემული აქტივები | | | 0 |
| 1.5 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები | 18,879,986 | 466,056,336 | 484,936,323 |
| 1.6 | სხვა პირობითი ვალდებულებები | 2 | 12,943 | 12,945 |
| 2 | **ფორმალური ვალდებულებები** | 341,099 | 94,156,518 | 94,497,617 |
| 2.1 | აღებული ფინანსური ვალდებულებები | 228,810 | 5,007,013 | 5,235,822 |
| 2.2 | მესამე მხარის მიერ მიღებული ფინანსური ვალდებულებები | 112,289 | 88,832,387 | 88,944,676 |
| 2.3 | მისაღებად მოსალოდნელი ფასიანი ქაღალდები | | | 0 |
| 2.4 | გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | | | 0 |
| 2.5 | ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები | | | 0 |
| 2.6 | ფორვარდული სავალუტო ოპერაციები | | | 0 |
| 2.7 | დანარჩენი ვალდებულებები | 0 | 317,119 | 317,119 |
| 3 | **სხვა ვალდებულებები** | 0 | 232,771 | 232,771 |
| 3.1 | ტრასატის ვალდებულება ბანკის მიმართ | | | 0 |
| 3.2 | კლიენტის ვალდებულება | | | 0 |
| 3.3 | მესამე მხარის კლიენტის ვალდებულება ბანკის მიმართ | 0 | 232,771 | 232,771 |
| 4 | **ვალდებულებები ბანკში შესანახად განთავსებულ ქონებაზე** | 112 | 29,445 | 29,557 |
| 4.1 | ძვირფასი ლითონები | 49 | 27,847 | 27,896 |
| 4.2 | ფასიანი ქაღალდები | | | 0 |
| 4.3 | სხვა ქონება | 63 | 1,599 | 1,662 |
| 5 | **საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები** | 0 | 11,539,535 | 11,539,535 |
| 5.1 | საპროცენტო განაკვეთების სვოპების ძირითადი თანხა | 0 | 9,343,670 | 9,343,670 |
| 5.2 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფორვარდული კონტრაქტები | 0 | 2,195,865 | 2,195,865 |
| 5.3 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფიუჩერსული კონტრაქტები | | | 0 |
| 5.4 | ოფციონები | | | 0 |
| 6 | **კონტრაქტები საქონელზე და სააქციო კაპიტალის შესახებ** | 0 | 0 | 0 |
| 6.1 | სვოპების ძირითადი თანხა | 0 | 0 | 0 |
| 6.2 | ფორვარდული კონტრაქტები | | | 0 |
| 6.3 | ფიუჩერსული კონტრაქტები | | | 0 |
| 6.4 | ოფციონები | | | 0 |
| 7 | **გაუნაღდებელი დოკუმენტები** | 23,398,354 | 0 | 23,398,354 |
| 7.1 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები გადამხდელის მიზეზით | 23,398,354 | 0 | 23,398,354 |
| 7.2 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები ბანკის მიზეზით | | | 0 |
| 7.3 | გაუნაღდებელი საწესდებო ფონდი | | | 0 |
| 8 | **ზარალში ჩამოწერილი ვალები** | 586,876 | 5,871,184 | 6,458,060 |
| 8.1 | სესხებზე მიღებული პროცენტები 31.12.2000-მდე | 274,970 | 588,458 | 863,428 |
| 8.2 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 01.01.2001-დან | | | 0 |
| 8.3 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 31.12.2000-მდე | | | 0 |
| 8.4 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 01.01.2001-დან | 214,987 | 5,282,726 | 5,497,714 |
| 8.5 | ზარალში ჩამოწერილი სხვა აქტივები | 96,919 | 0 | 96,919 |
| 9 | **სხვა ფასეულობა და დოკუმენტები** | 586,756 | 50,806 | 637,561 |
| 9.1 | გაურჩეველი ფულიანი ამანათები | | | 0 |
| 9.2 | მცირეფასიანი ინვენტარი | 583,435 | 0 | 583,435 |
| 9.3 | მკაცრი აღრიცხვის ბლანკები | 3,321 | 50,806 | 54,127 |
| 9.4 | სპეცლატარიის ანაზღაურება | | | 0 |
| 10 | **სულ** | 122,847,225 | 1,195,269,242 | 1,318,116,468 |

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს აუქციონს 2.50 გჰც-დან 2.62 გჰც-მდე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას მიმართა განცხადებით ინდ. მეწარმე "გიორგი გაფრინდაშვილმა" (09.12.2005 წ.) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ 2.5-2.7 გჰც სიხშირულ ზოლში MMDS სისტემის გამოყენებით ჯგუფური სატელევიზიო სიგნალის გადასაცემად დუშეთის რაიონში.

კომისია აგრეთვე აღნიშნავს, რომ არსებობს თავისუფალი სიხშირული რესურსი 2.5-2.7 გჰც სიხშირულ ზოლში და შესაძლებლად მიაჩნია გამოცხადდეს აუქციონი 15 არხის გადასაცემად 2.50 გჰც-დან 2.62 გჰც-მდე.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე და 50-ე მუხლების, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის ¹13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებისა" და "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს აუქციონი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად 2.50 გჰც-დან 2.62 გჰც-მდე სიხშირული ზოლის გამოყენებით უსადენო რადიოდაშვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილიანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის დუშეთის რაიონში;
2. აუქციონის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2006 წლის 7 ივლისის 14:00 საათი;
3. რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 12.210 (თორმეტი ათას ორასათი ლარი) ლარით;
4. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2006 წლის 22 ივნისის 17:00 საათამდე;
5. სალიცენზიო პირობაა ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყება;
6. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მაძიებელი კომისიაში წარადგენს წერილობით განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რომელი სარგებლობის ლიცენზიის სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი.
7. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

ბ) სალიცენზიო მოსაკრებლის (3 000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

გ) რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის (ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი “თი-ბი-სი''; ა/ანგარიში: 609326; კოდი: 220101830; საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050 ან სააქციო კომერციული ბანკი “ბაზისბანკი''; ა/ანგარიში: 7434136; კოდი: 220101956; საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050) და ლიცენზიის მაძიებლის აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში მიიმართება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში;

8. აუქციონში მონაწილეობის უფლება არა აქვს იმ პირს, რომელიც აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად ხდება რადიოსიხშირული სპექტრიდან 50 პროცენტის ან მეტის მფლობელი.
9. თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-7 პუნქტში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, კომისია განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია. დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
10. თუ ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს განაცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი და ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10% - გადახდილი ბეს სახით, ექვემდებარება დაბრუნებას.
11. აუქციონი ტარდება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის ¹13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" შესაბამისად;
12. აუქციონის ბიჯი შეადგენს რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე;
13. აუქციონის სხდომა საჯაროა.
14. აუქციონის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება:

ა) ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

ბ) ქვეყნდება ინტერნეტში კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge);

15. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
16. დაევალოს კომისიის პრეს მდივანს (თ. ტყეშელაშვილი) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
17. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ე.ასანიძე).

კომისიის თავმჯდომარე — დ. ქიტოშვილი

კომისიის წევრები — დ. პატარაია, გ. ფრუიძე, ზ. ნონიკაშვილი

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს აუქციონს (10168±14 მგჰც, 10518±14 მგჰც, 10196±14 მგჰც და 10546±14 მგჰც ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას მიმართა განცხადებით შპს "მშენპროექტკომპანიამ" (წერილი ¹ტ-2, 17.03.2006 წ.) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ 10-13 გჰც სიხშირულ ზოლში რადიოსარელეო კავშირისათვის.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "მშენპროექტკომპანია"-ს ესაჭიროება 56 მგჰც-იანი სიხშირული ზოლი ქ.თერჯოლიდან ქ.ბაღდათამდე მონაცემთა (ტელევიზია, ტელეფონია, ინტერნეტი) გადასაცემად.

კომისია აგრეთვე აღნიშნავს, რომ არსებობს თავისუფალი სიხშირული რესურსი 10-13 გჰც სიხშირულ ზოლში და შესაძლებლად მიაჩნია საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების ITU-R, F746 რეკომენდაციის გათვალისწინებით გამოცხადდეს აუქციონი და გამოიყოს 2X28 მგჰც სიხშირული წყვილი.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე და 50-ე მუხლების, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის ¹13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებისა" და "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს აუქციონი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად ა) 10168±14 მგჰც და 10518±14 მგჰც; ბ) 10196±14 მგჰც და 10546±14 მგჰც სიხშირეებზე რადიოსარელეო კავშირისათვის ქ.თერჯოლა-ქ. ბაღდათი;
2. აუქციონის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2006 წლის 7 ივლისის 13:00 საათი;
3. რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 3.552 (სამი ათას ხუთას ორმოცდათორმეტი ლარი) ლარით;
4. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2006 წლის 22 ივნისის 17:00 საათამდე;
5. სალიცენზიო პირობაა ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყება;
6. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მაძიებელი კომისიაში წარადგენს წერილობით განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რომელი სარგებლობის ლიცენზიის სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი.
7. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

ბ) სალიცენზიო მოსაკრებლის (3 000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

გ) რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე (ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი “თი-ბი-სი''; ა/ანგარიში: 609326; კოდი: 220101830; საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050 ან სააქციო კომერციული ბანკი “ბაზისბანკი''; ა/ანგარიში: 7434136; კოდი: 220101956; საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050) და ლიცენზიის მაძიებლის აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში მიიმართება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში;

8. აუქციონში მონაწილეობის უფლება არა აქვს იმ პირს, რომელიც აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად ხდება რადიოსიხშირული სპექტრიდან 50 პროცენტის ან მეტის მფლობელი.
9. თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-7 პუნქტში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, კომისია განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია. დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
10. თუ ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს განაცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი და ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10% - გადახდილი ბეს სახით, ექვემდებარება დაბრუნებას.
11. აუქციონი ტარდება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის ¹13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" შესაბამისად;
12. აუქციონის ბიჯი შეადგენს რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე;
13. აუქციონის სხდომა საჯაროა.
14. აუქციონის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება:

ა) ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

ბ) ქვეყნდება ინტერნეტში კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge);

15. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
16. დაევალოს კომისიის პრეს მდივანს (თ. ტყეშელაშვილი) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
17. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ე.ასანიძე).

კომისიის თავმჯდომარე — დ. ქიტოშვილი

კომისიის წევრები — დ. პატარაია, გ. ფრუიძე, ზ. ნონიკაშვილი

## საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ატარებს საერთაშორისო ტენდერს 150 ვტ და 250 ვტ უმაღლესი ხარისხის გარე განათების სანათების (ნათურებით) შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 ლოტად:

1. ლოტი I

150 ვტ 2400 ცალი უმაღლესი ხარისხის გარე განათების სანათი (ნათურით)

2. ლოტი II

250 ვტ 1195 ცალი უმაღლესი ხარისხის გარე განათების სანათი (ნათურით)

3. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 1 აგვისტო.

4. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 30 მაისიდან 31 მაისიის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი; ინგოროყვას N7

5. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

*იურიდიული პირისათვის:*

· შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);

· ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

· ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა უნდა წარმოდგენილ იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

· ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა უნდა წარმოდგენილ იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

· ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

*ფიზიკური პირისათვის:*

· ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

· ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

*როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:*

- ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებული.

- შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

6. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ სანათების ნიმუში.

7. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

8. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის აN200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: 30200 3000; დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 30 მაისამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი; ინგოროყვას N7.

9. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს მაღალრეიტინგული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

10 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შორენა მამუკაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 93 47 39; 8 99 732878; მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას N7;

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს **სოფლის მეურნეობის სამინისტრო**, მდებარე ქ. თბილისი, 0179, კოსტავას ქ. N41, აცხადებს ღია ტენდერს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შესყიდვაზე 15 ლოტად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

***I ლოტი*** ტრაქტორი - 110 ან მეტი ცძ. სიმძლავრის 4 WD - 20 ერთეული;

***II ლოტი*** ტრაქტორი - 80 ან მეტი ცძ. სიმძლავრის 4 WD - 30 ერთეული;

***III ლოტი*** ტრაქტორი - 45 ან მეტი ცძ. სიმძლავრის 4 WD - 122 ერთეული;

***IV ლოტი*** გუთანი - 110 ან მეტი ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 20 ერთეული;

***V ლოტი*** დისკებიანი ფარცხი - 110 ან მეტი ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 20 ერთეული;

***VI ლოტი*** გუთანი - 80 ან მეტი ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 30 ერთეული;

***VII ლოტი*** დისკებიანი ფარცხი - 80 ან მეტი ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 30 ერთეული;

***VIII ლოტი*** ხორბლის სათესი სასუქის შემტანით - 80 ან მეტი ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 8 ერთეული;

***IX ლოტი*** სიმინდის სათესი სასუქის შემტანით - 80 ან მეტი ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 2 ერთეული;

***X ლოტი*** ლაფეტი - 80 ან მეტი ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 20 ერთეული;

***XI ლოტი*** სიმინდის ამღები მისაბმელი 2 რიგიანი კომბაინი - 80 ან მეტი ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 2 ერთეული;

***XII*** ლოტი გუთანი - 45 ან მეტი ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 122 ერთეული;

***XIII*** ლოტი როტაციული ფრეზი - 45 ან მეტი ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 24 ერთეული;

***XIV*** ლოტი ლაფეტი - 45 ან მეტი ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 45 ერთეული;

***XV*** ლოტი შემასხურებელი მცენარეთა დაცვისათვის - 45 ან მეტი ცძ. სიმძლავრის ტრაქტორისათვის - 122 ერთეული;

შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს DDP პირობით შემდეგ მისამართზე. მცხეთის რაიონი, სოფ. წეროვანი (ყოფ. სასოფლო-სამეურნეო მანქანათა საგამოცდო სადგური), არაუგვიანეს 2006 წლის 15 აგვისტომდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ან ინგლისურ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 7 ივნისიდან 9 ივნისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 ან 412.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ძებნაში არ იმყოფებიან.

ვ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს (არსებობის შემთხვევაში);

ზ) სატენდერო წინადადებასა ან ხელშეკრულებაზე ხელმოწერისათვის უფლებამოსილ პირებზე გაცემულ მინდობილობას (საჭიროების შემთხვევაში);

თ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;

ი) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5. ტენდერში მონაწილეობა დასაშვებია სუბ-კონტრაქტორების საშუალებით, რომლებზეც ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს განცხადების მე-4 პუნქტში მითითებული შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები. სუბ-კონტრაქტორად ჩაითვლება ყველა ის პირი, რომელიც ჩართული იქნება შესყიდვის ობიექტის ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების პროცესში.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უცხოურმა ორგანიზაციებმა სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ კონკრეტული ქვეყნის შესაბამისი ორგანოებიდან.

7. ტენდერის შესახებ განცხადებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით. ფაქსები არ განიხილება.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტი მე-3 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში მითითებულ ყველა შესაბამის დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნული პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

9. ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ 15 მაისიდან 6 ივნისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 ან 412.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ს/კ 203843010, ან.N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი.

11. ტენდერში სატენდერო წინადადებისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის ფორმით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 ან 412. ტელ: (995 32) 99-92-40

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს**
სატენდერო კომისია

## საქართველოს წელი გამოფენით დაიხურება

14 მაისს კიევის ეროვნულ სამხატვრო მუზეუმში ფიროსმანის ნახატების გამოფენის დახურვით უკრაინაში საქართველოს წელი დასრულდება. ფიროსმანის გამოფენის გახსნას კიევის ეროვნულ სამხატვრო მუზეუმში 6 აპრილს სანდრა რულოვსი ესწრებოდა.

ექსპოზიციას თან ახლავს სამენოვანი (ქართულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე) კატალოგი ნიკო ფიროსმანზე და მის შემოქმედებაზე.

ფიროსმანის ტილოები ხელოვნების მუზეუმის თანამედროვე ქართული ხელოვნების, სარესტავრაციო და საგამოფენო განყოფილებების რეკომენდაციით შეირჩა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართული სპექტაკლი საფრანგეთში

სამეფო უბნის თეატრში რეჟისორ თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული გურამ ოდიშარიას პიესა „ზღვა, რომელიც შორია", შესაძლოა, საფრანგეთის თეატრალური ხელოვნების ფესტივალზე მოხვდეს.

როგორც პიესის ავტორმა, გურამ ოდიშარიამ აღნიშნა, ფესტივალის ორგანიზატორები თეატრს უახლოეს მომავალში ეწვევიან და სპექტაკლს დაესწრებიან. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, წარდგება თუ არა ქართული სპექტაკლი პარიზში დაგეგმილ თეატრალურ ფესტივალზე.

გურამ ოდიშარიას თქმით, პიესა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის თემაზე შეიქმნა, რომელშიც გამოყენებულია მისივე ლიტერატურული ნაწარმოებების „შავი ზღვის ოკეანისა" და „სოხუმში დაბრუნების" დეტალები.

პარიზელი სტუმრებისთვის სამეფო უბნის თეატრი სპექტაკს „ზღვა, რომელიც შორია" 10-11 მაისს წარმოადგენს.

## ემიგრანტი მოქანდაკის გამოფენა

ქანდაკებების კოლექცია სახელწოდებით „დარეჯანის სიზმრები" თემატურად მშობლიური ფესვების მარადიულ ხსოვნას ასახავს და ხელოვანმა იგი საქართველოს მიუძღვნა.

ზურაბიშვილი 1921 წლს საქართველოდან საფრანგეთში გადახვეწილი ქართველი ემიგრანტების შთამომავალია. იგი დაიბადა და გაიზარდა საფრანგეთში, სამშობლოში კი პირველად 2001 წელს ჩამოვიდა.

გალერეის წარმომადგენელთა თქმით, საქართველოში გამოფენის მოწყობა თავად დარეჯან ზურაბიშვილის ინიციატივით დაიგეგმა. ამ მიზნით ემიგრანტი ხელოვანი გალერეას თავად დაუკავშირდა და ქანდაკებების ჩამოტანის ორგანიზებაც თავად იტვირთა.

„შარშან საქართველოში ყოფნის დროს ზურაბიშვილი გალერეას ეწვია და გამოფენის მოწყობის იდეაც მაშინ გაჩნდა. საგამოფენო კოლექციის ნაწილი სწორედ სამშობლოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ასახავს", - აცხადებენ „კოპალას" წრმომადგენლები.

დარეჯან ზურაბაშვილის გამოფენა 6 ივნისს გაიხსნება და ერთ კვირას გასტანს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გიორგი მგელაძის ახალი ფილმი

ჯი-ეიჩ-ენი. უახლოეს მომავალში ქართველი მაყურებელი რეჟისორ გიორგი მგელაძის ახალ ფილმს იხილავს. ფილმი „ჩემი თვითმფრინავი" აფხაზეთის ომის თემას ეძღვნება, რომელიც სიყვარულისა და საქართველოდან გადახვეწილი ემიგრანტების თემის ფონზე ვითარდება. მთავარ როლს მსახიობი ჯუნა თუთბერიძე ასრულებს. ფილმის სცენარი თავად მგელაძეს ეკუთვნის.

„გადაღებები უკვე დასრულდა. ამჟამად მონტაჟი მიმდინარეობს, რომელიც ასევე ბოლო ეტაპზეა. ფილმზე მუშაობა საბოლოოდ ორ კვირაში დასრულდება", - განაცხადა „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას მგელაძემ.

## დაკარგულ ტილოს მიაგნეს

აშშ-ში, ოკლაჰომაში, კერძო კოლექციაში ნაპოვნია ვინსენტ ვან გოგის ტილო, რომელიც დღემდე დაკარგულად ითვლებოდა. მხატვარმა საკუთარი მეგობარი ალექსანდრ რიდი, რომელიც ტილოზეა გამოსახული, 1886 წელს გაიცნო და მასთან ერთად ექვსი თვე მონმარტზე, ერთ ბინაში ცხოვრობდა.

TV5MONDE

### 9 მაისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ნავაჟოების გაზაფხული. დოკ. ფილმი. **07.20** ქრონიკები მთიდან. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.05** ჩვენი სახლი. **12.15** ჰაიტი და საფრანგეთი. დოკ. ფილმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** მუშტარი. მხ ფილმი. რეჟისორი პიერ ბუტრონი. 2003. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** სატელევიზიო ჟურნალი: სოციალური საკითხი. **23.00** განუყრელნი. ტელესერიალი. **01.20** სასახლის ბაღი. ტელესერიალი.

ცენტრ პოინტ ჯგუფი

# ცენტრ პოინტ ჯგუფი

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.**

**განვადება უპროცენტოა.**

**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**

# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"-ის ნომინანტები

| | | | |
|---|---|---|---|
| **საუკეთესო პროზაული კრებული** | | | |
| 1 | შოთა იათაშვილი | **ფოტომამები** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ვანო ჩხიკვაძე | **ზამთრის წიგნი** | ქუთაისი |
| 3 | ბექა ქურხული | **სახლი სხვაგან** | საარი |
| 4 | დათო ტურაშვილი | **აჩიბაბა და ორმოცი ყოჩალი** | ლიტერა |
| **საუკეთესო რომანი** | | | |
| 1 | აკა მორჩილაძე | **ვენერას სიზმარი** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ნინო ჯიბლაძე | **სიყვარული ამერიკაში** | სეზანი |
| 3 | ზაზა ბურჭულაძე | **ხსნადი კაფკა** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 4 | ბესიკ ხარანაული | **ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| **საუკეთესო პოეტური კრებული** | | | |
| 1 | ელა გოჩიაშვილი | **შაბიამანი** | დიოგენე |
| 2 | ზვიად რატიანი | **გზები და დღეები** | არეტე |
| 3 | რატი ამაღლობელი | **ნრე** | გამოიცა ავტორის ხარჯით |
| 4 | ნუგზარ ზაზანაშვილი | **გაუგზავნელი წერილებიდან** | საარი |
| **საუკეთესო დებიუტი** | | | |
| 1 | თეონა დოლენჯაშვილი | **იანვრის მდინარე** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | დათო ქარდავა | **ნოეს მტრედები** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 3 | ზვიად დეედარიანი | **მრავალჟღერადი გული** | სტამბა "ფორმა" |
| **საუკეთესო თარგმანი** | | | |
| 1 | მარი ლუიზე კაშნიცი | **ლექსები** | რუსუდან ლვინეფაძე |
| 2 | ამელი ნოტომი | **კრძალვითა და ცახცახით** | მზია ბაქრაძე |
| 3 | | **ბჰაგავადგიტა** | ლევან რამიშვილი |
| **საუკეთესო პიესა** | | | |
| 1 | ბასა ჯანიკაშვილი | **პიესები** | სიესტა |
| 2 | ლაშა თაბუკაშვილი | **ასტეროიდზე აღარ წვიმს** | ჟურნ. "XX საუკუნე" |
| **საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა** | | | |
| 1 | ტარიელ ჭანტურია | **დინოზავრიდან დიზაინამდე** | მერანი |
| 2 | ირმა რატიანი | **ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში** | თსუ გამომცემლობა |
| 3 | აგი აბაშიძე | **ილია ჭავჭავაძე** | გამოიცა ავტორის ხარჯით |
| 4 | მარინა ბერიძე | **პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან** | უნივერსალი |

# თბილისი. საღამო. შარდენის 12

### დათო მაღრაძის ახალი კრებული და იტალიური მოლოდინი

ია ვეკუა


*დათო მაღრაძე, კოტე ჭანდიერი და ლევან ბერძენიშვილი.*

„დედა რო შვილს ტირის, თანაგრძნობის გარდა ყველაფერი სისულელეა" - ეს პოეტ დათო მაღრაძის ახალი კრებულის ყველაზე პატარა, მაგრამ ყველაზე ტევადი ლექსია. ავტორმა იგი მწიგნობრების, ფარისევლების, ფსიქოანალიტიკოსებისა და უფსკრულის უკუნის გულდასმით მკვლევართათვის დაწერა. თუმცა, არა მხოლოდ მათთვის - მაღრაძის კრებულის „ქარი ფოთლების ბილეთს არიგებს" პრეზენტაცია შარდენის 12-ში მდებარე ბარში უკვე გაიმართა, რაც იმას ნიშნავს, რომ კრებული ფოთლების ბილეთებივით ყველასთვის დარიგებულია.

ახალი კრებული „საარმა" გამოსცა და პირველია პოეტის კიდევ ერთი გახმაურებული წიგნის „სალვეს" შემდეგ. მასში მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ლექსები გაერთიანდა.

„ახალი წიგნი არ არის ახალი სიტყვების ყულაბა, ეს ავტორის ახალი სულიერი ბიოგრაფიაა. „სალვეში" სხვა ბიოგრაფია აღვწერე, სხვა სიტყვებითა და განწყობით. გავიდა დრო და ახალი თავგადასავალი გადამხდა, სიტყვები დამიგროვდა, ზოგიც ძველი გავიხსენე, რომლებიც ჩემს ამჟამინდელ განწყობას გამოხატავდნენ. ამიტომ ახალი ყულაბა დამჭირდა. ასე შეიქმნა „ქარი ფოთლების ბილეთს არიგებს", - განაცხადა დათო მაღრაძემ.

დათო მაღრაძეს უყვარს იმ გარემოსა და ადამიანებზე წერა, რომლებთანაც ხშირად უწევს ყოფნა. უყვარს თბილისი და ამ ქალაქის დილას აღწერს: „თენდება, როგორც ყველგან თანდათან" ან სულაც „სტუმრად თბილისში წვიმის თანხლებით, მაღალი ქუსლი... გუბე... ელენი... გასეირნება... მწკრივი სახლების, შარდენის ქუჩა და გობელენი". შარდენის ქუჩა კი პოეტის ახალი კრებულის ერთგვარ მუზადაც ქცეულა და თბილისის ამ კოლორიტულ უბანს თავისებურად უხდის ხარკს: „თბილისი. საღამო. შარდენის 12. შარდენის ორდენის კავალერს - სალამი! მოდიან ლოთები დადგენილ ნორმებით, დაწერილ ნოტებით არ სუნთქავს არავინ...".

მაღრაძეს არც თავისი ბავშვობა ავიწყდება და იმ სახლს, სადაც წლები გაატარა, კრებულის ყველაზე თბილ ლექსს - „ყაზბეგის ქუჩა 14" უძღვნის: „და იყო სახლი, იყო მაგიდა, იყო თოვლივით ქათქათა სუფრა. და აღარასდროს აღარ წავიდა დღესასწაული მოსული სტუმრად..." ყაზბეგის ქუჩის №14 სწორედ ის სახლია, რომელშიც, როგორც მაღრაძე ამბობს, თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები გაატარა. სწორედ ამ სახლის შესასვლელთან გაკეთებული წარწერა SALVE-ა ამავე სახელწოდების კრებულის სიმბოლო.

**დათო მაღრაძე:** „თითოეული ლექსი ჩემი შინაგანი განწყობის გამოძახილია. პოეტის შემოქმედება ისეთივეა, როგორც რეალური ცხოვრება - არაერთფეროვანი, არაერთგვაროვანი. სათქმელის წადილი ადამიანის თანამდევი განწყობაა. ეს არის ძიების პროცესი, რაც ყველაზე სასიამოვნო მომენტია და რომელსაც ვერასდროს დაასრულებ".

ვიდრე დათო მაღრაძე ძიებისგან მიღებულ სიამოვნებას განიცდის, მანამდე მის ლექსებს იტალიურად თარგმნიან. ახალი კრებულის ნაწილი უკვე იტალიაშია გაგზავნილი. მათ ივნისში გენუასა და ფლორენციაში დაგეგმილი პოეზიის დღესასწაულისთვის მოამზადებენ. ამ ღონისძიებაზე თავად მაღრაძეც მიემგზავრება. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც იტალიის ამ მნიშვნელოვან დღესასწაულზე ქართველი პოეტია მიწვეული და იქ მყოფებს ეტყვის: SALVE!

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)

- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)

+ ლიპოსაქცია

- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## რა მოჰყვება დილერის მოუთმენლობას?

## The Beatles-მა კომპანია Apple-ს "ვაშლი ვერ წაართვა"

B3



## რატომ ცხოვრობს ქართველი გლეხების უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,4029 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0102 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4939 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8140 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8437 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1855 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3109 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3155 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3185 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4820 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3488 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,3793 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1632 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3880 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1985 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2540 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4097 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6452 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,2803 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6221 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3965 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2985 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,6071 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6094 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0670 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1602 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4059 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5643 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | [illegible] |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | [illegible] |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | [illegible] |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2153 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1471 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4446 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2490 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4871 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | [illegible] |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | [illegible] |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | [illegible] |







# რუსეთი ალავერდის მოლოდინში

## "Правда не может быть "комсомольской"

### ქართული ღვინის მხარდასაჭერი ინტერნეტ-აქცია

დიანა ჩაჩუა

*გუშინ ინტერნეტის სხვადასხვა ფურცლებზე საკმაოდ საინტერესო სახელწოდების აქციას გადააწყდებოდით - "Правда не может быть "комсомольской". პლაკატი სათაურით - "დალიე ქართული ღვინო" უცნობმა ავტორებმა შექმნეს და ის რუსულ გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდაში" დაბეჭდილ მასალას ეხებოდა, რომელიც მოსახლეობას ქართულ ღვინოზე უარის თქმას მოუწოდებდა. "პატივი ეცი საკუთარ თავს და შენს სამშობლოს, ნუ წაიკითხავ "კომსომოლსკაია პრავდას" და ნუ გახდები მონა კრემლის მარიონეტების ჯინაზე..." - ნათქვამი იყო განცხადებაში, რომელიც 2006 წლის კალენდარსაც შეიცავდა. პლაკატის მოძიებას ინტერნეტში ნუღარ შეეცდებით, ერთი მარტივი მიზეზის გამო - ის, უბრალოდ, გაქრა ვირტუალური ფურცლებიდან. თვალსაჩინოებისთვის ვაქვეყნებთ აღნიშნულ პლაკატს, რომლის გადანახვა "24 საათმა" მოასწრო.*

**რუსული "იზვესტიას" კორესპონდენტმა თავად მოინახულა რუსულ ემბარგოგამოვლილი საქართველო და საკუთარი თვალით დარწმუნდა, რომ თბილისის, და არა მარტო დედაქალაქის, მაღაზიების დახლები "სწორედ რუსული პროდუქციითაა გადავსებული." "ამიტომაც, ძველი ქართული ტრადიციის - ალავერდის ამოქმედების შესაძლებლობა უსაფუძვლოდ არ უნდა ჩაითვალოს. საქართველოს პასუხის გაცემა ნამდვილად შეუძლია," - წერს რუსი ჟურნალისტი.**

### ინტერნეტ-გამოკითხვა

**რომელ ქართულ პროდუქტს შეგიძლიათ შეელიოთ იოლად?**

7% ღვინო და ჭაჭა
2% ბორჯომი
63% საააკაშვილი
28% უკვე დიდი ხანია საუკეთესო ქართული პროდუქტები რუსეთში მზადდება



გამოკითხულია 2013 ადამიანი

B2

# რას უწყობს ხელს ახალი საბაჟო კოდექსი?

### ქართველი მეწარმეების შეფასებები

ეთერ მამულაშვილი

*რამდენიმე დღეში საქართველოს პარლამენტი ახალ საბაჟო კოდექსს დაამტკიცებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი განხილვა საკანონმდებლო ორგანოში უხმაუროდ მიმდინარეობს, ქართველ მეწარმეთა ერთი ნაწილი კოდექსის მიმართ უკმაყოფილებას არ მალავს. ზოგიერთი მათგანი იმასაც ირწმუნება, რომ საბაჟო კოდექსის არსებული ვარიანტი ადგილობრივ წარმოებას სერიოზულ დარტყმას მიაყენებს. უფრო კონკრეტულად, თუ რა საფრთხეს უქმნის კოდექსი ქართულ წარმოებას? როგორ აფასებენ მას იმპორტიორები და ახალისებს თუ არა ის ექსპორტს? ამ საკითხებზე რამდენიმე ქართველ მეწარმეს გუშინ "24 საათი" ესაუბრა.*

- საბაჟო კოდექსი ერთ-ერთი ის სტრატეგიული დოკუმენტია, რომლის მკაფიოდ ჩამოყალიბებული დებულებები, რაც მთავარია, სიმარტივე, ნებისმიერი ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სწორ და მიზანმიმართულ პოლიტიკას განაპირობებს.
- ახალი კოდექსის ბოლო ვარიანტს იმპორტიორები და ექსპორტიორები დადებითად აფასებენ. მათი თქმით, საბაჟო კოდექსის არსებული პროექტი ბევრად უფრო პროგრესული, მარტივი და მოქნილია.
- ახლი კოდექსის ძალაში შესვლა სერიოზულად აშინებთ ადგილობრივ მეწარმეებს, განსაკუთრებით მათ, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხდება.

B2

# "ჯიპი" კონკურენციას გამორიცხავს



B3

# რუსეთი ალავერდის მოლოდინში

პირველი გვერდიდან



ქართული ღვინის გარეშე დარჩენილი რუსული მედია კი ალკოჰოლური ბაზრის და ღვინის მოყვარულების ბედის განსაზღვრითაა დაკავებული.

რუსული მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ვარაუდობენ, რომ სრულიად მოსალოდნელია, საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მსგავსი ბერკეტები აამოქმედონ და ქვეყანაში რუსული ლუდის, თამბაქოს და სხვა სამრეწველო პროდუქციის იმპორტი აკრძალონ. თუმცა, მათივე გათვლით, ეს სანქციები რუსი მეწარმეებისთვის არც ისე საგრძნობი აღმოჩნდება, რადგან მათივე ინფორმაციით, რუსეთის საქართველოსთან ვაჭრობაში საქართველოს მხოლოდ 0,1 პროცენტი უჭირავს.

რუსული "იზვესტია"-ს კორესპონდენტმა თავად მოინახულა რუსულ ემბარგომამდელი საქართველო და საკუთარი თვალით დარწმუნდა, რომ თბილისის, და არა მარტო დედაქალაქის, მაღაზიების დახლები "სწორედ რუსული პროდუქციითაა გადავსებული." **"ამიტომაც, ძველი ქართული ტრადიციის - ალავერდის ამოქმედების შესაძლებლობა უსაფუძვლოდ არ უნდა ჩაითვალოს. საქართველოს მასტის გაცემა ნამდვილად შეუძლია,"** - წერს რუსი ჟურნალისტი. ეს უკანასკნელი თავის მოსაზრებას შემდეგი ინფორმაციით ამყარებს: გასულ წელს რუსეთიდან საქართველოში 351,3 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქცია შეიტანეს, საპირისპიროდ კი მხოლოდ 154,5 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქცია მიიღო. იმავე წყაროს ინფორმაციით, გასულ წელს ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვამ 505,8 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 50,1 პროცენტით აღემატება 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

**"და მაინც, თუ საქართველო უარს იტყვის პროდუქციაზე "made in Russia", მაშინ დისკომფორტს, პირველ რიგში, ქართული მოსახლეობა იგრძნობს,"** - დასძენს ჟურნალისტი.

მაგალითად, თუ საქართველო რუსული წარმოების ნატურალურ წვენებზე იტყვის უარს, მაშინ ქართველებს ამ პროდუქტისგან საერთოდ გადაჩვევა მოუწევთ, რადგან **"ამ ქვეყანაში ნატურალური წვენების წარმოება, პრაქტიკულად, არ არსებობს."** რუსული გამოცემის ინფორმაციით, გასულ წელს საქართველომ რუსეთიდან მილიონ 237 ათასი ლიტრი წვენი შეისყიდა (ეს, ძირითადად, ბოშინგერის, ფრუტონიკის და ვიმეის წვენები ყოფილა). **"თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთში მინიმუმ 2 მილიარდ 200 მილიონი ლიტრი წვენი ინარმოება, ქართული ბაზრის დაკარგვა არცთუ ისე პრობლემატურად მოგვეჩვენა,"** - ნათქვამია სტატიაში.

თუმცა, როგორც რუსი ჟურნალისტი აღნიშნავს, საქართველოში "რუსულს" არა მარტო სვამენ, არამედ ეწევიან კიდეც. მეტიც, როგორც რუსი ჟურნალისტი წერს, საქართველოში მოხმარებული ლამის ყოველი ღერი თამბაქო რუსეთშია წარმოებული. **"გასულ წელს რუსეთმა საქართველოში 28,9 მილიონი დოლარის ღირებულების 2 მილიარდ 442 მილიონი ცალი თამბაქო შეიტანა, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე, მაგალითად, აზერბაიჯანში და მოლდოვაში იმპორტირებული რუსული პროდუცია,"** - აღნიშნავს სტატიის ავტორი.

სტატიის ბოლოს რუსი ჟურნალისტი ერთ პარადოქსზე საუბრობს: **"ის პესტიციდებიც კი, რომელიც ჩვენმა გენადი ონიშჩენკომ ქართულ ღვინოებში აღმოაჩინა, საქართველოში რუსეთიდანაა შეტანილი."**

საინტერესოა, რომ სტატიას რუსულმა გამოცემამ სპეციალური გამოკითხვის შედეგები დაურთო, რომელშიც 2013 ადამიანი მონაწილეობდა. დასმული იყო კითხვა, თუ "რომელ ქართულ პროდუქციაზე იტყოდით იოლად უარს?" როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი, კერძოდ, 63 პროცენტი უპრობლემოდ გათავისუფლდებოდა ერთი სპეციფიური ქართული "პროდუქტისგან" - სააკაშვილისგან. გამოკითხულთა 28 პროცენტი მიიჩნევს, რომ "ყველა საუკეთესო ქართული პროდუქცია ისედაც რუსეთში იწარმოება". რესპონდენტთა შვიდი პროცენტი იოლად ქართულ ღვინოს და ჭაჭას შეელეოდა, დარჩენილი 2 პროცენტი კი - "ბორჯომს".

და ბოლოს: ამასწინათ, საქართველოს ხელისუფლებაში ხმამაღლა ითქვა, რომ ის რუსული მაგალითის გაზიარებას და დიდი მეზობლის პროდუქციაზე უარის თქმა არ აპირებს.

## თბილისში ქართული ღვინის ეროვნული კონკურსი გაიმართება

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და საქართველოს ეროვნული მუზეუმი ქართული ღვინის ეროვნულ კონკურსს - "საქართველო ღვინის სამშობლო" ჩაატარებენ. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს კონკურსის ორგანიზატორებმა აცნობეს, მასში მონაწილეობას 25-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია მიიღებს. ორგანიზატორთა ინფორმაციით, საერთაშორისო და ქართველი ესპერტებით დაკომპლექტებული ჟიური გამარჯვებულებს 8 სხვადასხვა ნომინაციებში გამოავლენს. შეფასების ე.წ. ბრმა მეთოდით ჟიურის მონაწილეები გამოავლენენ საუკეთესო თეთრ და წითელ მშრალ, ნახევრადმშრალ და ნახევრადტკბილ ღვინოებს, საუკეთესო ცქრიალა ღვონოს და საუკეთესო ჭაჭას. გამარჯვებულთა დაჯილდოება 12 მაისს გაიმართება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ბათუმის ნავთობტერმინალის მფლობელს ბათუმის პორტის იჯარით აღება სურს

ბათუმის ნავთობტერმინალის მფლობელმა დანიელმა ბიზნესმენმა იან ბოდენ ნილსენმა ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის იჯარით აღების სურვილი გამოთქვა. ამის შესახებ, განცხადება ნავთობტერმინალის დირექტორმა და ნილსენის წარმომადგენელმა მოგენ სანსენმა გააკეთა. მისი განმარტებით, ბათუმის ნავთობტერმინალი სახელმწიფოს მიერ ბათუმის პორტის 49-წლიანი იჯარით გადაცემის შესახებ გამოცხადებულ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ ბათუმის იან ბოდენ ნილსენის გარდა, კონკურსში მონაწილეობის სურვილი ამერიკულმა კომპანია Eastwind Maritime Inc-მაც გამოთქვა. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის და კომპანიის წარმომადგენელთა გასულ კვირას ლონდონში გამართული შეხვედრისას გახდა ცნობილი. Eastwind Maritime Inc-ის წარმომადგენლებმა, რომლებიც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მფლობელები არიან, ზურაბ ნოღაიდელს ბათუმის ნავსადგურის იჯარით გადაცემაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის შესახებ განუცხადეს. მათი განმარტებით, კონკურსში მონაწილეობის გადაწყვეტილება კომპანიის დირექტორთა საბჭომ მიიღო. ბათუმის პორტის იჯარით გადაცემის საწყისი ღირებულება 35 მლნ აშშ დოლარია. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო დაინტერესებული პირებისაგან საკონკურსო განაცხადებს 12 მაისამდე მიიღებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# რას უწყობს ხელს ახალი საბაჟო კოდექსი?

პირველი გვერდიდან

საგადასახადო კოდექსის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის შეცვლასაც ქართველი მეწარმეები მოუთმენლად ელოდნენ, საბაჟო კოდექსი იყო. ეს ბუნებრივიც არის, რადგან საბაჟო კოდექსი ის მნიშვნელოვანი კანონია, რაზედაც დიდად არის დამოკიდებული როგორც იმპორტიორისა და ექსპორტიორის, ასევე ადგილობრივი წარმოების წარმატება ან, პირიქით, წარუმატებლობა.

უფრო მეტიც, საბაჟო კოდექსი ერთ-ერთი ის სტრატეგიული დოკუმენტია, რომლის მკაფიოდ ჩამოყალიბებული დებულებები, რაც მთავარია, სიმარტივე, ნებისმიერი ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სწორ და მიზანმიმართულ პოლიტიკას განაპირობებს.

დღეს მოქმედი კოდექსი 1997 წელს არის მიღებული, რაც, ეკონომიკური ექსპერტებისა და თავად მეწარმეების შეფასებითაც, არალიბერალური, ბიუროკრატიულია და ბიზნესის განვითარებისათვის ბევრ ხელისშემშლელ პუნქტს შეიცავს.

ახალი კოდექსის ბოლო ვარიანტს იმპორტიორები და ექსპორტიორები დადებითად აფასებენ. მათი თქმით, საბაჟო კოდექსის არსებული პროექტი ბევრად უფრო პროგრესული, მარტივი და მოქნილია, რომლის ამოქმედებასაც ისინი მოუთმენლად ელიან.

სამაგიეროდ, ახლი კოდექსის ძალაში შესვლა სერიოზულად აშინებთ ადგილობრივ მეწარმეებს, განსაკუთრებით მათ, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხდება.



## კმაყოფილი ექსპორტიორები

ახალ საბაჟო კოდექსში, ფაქტობრივად, არ მოიძებნა მუხლი, რომელიც ექსპორტიორების უკმაყოფილებას იწვევდეს. მეტიც მათი თქმით, ამ კოდექსით ექსპორტის სასიკეთოდ ძალიან ბევრი რამ იცვლება. უნდა ითქვას, რომ არსებული საბაჟო კოდექსი რამდენიმე ისეთ შეღავათს ისედაც ითვალისწინებს, რაც, წესით, ექსპორტის წახალისებას უწყობს ხელს. გარდა იმისა, რომ ახალ კოდექსში ეს შეღავათები შენარჩუნებულია, მას რამდენიმე ახალი პუნქტიც ემატება.

ასე მაგალითად: ცნობილია, რომ ბოლო რამდენიმე წელი საექსპორტო პროდუქციის პირველ სამეულში ქართული ღვინო და ღვინო-მასალები ლიდერობს. ქართველ მეღვინეებს, რომელთა წარმოებული პროდუქციის 80 პროცენტზე მეტი ექსპორტისთვის არის განკუთვნილი, საბოლოო პროდუქტის საწარმოებლად ხშირად დამხმარე მასალები - ბოთლები, მისი საცობები, ეტიკეტები, ყუთები და სხვა შესაფუთი მასალები - საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. ეს მასალა განბაჟებას არ ექვემდებარება, თუკი ის მეწარმეს საექსპორტო პროდუქციის საწარმოებლად შემოაქვს. თუმცა ამ შემთხვევაში მოქმედი საბაჟო კოდექსი მეწარმეს მხოლოდ 6-თვიან ვადას აძლევს, ანუ თუკი ის შემოტანიდან 6 თვის განმვლობაში ვერ მოახერხებს პროდუქციის ექსპორტზე გატანას, იმპორტირებული მასალა აუცილებლად უნდა განაბაჟოს. ეს კი, თავის მხრივ, ექსპორტიორებს საჭირო მასალების მცირე პარტიით შემოტანას აიძულებს, რაც საბოლოო ჯამში მათ ბიზნესს არცთუ მომგებიანს ხდის. საბაჟო კოდექსის ახალი ვარიანტით, 6-თვიანი ვადა 12 თვემდე, რიგ შემთხვევებში 2 წლამდე იზრდება. **"ეს კი დამხმარე მასალების დიდი რაოდენობით შემოტანის საშუალებას გვაძლევს. ეს ძალიან კარგია, რადგან ასეთ დროს, გარდა იმისა, რომ ერთეულის ღირებულება მცირდება, იაფი ჯდება ტრანსპორტირებაც. რაც მთავარია, გვექნება მარაგები, რათა არ გვქონდეს წყვეტები,"** - უთხრა "24 საათს" "თბილღვინოს" გენერალურმა დირექტორმა ზურაბ მარგველაშვილმა.

## სტიმული იმპორტიორებისთვის

ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ ახალი საბაჟო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა ერთიორად გაიზრდება. ამის თქმის საშუალებას, პირველ რიგში, ის საბაჟო განაკვეთები იძლევა, რომელიც არსებულთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირდება. ასე მაგალითად, 30-პროცენტიანი საბაჟო გადასახადი 12 პროცენტი ხდება, 12-პროცენტიანი - 5, და უქმდება მთელი რიგი საბაჟო გადასახადები.

განაკვეთების შემცირება არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც იმპორტიორები კოდექსის ახალი ვარიანტით აღფრთოვანებულები არიან.

განაკვეთების გარდა, კოდექსის პროექტში შეტანილია რამდენიმე ისეთი მუხლი, რასაც ქართველი იმპორტიორები ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ხელისუფლებისგან ითხოვდნენ. ერთი-ერთი ასეთი მოთხოვნა ნავთობიმპორტიორებსაც ჰქონდათ. "ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა და იმპორტიორთა ასოციაცია", რომელიც "კანარგო სტანდარტ ოილს", "ლუკოილს", "ეკოს" და სხვა მსხვილ კომპანიას აერთიანებს, ხელისუფლებისგან დახურული ტიპის საბაჟო ტერმინალების შემოღებას ითხოვდა. ახალ საბაჟო კოდექსში ეს უკვე ასახულია, რაც იმპორტიორს აძლევს საშუალებას, წინასწარი განბაჟებისა და თანხის გადახდის გარეშე შემოიტანოს ქვეყანაში ნავთობპროდუქტების დიდი მოცულობა. **"დახურული ტიპის საბაჟო ტერმინალის არსებობა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ქვეყანაში შევქმნათ ნავთობპროდუქტების გარკვეული მარაგი. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასები ასე სწრაფად იცვლება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ასოციაციის თავმჯდომარემ გიორგი კოტრიკაძემ.

კიდევ ერთი, რასაც ახალ საბაჟო კოდექსზე საუბრის დროს იმპორტიორები ხაზგასმით აღნიშნავენ - საბაჟო პროცედურები მნიშვნელოვნად მარტივდება და გაცილებით გამჭვირვალე ხდება.

საბაჟო განაკვეთების ასეთი მნიშვნელოვანი შემცირება და იმპორტის მოზღვავება იძლევა იმის იმედსაც, რომ იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასები ასეთივე პროპორციით შემცირდება, რითაც ყველზე მეტად რიგითი მომხმარებლი იხეირებს, თუმცა ამ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ გარკვეული პრობლემები ადგილობრივ ნაწარმს შეექმნას.

## საფრთხე, რომელიც ადგილობრივ წარმოებას ექმნება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრეტენზიები ახალ კოდექსთან, ძირითადად, რამდენიმე ადგილობრივ მეწარმეს გააჩნია, განსაკუთრებით მათ, ვისაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, წარმოებული პროდუქცია ექსპორტზე არ გააქვთ. მათი შეფასებით, საბაჟო კოდექსის არსებული ვარიანტი იმპორტის წახალისებაზეა ორიენტირებული, რაც ადგილობრივ წარმოებას დიდ დარტყმას მიაყენებს. მეტიც, თუკი მათ დავუჯერებთ, ახალი კოდექსი ადგილობრივ წარმოებას მნიშვნელოვნად შეზღუდავს, რაც ზოგიერთ ქართველ მეწარმეს საკუთარი საწარმოს კარს, დროებით ანუ სამუდამოდ, გამოახურინებს.

მართალია, კომპანია "ყაზბეგს" ეს საშიშროება ყველაზე ნაკლებად ემუქრება, თუმცა ახალი კოდექსით ისინიც უკმაყოფილოები არიან. პრეტენზიის ძირითადი "ობიექტი" საბაჟო განაკვეთებია, რაც, კომპანიის შეფასებით, ადგილობრივ ნაწარმს არაკონკურენტულ პირობებში ჩააყენებს. **"ეს უფრო პოლიტიკური საკითხია, ვიდრე ერთი კონკრეტული კომპანიის პრობლემა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის კონკურენცია იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ზოგადად ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში და ადგილობრივი წარმოებისთვის ხელის შეშლა. ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ ეს კოდექსი იმპორტის წახალისებაზეა ორიენტირებული. ხელისუფლების განცხადება, რომ ეს იქნება წახალისება იმათთვის, რომლებიც შემოიტანენ ტექნოლოგიებსა და დანადგარებს, და მერე ამით თითქოს ხელი შეეწყობა ადგილობრივ წარმოებას, სიცრუეა. ვიდრე ისინი წარმოებას აამუშავებენ, ამ პერიოდში ქვეყანაში ადგილობრივი წარმოება საერთოდ მოისპობა,"** - აცხადებენ კომპანია "ყაზბეგში".

"ყაზბეგისგან" განსხვავებით, წარმადობის შეზღუდვა ან საერთოდ გაჩერება ემუქრებათ იმ ნისქვილკომბინატებს, რომლებიც იმპორტირებული ხორბლისგან ფქვილს აწარმოებენ. ამ მეწარმეებს პრობლემები არც დღემდე აკლდათ თურქეთიდან იმპორტირებული ფქვილის სახით, რომელიც ქვეყანაში, ბოლო ერთი წელია, საკმაოდ დაბალ ფასებში შემოდის. მეტიც, როგორც ქართველი ნისქვილკომბინატების მფლობელები ამბობენ, თურქული ფქვილი ქართულ ბაზარზე დემპინგურ ფასში იყიდება. ამის ძირითადი მიზეზი თურქეთის ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკაა, რომელიც ექსპორტის წახალისების მიზნით ბიუჯეტიდან დიდი მოცულობის სუბსიდიებს გამოყოფს. სუბსიდირების მექანიზმს ის ძალიან აქტიურად იყენებს ხორბლის ფქვილთან დაკავშირებით. ქართველი მეწარმეები შიშობენ, რომ ფქვილზე საბაჟო განაკვეთის 12 პროცენტამდე შემცირება კიდევ უფრო გააიაფებს თურქულ ფქვილს **"რაც ადგილობრივ წარმოებას სერიოზულ დარტყმას მიაყენებს. ქართველ მწარმოებლებს კონკურენციის გაწევა დღესაც ძალიან რთულ პირობებში უწევთ. ახალი კოდექსი კი ქმნის საფრთხეს, რომ ბევრი ადგილობრივი მეწარმე და საწარმო საერთოდ გაჩერდეს. მოკლედ, ახალი კოდექსი ფქვილის იმპორტს შეუწყობს ხელს ჩვენი წარმოების საზიანოდ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს გორისა და კაჭრეთის წისქვილკომბინატების მესაკუთრემ სერგი კაკალაშვილმა.

ცნობისათვის, უკანასკნელი რამდენიმე წელია, ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქციის პირველ ხუთეულში ხორბალი და ფქვილი შედის.

## რას ამბობენ ექსპერტები?

"საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" გამგეობის თავმჯდომარე დავით ნარმანია ერთ-ერთი მათგანია, ვინც ახალ საბაჟო კოდექსზე მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა და მთავრობას გარკვეულ რეკომენდაციებსაც უგზავნიდა. ის ამბობს, რომ ახალი კოდექსი, მოქმედთან შედარებით, ცალსახად პროგრესულია და **"რაც მთავარია, ხდება საბაჟო რეჟიმების ოპტიმიზაცია - 15 ნაცვლად, ვიღებთ 7 საბაჟო რეჟიმს. ამ დოკუმენტში ასახულია ბევრი ისეთი რამ, რაც დღეს მოქმედი კოდექსით რეგულირების მიღმა რჩება. ახალი კოდექსის პროექტში პროცედურული დებულებები დეტალურად არის გაწერილი, რაც თავიდან აგვარიდებს გარკვეულ გაუგებრობებს,"** - ამბობს ნარმანია.

მიუხედავად კოდექსის დადებითი მხარეებისა, საშიშროებაზე, რომელზედაც ადგილობრივი მეწარმეები ზემოთ საუბრობდნენ, ექსპერტიც ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, საბაჟო განაკვეთების დადგენის დროს კარგად უნდა განისაზღვროს იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელიც დაბალ საბაჟო განაკვეთებს საჭიროებს და რისი აუცილებლობაც ქვეყანაში მართლაც არსებობს. **"ისეთ პროდუქციაზე დაბალი საბაჟო გადასახადი, რომელიც ქვეყანაში არ იწარმოება, მისასალმებელია და ძალიან კარგი, რადგან ტიპიური მომხმარებლისთვის ის უფრო ხელმისაწვდომ ფასებში გაიყიდება. მაგრამ ისეთი პროდუქტი, რომელიც ადგილობრივადაც საკმარისი იწარმოება, ამ შემთხვევაში მათ მწარმოებლებს მართლაც ემუქრებათ გაჩერების თუ არა, შეზღუდვის საშიშროება,"** - უთხრა "24 საათს" "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" გამგეობის თავმჯდომარემ.

# რას ამბობს საბაჟო კოდექსის მეხუთე კარი?

თინა შავაძე

*"საქართველოს საბაჟო კოდექსის" კანონპროექტის განხილვა პარლამენტის მიმდინარე წლის საგაზაფხულო სესიებზე დასრულდება. გასულ კვირას დეპუტატებმა კანონპროექტის ოთხ კარს მეორე მოსმენით უყარეს კენჭი, ხოლო მეხუთე კარს მიმდინარე კვირაში პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში დაამუშავებენ. სამუშაო დოკუმენტის მეხუთე კარში ჩადებულ მუხლებს (მთლიანად 265 მუხლს მოიცავს) შორის, საკანონმდებლო ხელისუფლება მხოლოდ სამი მუხლის მთავრობისეულ ფორმულირებას არ ეთანხმება. ამ საკითხზე "24 საათს" საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის უფროსი თეიმურაზ კოპალეიშვილი ესაუბრა.*

**- სადავო საკითხებზე შეუთანხმებლობა კანონპროექტის განხილვის საშემოდგომო სესიებზე გადატანას ხომ არ გამოიწვევს?**

- ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. მეხუთე კარში პრინციპულ საკითხებზე შეთანხმებული ვართ. საკამათო საკითხია ბუნებრივი დანაკარგების არსებობა, რომელიც საბაჟო ორგანოებმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ. მთავრობის მიერ შემოთავაზებულ კანონპროექტში წერია, რომ ბუნებრივი დანაკარგების ნორმები საქართველოში დადგენილი უნდა იყოს, მაგრამ დღემდე ქვეყანაში ასეთი ნორმები არ არსებობს. ჩვენი წინადადებაა - კოდექსის გარდამავალ დებულებებში ჩაიწეროს დავალება მთავრობისადმი. მან გარკვეულ დროში ხსენებული ნორმები უნდა შეიმუშაოს. სხვათა შორის, ამ ნორმების შემუშავებას ითვალისწინებს საგადასახადო კოდექსიც. ამიტომაც, ჩვენი მოთხოვნა პრინციპული და საფუძვლიანია.

**- კოდექსის 71-ე მუხლი საკმაოდ ამძიმებს დეკლარანტის მდგომარეობას. გამოდის, რომ საბაჟო კოდექსი ყველამ კარგად უნდა იცოდეს.**

- კოდექსის 71-ე მუხლით, თუ აღმოჩნდა, რომ დეკლარაციაში დეკლარანტმა არასწორად მიუთითა რაიმე მონაცემები და ამან გამოიწვია გადასახადის შემცირება, მაშინ მას გარკვეული პასუხისმგებლობა დაეკისრება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოველთვის ასე არ უნდა მოხდეს. დოკუმენტის შევსებისას შესაძლებელია, დეკლარანტმა უნებლიე შეცდომა დაუშვას. ეს ეხება იმ იურიდიულ პირებს, რომლებიც საქონლის იმპორტირებას ხშირად არ ახდენენ. ასეთ მდგომარეობაში შეიძლება ფიზიკური პირიც აღმოჩნდეს, რომელიც ვალდებულია, დეკლარაცია შეავსოს და, ამ დროს, მან კანონმდებლობის მოთხოვნის შესახებ არაფერი იცის. ასეთ დროს დეკლარანტს უფლება უნდა ჰქონდეს, დაიბრუნოს საბაჟო დეპარტამენტში წარდგენილი დეკლარაცია, რათა მასში შესაბამისი ცვილებები შეიტანოს. ყველა დეკლარანტში დამნაშავე არ უნდა ვეძებოთ. ჩვენი წინადადებაა, აღნიშნული გარემოება კოდექსში გათვალისწინებული იყოს.

**- ექჭმიტანილი იმპორტიორი ვალდებულია, ტვირთი ჩამოტვირთოს, რაც გარკვეული საფასური ჯდება. თუ ის მართალი აღმოჩნდა, ხარჯებს ვინ დაფარავს?**

- ეს არის საკითხი, რომელზეც კომიტეტშიც კი, ჯერჯერობით, შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. იმპორტიორმა დეკლარაციაში სწორად მიუთითა ყველაფერი, მაგრამ მას მებაჟე სთხოვს, გარკვეული ეჭვის საფუძველზე, ტრანსპორტიდან საქონელი დატვალიერების მიზნით ჩამოცალოს. თუ შემოწმების შედეგად იმორტიორი მართალი აღმოჩნდა, ამ შემთხვევაშიც კი, მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტით, ტრანსპორტიდან საქონლის ჩამოტვირთვისა და ხელმეორედ დატვირთვის ხარჯებს მეწარმე ფარავს და არა საბაჟო სამსახური. ეს ნორმა მიუღებლად მიგვაჩნია და, ჩვენი წინადადებით, პირიქით უნდა მოხდეს. მით უმეტეს, როცა ჩვენ გვაქვს საბაჟო მოსაკრებელი და აქედან ბიუჯეტში შესული თანხები საბაჟო მომსახურებას ხმარდება. დანარჩენ შემთხვევაში ვეთანხმებით მთავრობას, რომ თუ იმპორტიორს დეკლარაციაში მითითებული საქონლის ნაცვლად ქვეყანაში სხვა დასახელების საქონელი შემოაქვს, მაშინ ის უნდა დაისაჯოს და აღნიშნული ხარჯებიც თვითონვე გადაიხადოს.

## ხორბლის იმპორტის შემცირებას ელიან

რუსეთის ჩრდილოეთით ხორბლის ცუდ მოსავალს ვარაუდობენ, რის გამოც საქართველოში მეზობელი ქვეყნიდან ხორბლის იმპორტის მნიშვნელოვნად შემცირებას ელიან. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" გორის წისქვილკომბინატის დირექტორმა და ხორბლის იმპორტიორმა მირიან ოქრუაშვილმა განუცხადა, რუსეთის ჩრდილოეთით ხორბლის დიდი მოსავალი ძლიერმა ყინვებმა გაანადგურა. "ქართულ ბაზარზე წელს რუსეთიდან ხორბლის იმპორტი საგრძნობლად შემცირდება. ადგილობრივი ხორბალი კი ქვეყანას სულ რამდენიმე თვე ჰყოფნის და, ამასთან, ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. ვფიქრობ, პრობლემის აღმოსაფხვრელად გარკვეული ღონისძიებების გატარება იქნება აუცილებელი," - განაცხადა ოქრუაშვილმა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თუ ქართულ ბაზარზე რუსეთიდან ხორბლის ექსპორტი შემცირდება, მაშინ ქართველ იმპორტიორებს მოუწევთ, ხორბლის ექსპორტიორი სხვა ქვეყნებიდან შეავსონ ადგილობრივი ბაზარი პურ-პროდუქტებისთვის საჭირო ნედლეულით, რათა ქვეყანაში არ მოხდეს ფქვილთან ერთად პურ-პროდუქტებზე ფასის მატება. ცნობისთვის, ქართულ ბაზარზე რუსეთიდან წელიწადში 259 074 245 ტონა ხორბლის ექსპორტი ხორციელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ტერმინალ 99" აუქციონზე კიდევ ერთხელ გამოიტანენ

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო შპს "ტერმინალი 99" -ის ადმინისტრაციულ შენობის გაყიდვას კიდევ ერთხელ შეეცდება. საპრივატიზაციო ობიექტზე მორიგი აუქციონი 11 მაისს არის დანიშნული. ბათუმში მდებარე საპრივატიზაციო ობიექტის საწყისი ფასი 450 000 აშშ დოლარია.ტერიმანილის საერთო 1436,2 კვ მეტრია, ხოლო დაკავებული მიწის ფართი - 562,35 კვ მეტრი. აღსანიშნავია, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ტერმინალზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მინისტრის, ნათელა წიკლაშვილის თქმით, "ტერმინალ 99"-ს ხელსაყრელი მდებარეობა უკავია და ამიტომ, სავარაუდოდ, კარგ ფასში გაიყიდებოდა. თუმცა, მარტში მოწყობილ აუქციონზე ტერმინალის შესყიდვის სურვილი არავის გამოუთქვამს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გონიოს საავადმყოფო კონკურსზე იყიდება

გონიოს საავადმყოფო 10 მაისს კონკურსის წესით გაიყიდება. საპრივატიზაციო ობიექტის საწყისი ფასი 200 000 აშშ დოლარია. კონკურსის პირობაა გამოსასყიდი თანხის დაფარვა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში. მყიდველმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვის ვადაში ასევე უნდა უზრუნველყოს თანამედროვე დონის არანაკლებ 80-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის დაპროექტება, აშენება და ექსპლუატაციაში შეყვანა, ხოლო 6 თვის ვადაში [illegible] **ჯი-ეიჩ-ენი**

## "სბკ-ის" სახელმწიფო წილი იყიდება

"საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" [illegible] **ჯი-ეიჩ-ენი**

## Intel-ის ნოუთბუქები 400 დოლარად

კომპანია Intel-მა ახალი ნოუთბუქები გამოუშვა. კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ეს ნოუთბუქები სპეციალურად განვითარბადი ქვეყნების სკოლებისთვის შეიქმნა. მათი ღირებულება 400 დოლარს არ აღემატება და გაყიდვაში 2007 წლისთვის გამოვა.

ახალი ნოუთბუქი, სახელწოდებით Eduwise, ე.წ ფლეშ-მეხსიერებითა და Windows XP სისტემებით იქნება აღჭურვილი. ამასთან, კომპიუტერში Wi-Fi- ჩიპი იქნება ჩამონტაჟებული.

კომპანიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ კომპანია Intel, ამ შემთხვევაშიც სამართლიანად მუშაობს. "სხვა კომპანიებისა და მათ მიერ განხორციელებული პროექტებისგან განსხვავებით - ჩვენი კომპანია განვითარებად ქვეყნებს ხარისხიან პროდუქციას სთავაზობს. მიუხედავად დაბალი ფასისა, InteL-ი განვითარებად ქვეყნებს "გუშინდელ ტექნოლოგიებს" არ მიყიდის"- განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა.

## კომპანია Daewoo-ს დამფუძნებელს ციხე ემუქრება



სამხრეთკორეის პროკურატურა კომპანია Daewoo-ს დამფუძნებლების დაპატიმრებასა და გამოტანილი სასჯელის უკვე ოფიციალურად ამოქმედებას ითხოვს. პროკურატურა კიმ ვუ ჩუკს 15 წლით თავისუფლების აღკვეთით ემუქრება და ამასთან, მილიარდი დოლარის დაბრუნებასაც მოითხოვს. Daewoo-ს 69 წლის დამფუძნებელი 2005 წელს, ვიეტნამში დააკავეს.

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ მან 10,7 მილიარდი დოლარის შესაბამისი კრედიტები უკანონოდ მიითვისა. ამასთან კომპანიის დამფუძნებელს ბრალი საბანკო ანგარიშების ფალსიფიკაციაშიც ედება ბრალი. მის მიერ განხორციელებული ფინანსური მაქინაცია 43,86 მილიარდ დოლარს შეადგენს. კომპანია Daewoo 1999 წელს გაკოტრდა. კომპანიის ვალი კი 75 მილიარდ დოლარზე მეტია.

## დიდი სამეული დაიშალა

მსოფლიოში ავტომწარმოებლების "დიდი სამეული" იცვლება. კომპანია DaimlerCHrysler Toyota-ს კონკურენციას ველარ უწევს. კომპანია Toyota-მ ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე გაყიდულ ავტომობილთა რაოდენობით მესამე ადგილი დაიკავა. DaimlerChrysler იაპონური კონკურენტის წინაშე პოზიციებს თმობს. მეორე ამერიკული კონცერნი General Motors-მა, რომელიც ბოლო პერიოდის მანძილზე სერიოზულ ფინანსურ სირთულეებს განიცდიდა, უკვე დიდი ხანია უკან დაიხია. აზიური საავტომობილო ბრენდები ამერიკულ და ევროპულ კომპანიებს ტრადიციული ბაზრიდან აძევებენ. General Motors-ის რეალიზაცია საგრძნობლად დაეცა. გასულ თვეში ამ მსხვილი ავტომწარმოებლის გაყიდვა თითქმის 11%-ით დაეცა. აზიური კომპანიები კი ამერიკულ ბაზარზე თავიანთ პოზიციებს უკვე მეათე თვეა იმყარებენ. Ford Motors ავტომობილების წარმოების თვალსაზრისით, მსოფლიოში მეორე კომპანიაა. ბოლო პერიოდში მისი გაყიდვა 6,6%-ით შემცირდა. კონცერნმა Toyota-მ ავტომობილების წარმოება და რეალიზაცია 4,5%-ით გაზარდა. ანალოგიური წარმატებებით მუშაობს კომპანია Honda.

მყიდველები აზიური ავტომობილების შეძენას მათი ეკონომიურობიდან გამომდინარე ამჯობინებენ. ბენზინის გაძვირებამ აზიურ კომპანიების პოპულარულობაზე სერიოზოლად იმოქმედა. ამერიკაში წელს დაახლოებით 16,7 მილიონი ავტომობილი გაიყიდა, თუმცა ამერიკული კომპანიები ამ ეტაპზე გაბატონებულ ტენდენცას არ ეპუებიან.

Toyota-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კომპანია ავტომობილების წარმოების გაზრდას კიდევ აპირებს. "ჩვენ გლობალურ მასშტაბებს მივაღწევთ. 2010 წლისთვის კომპანია 10 მილიონ ავტომობილს გაყიდის."-განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა. თუ Toyota დასახულ გეგმებს განახორციელებს, მაშინ ეს იაპონური ავტომწარმოებელი მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს კონცერნად იქცევა. Toyota-ს ასეთი უპირატესობა Daimler Chrysler-თან მიმართებაში ექსპერტებს სერიოზული შეფასებების საფუძველს აძლევს. ისინი აცხადებენ, რომ "დიდი სამეული", რომელიც არსებობის ათ წელს ითვლის, იშლება.

## UBS ბრაზილიის ბანკს იყიდის

შვეიცარიის ბანკი UBS ბრაზილიის საინვესტიციო ბანკის banco Pactual S.A-ის შეძენას აპირებს. შვეიცარიის ბანკი აღნიშნულ გარიგებიაში 2,5 მილიარდი დოლარის გადახდას აპირებს. ბანკის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თანხას ნაწილ-ნაწილ დაფარავენ. პირველი შესატანის სახით ისინი 1 მილიარდ დოლარს გადაიხდიან. დანარჩენ თანხას კი 5 წლის მანძილზე დაფარავს. ბრაზილიის ბანკის შეძენას შვეიცარიის ბანკი სექტემბერში აპირებს. შესყიდვის ოფიციალურ ვერსიაში ნათქვამია, რომ ეს გარიგება, ბრაზილიის ბანკისთვის საკმაოდ სტრატეგიული ნაბიჯია. ამასთან, აღნიშნული გარიგება შვეიცარიის ბანკს სამხრეთ ამერიკის ბაზარზე თავისუფლად მოქმედების საშუალებას მისცემს. Banco Pactual ბრაზილიაში საინვესტიციო ბანკებს შორის ლიდერულ პოზიციებზე ჯერ კიდევ მყარად დგას.



# რა მოჰყვება დილერის მოუთმენლობას?

მერაბ ლორთქიფანიძე

მეტად უჩვეულო ფაქტი დაფიქსირდა აშშ-ის საავტომობილო ცენტრის, ქალაქ დეტროიტის გარეუბან დირბორნში - "ჯენერალ მოტორსის" კუთვნილ კომპანია "შევროლეს" იქაურმა დილერმა, კომპანია "სტენფორდ შევროლემ" დაიწყო წინასწარი განაცხადების მიღება ავტომობილზე, რომლის წარმოების დაწყების გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

ლაპარაკია სპორტულ მოდელ "შევროლე კამაროზე", რომლის კონცეპტუალური ვარიანტიც კომპანიამ დეტროიტის წლევანდელ ავტოსალონზე წარადგინა. ავტოსალონის შემდეგ, "გენერლების" ხელმძღვანელობამ კონცეპტუალური მოდელი დაიწუნა და შემდგომი დახვეწის მიზნით, მის შემქმნელებს დაუბრუნა. შესაბამისად, არც მისი წარმოების დაწყება გადაწყვეტილა.

სამაგიეროდ, შტატ მიჩიგანის ავტომოყვარულებში მეტად პოპულარულ საავტომობილო ჟურნალ "დიუპონ რეჯისტრიში" დაიბეჭდა "სტენფორდ შევროლეს" მიერ შეკვეთილი რეკლამა, რომელიც იუწყება: "ახალი კამარო მოდის" და იქვე ურჩევს მისი ყიდვის მსურველებს, თქვენი ავტომობილი ახლავე შეუკვეთეთო.

რეკლამას მოსალოდნელი შედეგი მოჰყვა, "სტენფორდ შევროლემ" მიიღო რამდენიმე შეკვეთა, რომლებსაც რეკლამაში მითითებული წინასწარ შესატანი თანხის, ათასი დოლარის ჩეკიც მოჰყვებოდა.

ამ ამბავს უმალ მოჰყვა გამოხმაურება "ჯენერალ მოტორსის" ხელმძღვანელობის მხრიდან. მათ კომპანიის დეტროიტულ შტაბ-ბინაში დაიბარეს სადილერო კომპანიის მფლობელი პოლ სტენფორდი და განუმარტეს, რომ მის მიერ გავრცელებულ სარეკლამო განცხადებაში არასწორი ფაქტებია მითითებული და ამის გმო, რეკლამა გასაუქმებელია.

"რეკლამიდან "კამაროს" სურათის ამოღებას დავთანხმდი, განცხადებიდან ასევე ამოღებული იქნება დასახელება "ახალი კამაროც". მის ნაცვლად კი ჟურნალში სხვა სახის რეკლამას განვათავსებთ. რაც შეეხებათ იმ პირებს, რომლებმაც წინასწარი შესატანი თანხა გადაიხადეს, სურვილის შემთხვევაში, მათ ფულის დაბრუნების საშუალება ექნებათ", - ამბობს სტენფორდი.

"ჯენერალ მოტორსის" გაყიდვების განყოფილების ვიცე პრეზიდენტი მარკ ლანევე აცხადებს, რომ დილერი პასუხს აგებს ამგვარი საქციელისთვის. თუმცა ერთი რამ ცხადია - სტენფორდის მიერ გაკეთებულმა რეკლამამ "გენერლების" მარკეტოლოგებს დაანახა, რომ "შევროლე კამაროს" კარგი მომავალი აქვს და რომ მისი წარმოების დაწყება არ იქნება შეცდომა.

"შევროლეს" წარმომადგენელი მაიკ ალბანო ამბობს, რომ "ჯენერალ მოტორსი" გამოიძიებს მომხდარს და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სანქციებს გამოიყენებს დილერის მიმართ. მან იქვე დასძინა, რომ კომპანია "კამაროს" წარმოების შესაძლო დაწყების შესახებ, გადაწყვეტილებას ზაფხულში მიიღებს.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა ავტოსალონზე კონცეპტუალური ავტომობილის ჩვენებას ასეთი აჟიოტაჟი მოჰყვა. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა 1989 წელსაც მას შემდეგ, რაც დეტროიტის ავტოსალონზე "კრაისლერმა" პირველად წარადგინა კონცეპტუალური "დოჯ ვაიპერი". იმ დებიუტის შემდეგ "კრაისლერის" შტაბ-ბინაში უამრავი სადეპოზიტო ჩეკი მივიდა, რომლებითაც პოტენციური მყიდველი "კობო სენტერში" ნანახი ავტომობილის შესაძენად აკეთებდა განაცხადს. არადა, იმ დროს ჯერაც არ იყო გადაწყვეტილი "ვაიპერის" ბედი.

უფრო მეტიც, "კრაისლერის" მომავალი პრეზიდენტის, ბობ ლუცის სახელზე ერთმა კაცმა 60 000-დოლარიანი ჩეკი გაგზავნა, რომლითაც უცნობი ერთბაშად ორ "ვაიპერზე" აკეთებდა განაცხადს. ამასთან, ერთი, რა თქმა უნდა, თავისთვის უნდოდა, მეორე კი - ცოლისთვის. რა თქმა უნდა, "კრაისლერმა" ყველა ჩეკი უკან დააბრუნა. სამაგიეროდ, "ვაიპერის" წარმოების დაწყება გადაწყვიტა.

ჰოდა, ახლა ისტორია მეორდება. თითქმის გამორიცხულია, "გენერლებმა" არ გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ მყიდველი ახალ "კამაროს" მოითხოვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მალე ალბათ ეს ავტომობილი ამერიკის გზებზე გამოჩნდება. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ანალოგიური კლასის განახლებული "ფორდ მუსტანგი" დიდი პოპულარობით სარგებლობს მყიდველთა შორის...

# "ჯიპი" კონკურენციას გამორიცხავს

მერაბ ლორთქიფანიძე

წლის ბოლოდან ჯიპის სამოდელო გამა ორი ახალი ავტომობილით შეივსება. ორივე ავტომობილი ერთ პლატფორმაზეა აგებული და ორივე 20-40 წლის მყიდველისთვისაა განკუთვნილი. მათგან ერთის სახელია "პეტრიოტი", მეორისა კი - "კომპასი". რაც მთავარია, ავტომწარმოებელი ირწმუნება, რომ ეს ორი ავტომობილი ერთ შოურუმშიც კი არ გაუწევს ერთმანეთს კონკურენციას. უფრო მეტიც, ორივე ერთად, საგრძნობლად გაზრდის "კრაისლერის" უგზოობის ავტომობილების მწარმოებელი დივიზიონის გაყიდვებს.

"კრაისლერის" ჯგუფის გლობალური გაყიდვებისა და მარკეტინგის განყოფილების აღმასრულებელი ვიცე პრეზიდენტი ჯოი ებერჰარდტი აცხადებს, რომ ეს ორი ავტომობილი ერთი ასაკის, თუმცა მაინც სრულიად განსხვავებული ტიპის მყიდველებისთვისაა განკუთვნილი.

"პეტრიოტიც" და "კომპასიც" უგზოობის კომპაქტური ავტომობილების სეგმენტში დაიკავებენ ადგილს. ორივე ბაზირებულია "კრაისლერის" კიდევ ერთი ახალი ავტომობილის, "დოჯ კალიბერის" პლატფორმაზე. ამასთან, ორივეს რადიკალურად განსხვავებული გარეგნობა აქვს.

მაგალითად, "პეტრიოტის" დიზაინი "ჯიპის" წარსულს გვაგონებს, "კომპასი" კი უფრო თანამედროვე, მომრგვალებული ფორმებით გამოირჩევა და ებერჰარდტის თქმით, უფრო სუსტი სქესის მყიდველს მიიზიდავს. "თუ ზოგადად ვიტყვი, "პეტრიოტი" ტრადიციული "ჯიპია". სამაგიეროდ, "კომპასი" არის ცინცხალი ინტერპრეტაცია იმისა, თუ როგორი შეიძლება იყოს "ჯიპის" ავტომობილები. ეს არის უფრო სტილიზებული, ნაკლებად დაკუთხვილი და ამასთან, ნაკლებად ფუნქციონალური ავტომობილი", - ამბობს ებერჰარდტი.

ორივე ავტომობილის კაპოტქვეშ აბსოლუტურად ერთნაირი აგრეგატებია განლაგებული. საბაზო აღჭურვილობაში შედის ოთხცილინდრიანი, 2.4 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე ბენზინის ძრავი, რომელთანაც 5-საფეხურიანი, მექანიკური გადაცემათა კოლოფია შეწყვილებული. მწარმოებელი მყიდველს ორივე ავტომობილს შესთავაზებს ან წინა, ან ოთხივე წამყვანბორბლიანი ვერსიის სახით. ამასთან, "პეტრიოტისთვის" ოპციის სახით, დიდი გამავლობის ავტომობილის პაკეტიც იქნება გათვალისწინებული.

ებერჰარდტი ამბობს, რომ "კრაისლერმა" ამ ორი ავტომობილის წარმოება პოტენციური მყიდველის სურვილების გათვალისწინებით გადაწყვიტა. "ჩვეულებრივ, ავტომობილის მომზადების პროცესში, სამი-ოთხი კონცეპციიდან ერთს ვირჩევთ ხოლმე, მაგრამ ამჯერად, საწარმოო ციკლამდე ორმა ავტომობილმა მოაღწია, რაც იშვიათი შემთხვევაა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება კი მხოლოდ პოტენციური მყიდველის სურვილების შესწავლამ გადაგვაწყვეტინა. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენ ერთ შოურუმში დავაყენებთ ორივე ავტომობილს და სრულებითაც არ შეგვეშინდება იმისა, რომ ისინი ერთმანეთს გაუწევენ კონკურენციას", - ამბობს ებერჰარდტი.

კომპანიის მარკეტოლოგები ვარაუდობენ, რომ "პეტრიოტის" ტიპიური მყიდველი იქნებიან 20-40 წლის ახალგაზრდები, რომელთა საშუალო წლიური შემოსავალი 65 000 დოლარია. "პეტრიოტის" პოტენციურ მყიდველთა კატეგორიას განეკუთვნებიან ინდივიდუალები, რომლებსაც დროის ღია ცის ქვეშ გატარება სჩვევიათ და რომლებიც "ჯიპისგან" ნამდვილ უგზოობის ავტომობილებს ელიან.

"კომპასმაც" იგივე ასაკის ის მყიდველი უნდა მიიზიდოს, რომელთა საშუალო წლიური შემოსავალი 60 000 დოლარია. ოღონდ, პირველებისგან განსხვავებით, ამ კატეგორიის მყიდველი ოჯახზე ორიენტირებულია და მისთვის უფრო მთავარი მოხდენილი და კომფორტული ავტომობილია.

"ჯიპი" ვარაუდობს, რომ 2010 წლიდან გაყიდვები გაორმაგდება და წლიურად 568 000-ს მიაღწევს. 2016 წლისთვის კი გაყიდვებმა 814 000 ავტომობილს უნდა მიაღწიოს.

"კომპასის" გაყიდვების დაწყება მესამე კვარტალში იგეგმება. ავტომობილის საბაზო ფასი 15 985 დოლარი იქნება. "პეტრიოტის" გაყიდვები კი მეოთხე კვარტალში დაიწყება. ჯერჯერობით არაა დადგენილი მისი საბაზო ღირებულება.

# The Beatles-მა კომპანია Apple -ს "ვაშლი ვერ წაართვა"

Apple Corps.-ის ხმის ჩამწერმა სტუდიამ, რომელიც ჯგუფ The Beatles-ის კომერციულ ინტერესებს იცავს, ამერიკულ კომპანია Apple Computer Inc.-ს ვერანაირი საფრთხე ვერ შეუქმნა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, Apple Corp-ის იურისტებმა კომპანია Apple Computer Inc-ს სასამართლოში უჩივლეს. ამის მიზეზად კი მუსიკალური მაღაზიების მიერ აღნიშნული კომპანიის ლოგოტიპის გამოყენება გახდა. აღნიშნულმა კომპანიებმა 1991 წელს ბიზნეს-ტერიტორიები ოფიციალურად გამიჯნეს.




გუშინ ბრიტანულმა სასამართლომ გამოძიება განაახლა. საქმის ხელახალი დაწყება კი მუსიკალური ინტერნეტ-მაღაზიების მხრიდან კომპანიის ლოგოტიპის გამოყენების არცთუ უსაფუძვლო ეჭვმა განაპირობა.

" ჩემი აზრით, ვაშლის გამოსახულებიანი ლოგოტიპის გამოყენება არანაირად არ უკავშირდება მუსიკათმწარმოებლების საქმიანობას. ვფიქრობ, რომ ლოგოტიპის გამოყენება სრულიად გამართლებული და დასაბუთებულია, რადგან მიუთითებენ კომპანიის კავშირზე მათ მიერ წარმოებულ მომსახურებაზე და ეს ყოველივე თვით მუსიკალურ კომპოზიციებთან ასოცირდება."-აცხადებს მოსამართლე.

ეს გადაწყვეტილება Apple Corps-ის წარმომადგენლებს არ აკმაყოფილებთ, რის გამოც ისინი უახლოეს მომავალში დიდი ბრიტანეთის სააპელაციო სასამართლოს მიმართავენ.

## აშშ-ს ბირჟაზე მრავალმხრივი ცვლილებებია

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა მრავალმხრივი ცვლილება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე კვლავ სხვადასხვაგვარი გავლენა მოახდინა დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა, ნავთობის ფასის კლებამ და ვენესუელასა და ბოლივიაში კვლავინდებურად არსებულმა დაძაბულმა სიტუაციამ.







საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,07 პროცენტით, 11.592,14 პუნქტამდე მოიმატა. 0,38 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.336,07 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,07 პროცენტით, 1.323,76 პუნქტამდე შემცირდა.

## ნავთობი ოდნავ გაიაფდა

გუშინ ლონდონის და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე სანავთობე ფიუჩერსები (სამომავლო კონტრაქტები) საშუალოდ 52 ცენტით გაიაფდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობის ფასმა 70,21 დოლარი შეადგინა, 1 ბარელი Light-ის მარკის ნავთობი კი 69,77 დოლარი ღირდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ამის მიზეზი ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმად ნეჯადის მიერ აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისათვის გაგზავნილი წერილი გახდა. მართალია, მასში არაფერი მნიშვნელოვანი არ თქმულა, მაგრამ 27 წლის განმავლობაში პირველად გაკეთებული ოფიციალური მიმართვა ერთგვარად დამაიმედებელი აღმოჩნდა.

თუმცა, ექსპერტთა ვარაუდით, უახლოეს მომავალში ნავთობი ისევ გაძვირდება, რისი მიზეზიც კვლავინდებურად ირანში, ერაყსა და ნიგერიაში არსებული დაძაბულობა, ვენესუელასა და ბოლივიაში შექმნილი სიტუაცია და რუსეთის მიერ ნათვობის ექსპორტზე გადასახადის გაზრდა იქნება.

## ირანი ეკონომიკური ბლოკადის წინაშე დგას

ევროპის უმსხვილესმა ბანკებმა ირანთან ფინანსური ოპერაციების მოცულობა შეამცირეს. ამის მიზეზი აშშ-ს მხრიდან ზეწოლა გახდა, რომლის მიზანი ირანის ფინანსური მიმოქცევის მკაცრი კონტროლი და ამ ქვეყნის წინააღმდეგ, ფაქტობრივად, ეკონომიკური სანქციების შემოღებაა.

ვაშინგტონი ცდილობს თეირანს სპეციალური რეჟიმი შეუქმნას. მსგავსი რამ აშშ-მ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ შარშან განახორციელა, როცა ჩრდილოეთ კორეის მთავრობის ყველა ფანანსური ოპერაცია დაიბლოკა. მაშინ ამერიკელებმა კონტროლი დაამყარეს კერძო ბანკებზე, რომელთა მეშვეობით კსდრ თავის სავაჭრო და ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებდა.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ირანის მიერ განხორციელებული ნავთობით ვაჭრობის მოცულობა აშშ-ს ამ ქვეყნის ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევას ძალიან გაუძნელებს. ირანს ნავთობის მოპოვების და ექსპორტის მხრივ, საუდის არაბეთის შემდეგ, ოპეკის წევრ ქვეყანათა შორის მეორე ადგილი უკავია. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ირანმა ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაბანდებული ოქროსა და სავალუტო რეზერვები ევროკავშირის საბანკო ანგარიშებიდან აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ბანკებში გადაიტანა.

## ვენესუელას მოკავშირეები ალჟირი და ირანი იქნებიან

ვენესუელას ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, ეს სამხრეთამერიკული ქვეყანა აპირებს ბუნებრივი აირის მოპოვების ახალი პროექტები ალჟირთან და ირანთან ერთად განახორციელოს. აღსანიშნავია, რომ ოპეკის წევრებიდან ნავთობის მოპოვების საკითხებში ვენესუელა განსაკუთრებით მჭიდროდ სწორედ ამ ორ ქვეყანასთან თანამშრომლობს, რასაც პოლიტიკური მეკავშირეობით ხსნის.

გასულ წელს ვენესუელას მთავრობამ მდინარე ორინოკოს "შავ სარტყელში" ნავთობის საბადოების დაზვერვის ექსკლუზიური უფლება შვიდ უცხოურ კომპანიას მისცა. ესენი გახლავთ: ბრაზილიური Petrobras, ირანული Petropars, ჩინური National Petroleum Corporation, ინდური ONGC, ესპანურ-არგენტინული Repsol YPf და რუსული "ლუკოილი" და "გაზპრომი".

რაც შეეხება ვენესუელური გაზის მოპოვების პროექტების განხორციელებას, ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიებიდან მასში აუცილებლად ჩართული იქნება ირანული Petropars. გარდა ამისა, ნავარაუდევია ალჟირული კომპანიების შემოყვანა და, გამორიცხული არ არის, რუსული კომპანიების მონაწილეობაც.

## ჩინეთი 5 წელში 48 აეროპორტს ააშენებს

ჩინეთის სახალო რესპუბლიკის სამთავრობო პრესის ინფორმაციით, უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში 48 ახალი აეროპორტის აშენებაა დაგეგმილი. მსოფლიოს ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყანამ ავიაგადაზიდვებში ინვესტიციების გაზრდა მგზავრთა ნაკადის გამუდმებით მატების გამო გადაწყვიტა.

ექსპერტთა პროგნოზით, მგზავრთა რაოდენობა ყოველწლიურად 14 პროცენტით გაიზრდება. ამიტომაც პეკინი 140 მილიარდი იუანეს (17,5 მილირდი დოლარი) დახარჯვას აპირებს. ეს გაცილებით ბევრია, ვიდრე უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ამ სფეროში განხორციელებული ინვესტიცია. 2010 წლისათვის ჩინეთში აეროპორტების რიცხვი 142-დან 190-მდე გაიზრდება, 2020 წლისათვის კი 220-მდე.

## Walt Disney-მ McDonald's-თან კავშირი გაწყვიტა და Pixar-ი შეიძინა

ათი წლის განმავლობაში მოქმედი ხელშეკრულების მიხედვით McDonald's-ს სარეკლამო მიზნებისათვის Disney-ის მულტფილმების პერსონაჟების გამოყენების და "დისნეილენდებში" თავისი რესტორნების გახსნის უფლება ჰქონდა. სანაცვლოდ, Walt Disney ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარს იღებდა და McDonald's-ის რესტორნებში თავისი ფილმების და სატელევიზიო პროგრამების 11 სარეკლამო აქციას მართავდა.

მაგრამ გუშინ Walt Disney-მ კორპორაცია McDonald's-სთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა და მასთან ურთიერთობა გაწყვიტა. ოფიციალური ინფორმაციით, ამის მიზეზი სტუდიის მიერ, რომელიც საოჯახო და საბავშვო ფილმების წარმოებაზეა ორიენტირებული, ფატს-ფუდისაგან, რომელსაც აშშ-ში ბავშვთა სიმსუქნის ეპიდემიის გავრცელებას უკავშირებენ, თავის შორს დაჭერის სურვილი გახდა.

სამაგიეროდ, Walt Disney-მ მულტიპლიკაციური სტუდია Pixar შეიძინა, რომლის აქციონერებმა 7,4 მილიარდ დოლარად განხორციელებულ ამ გარიგებას მწვანე შუქი აუნთეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ანგარიშსწორება ფასიანი ქაღალდებით განხორციელდება. კერძოდ, Pixar-ის, რომელიც 100 პროცენტით Walt Disney-ის შვილობილი კომპანია გახდება, აქციონერები თითოეული თავიანთი აქციის სანაცვლოდ Walt Disney-ის 2,3 აქციას მიიღებენ. ხოლო Pixar-ის ყოფილი თავკაცი სტივ ჯობსი Walt Disney-ის აქციების 7 პროცენტის მფლობელი და დირექტორთა საბჭოს წევრი გახდება.

სავარაუდოდ, აღნიშნული გარიგება Walt Disney-ის მულტიპლიკაციაში ლიდერის პოზიციის დაბრუნებაში დაეხმარება. მსოფლიოს უმსხვილესი მედია-ჰოლდინგი, ბოლო დროს, ამ სფეროში წაგებაზე მუშაობდა.

## კომპანია წყალი მარგებელი მეორე ქარხანას გახსნის

მინერალური წყლების კომპანია "წყალი მარგებელი" რუსული ბაზრის დაკარგვის გამო დიდ ფინანსურ დანაკარგს არ განიცდის და წარმოების გაფართოებას გეგმავს. კომპანია ჩოხატაურში მიმდინარე წლის ზაფხულში მეორე ქარხანას გახსნის. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" კომპანიის დირექტორმა ირაკლი უშვერიძემ განუცხადა, გერმანელი პარტნიორები ზაფხულში ახალი გერმანული ფირმის "კრონეს" ხაზი დაამონტაჟებენ, რომლის წარმადობა საათში 12 000 ბოთლი "ნაბეღლავის" ჩამოსხმაა. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია მსოფლიოს 12 ქვეყანაში გადის. უშვერიძის თქმით, აქტიურად მიმდინარეობს ახალი ბაზრების მოძიება, მისივე ინფორმაციით, შესაძლებელია წელს "ნაბეღლავი" და "ზახმარო" ისრაელის, გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების ბაზრებზე გავიდეს. "ნაბეღლავის" ექსპორტი რუსეთის ბაზარზე დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მინისტრთა კაბინეტი დღეს ქართული პროდუქციისათვის გასაღების ახალი ბაზრების მოპოვების შესახებ იმსჯელებს

სახელმწიფო კანცელარიაში ხვალ ტრადიციული ყოველკვირეული სხდომა გაიმართება.

მინისტრთა კაბინეტი იმსჯელებს ქართული პროდუქციისათვის გასაღების ახალი ბაზრების მოპოვების შესახებ. წინასწარი დღის წესრიგით განსაზღვრულია 17 საკითხის განხილვა. მთავრობა მოისმენს ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტებზე - "განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ", "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე". გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიორგი პაპუაშვილი წარმოადგენს საკითხს მდინარე არაგვის ხეობის ეკოლოგიური მდგომარეობისა და იქ განთავსებული წყალსადენების სათავე ნაგებობების სანიტარული მდგომარეობის შესახებ. მინისტრთა კაბინეტი განიხილავს კანონპროექტს, რომელიც ელექტროენერგეტიკის სფეროში დავალიანებათა მართვის საკითხს დაარეგულირებს, ასევე იმსჯელებს ს/ს "თბილსრესის" Nმე-3 და Nმე-4 ენერგობლოკების რეაბილიტაციის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ვლადიმერ ჭიპაშვილის ინიციატივით, განიხილება ფულადი სოციალური დახმარებების გაცემისა და პერსონიფიცირებული სისტემის დანერგვისა და 2006-2009 წლებში საქართველოში ტრადიციული და ალტერნატიული მედიცინის განვითარების საკითხები. **ინტერპრესნიუსი**

## ნილსენს ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის მართვის უფლების მოპოვება სურს

გავრცელებული ინფორმაციით, ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის 49-წლიანი მართვის უფლების მოპოვების სურვილი დანიელმა ბიზნესმენმა იან ბოდე ნილსენმა გამოთქვა. იგი უკვე ორი წელია, ბათუმის ნავთობტერმინალის მფლობელია. ბათუმის ნავსადგურის 49-წლიანი იჯარით გაცემაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კონკურსი 12 აპრილს გამოაცხადა. მისი საწყისი ფასი 35 მილიონი დოლარია. ტენდერი 12 მაისს ჩატარდება. იმავე დღეს იწურება სამინისტროში საპრივატიზაციო განცხადების წარდგენის ვადა. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ჯერჯერობით, ბათუმის ნავსადგურის მართვის უფლებით გადაცემაზე არც ერთი განაცხადი არ შესულა. თუმცა, მისი იჯარით გადაცემის სურვილს არა ერთი უცხოელი ინვესტორი გამოთქვამს. როგორც "მედიანიუსს" ეკონომიკის სამინისტროში უთხრეს, საპრივატიზაციო განაცხადებს ინვესტორები, ჩვეულებრივ, ტენდერის წინა დღეს წარადგენენ ხოლმე. განაცხადების მიღების ვადა 12 მაისის 17 საათზე იწურება. 18 საათზე კი ტენდერია დანიშნული. სავარაუდოდ, ინვესტორთა განაცხადებიც სამინისტროში სწორედ 11 მაისს, ან 12 მაისს 17 საათამდე იქნება წარდგენილი. **მედიანიუსი**

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს, სავარაუდოდ, ყაზახეთიც გამოიყენებს

ყაზახეთს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საკუთარი ნავთობის საექსპორტოდ გამოყენება სურს. როგორც ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა დანიელ ახმეტოვმა ბაქოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, უკვე მზადდება დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც, ყაზახეთი ივნისის შუა რიცხვებისათვის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობპროექტს მიუერთდება. ახმეტოვის თქმით, თუ შეთანხმება ყაზახეთსა და აზერბაიჯანს შორის შედგება, 2008 წლისთვის ყაზახეთი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მეშვეობით 7-8 მილიონი ტონა ნახშირწყალბადის ნედლეულის ექსპორტს გეგმავს. **მედიანიუსი**

## ამინდი

| | 10/05 | 11/05 | 12/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 13 | 21 | 20 |
| რიგა | 19 | 20 | 20 |
| ვილნიუსი | 16 | 17 | 19 |
| მოსკოვი | 13 | 13 | 20 |
| მინსკი | 17 | 20 | 20 |
| პარიზი | 19 | 21 | 22 |
| რომი | 21 | 23 | 25 |
| ლონდონი | 21 | 15 | 20 |
| მადრიდი | 28 | 26 | 27 |
| ბონი | 21 | 25 | 25 |
| ვარშავა | 20 | 21 | 21 |
| ათენა | 21 | 24 | 26 |
| ბერნი | 15 | 25 | 25 |
| ამსტერდამი | 20 | 21 | 22 |
| ოსლო | 21 | 20 | 16 |
| ანკარა | 26 | 26 | 23 |
| ვარნა | 21 | 20 | 22 |
| დელი | 51 | 51 | 46 |
| ტოკიო | 21 | 18 | 21 |
| კოპენჰაგენი | 20 | 18 | 17 |
| ბაქო | 25 | 24 | 28 |
| ერევანი | 29 | 30 | 32 |
| ასტანა | 18 | 18 | 16 |
| ჰელსინკი | 13 | 13 | 15 |
| დუბლინი | 16 | 12 | 13 |
| ლისაბონი | 27 | 26 | 24 |
| პრაღა | 19 | 20 | 21 |
| სოფია | 15 | 22 | 20 |
| ბუდაპეშტი | 22 | 22 | 26 |
| ბუხარესტი | 22 | 23 | 21 |

# სოფლის მეურნეობა

### რატომ ცხოვრობს ქართველი გლეხების უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე

თეიმურაზ ღოღობერიძე

გაგრძელება, დასაწყისი № 98, 99, 100



### ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკა

ევროკავშირს ერთიანი აგრარული პოლიტიკა აქვს (EU Common Agricultural Policy - CAP), რომლის ფარგლებში გატარებული ღონისძიებებიც ევროკავშირის ერთიანი ბიუჯეტიდან ფინანსდება. CAP-ის მიზნები განსაზღვრულია ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 33-ე მუხლის პირველ პუნქტში.

ესენია:

- აგრარულ სექტორში შრომის პროდუქტიულობის ზრდა და ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციისა და საკვები პროდუქტების ხარისხის განუხრელი გაუმჯობესება;
- შიდა და გარე ბაზრებზე ევროპული აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდა;
- რურალურ რეგიონებში ცხოვრების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შემოსავლების ზრდის მეშვეობით;
- აგრარული პროდუქციის ბაზრების სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- წარმოებული პროდუქციის მომხმარებლისთვის გონიერ ფასად მიწოდების უზრუნველყოფა.

CAP-ის რეალიზაციის ძირითადი ელემენტებია: ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის წარმოებს საბაჟო ან რაიმე სხვა გადასახადებისაგან თავისუფალი ვაჭრობა; ევროკავშირის ქვეყნებში საკვების ხარისხის, ვეტერინარული და ფიტორეაპიული ერთიანი სისტემის შექმნა; მესამე ძირითადი ელემენტია აგრარული პროდუქციის ფასწარმოქმნის რეგულირების ერთიანი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ევროპელი ფერმერების შემოსავლების მაღალ დონეს, მათ შორის, ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების ნაწილობრივი კომპენსაციის გზით. ასეთი ღონისძიებების წყალობით, ევროკავშირის ქვეყნების შიდა ბაზრებზე პირველად აგრარულ პროდუქციაზე შედარებით მაღალ ფასებს ინარჩუნებენ. მართალია, ბოლო წლებში შეიმჩნევა აგრარული პროდუქციის ფასწარმოქმნაში ჩარევის შემცირების ტენდენცია და, შესაბამისად, ხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ევროკავშირში არსებული ფასების მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებთან დაახლოება, მაგრამ ზოგიერთ სექტორში, როგორიცაა რძის, ხორცისა და შაქრის წარმოება, კვლავაც აქტიურად გრძელდება პირველადი პროდუქციის ფასწარმოქმნაზე სერიოზული ზემოქმედება. CAP-ი ითვალისწინებს ევროკავშირის აგრარული პროდუქციის ბაზრების დაცვას იმპორტირებული საქონლისგან, რაც აგრარული პროდუქციის იმპორტზე მაღალი გადასახადებით მიიღწევა. გარდა ამისა, თუ მაღალი შიდა წარმოების გამო, რაიმე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასი ზედმეტად დაეცა, ევროკავშირი აფინანსებს ჭარბი პროდუქციის შესყიდვას, ექსპორტირებას ან შენახვას მანამ, სანამ ფასები არ დასტაბილურდება. ასეთი ღონისძიებები, როგორც წესი, ხორბლის, რძისა და ხორცის ბაზრებზე გამოიყენება. და ბოლოს, CAP-ის მეოთხე ძირითადი ელემენტი არის ფერმერების ფინანსური დახმარებისა და წახალისების ერთიანი სისტემა. ფერმერებისთვის გაწეული ფინანსური დახმარება სამი სახისაა: პირდაპირი დახმარება (დახმარების ეს ტიპი, როგორც წესი, გამოიყენება მხოლოდ იმ აგრარული პროდუქციის მწარმოებლებისთვის, რომლის ფასი ევროპაში წლების განმავლობაში ეცემა, როგორიცაა, მაგალითად, საქონლის და ცხვრის ხორცი); აგრარული პოლიტიკის გატარებისას გაწეული მიზნობრივი დახმარება და დახმარება ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ატარებენ რურალური განვითარების ნაციონალურ პროგრამებს, რომელიც შეთანხმებულია ევროკომისიის ერთიან ღონისძიებებთან.

### აგრარული პოლიტიკა ავსტრიაში

ავსტრიაში, ისევე, როგორც ევროკავშირის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში, თავად ქვეყნის მთავრობა სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას არ ახორციელებს. ფერმერების სუბსიდირება ევროკავშირის სოფლის მეურნეობის სუბსიდირების ერთიანი სისტემის ფარგლებში ხდება. ავსტრიელი ფერმერები, როგორც წესი, არ იღებენ სუბსიდიებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, შენახვის ან ექსპორტირებისთვის. ევროპული სუბსიდიები ავსტრიელი ფერმერებისთვის მხოლოდ წარმოების საშუალებების შეძენისა ან ფერმის მოდერნიზაციაზე გაწეული ხარჯების ნაწილობრივ კომპენსაციას გულისხმობს. ასეთი ტიპის სუბსიდიები მიზნად ისახავს ევროპელი ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას და, შესაბამისად, მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა ესპანეთი, პორტუგალია და საბერძნეთი, ფერმერები, მათ შორის - ნაციონალური ბიუჯეტიდან, ბევრად უფრო მრავალფეროვან სუბსიდიებს იღებენ.

შეღავათები ავსტრიელი ფერმერებისთვის მხოლოდ საინვესტიციო სუბსიდიებით არ შემოიფარგლება. ავსტრიაში არსებობს დღგ-ს ორი განაკვეთი, შეღავათიანი - 10 პროცენტი და ჩვეულებრივი 20 პროცენტი. სოფლის მეურნეობაში, ისევე როგორც კვების მრეწველობაში, მოქმედებს დღგ-ს შეღავათიანი განაკვეთი. ამასთან, პირველადი აგრარული პროდუქციის მწარმოებლები დღგ-ს გადახდისგან თავისუფლები არიან. ეს, ერთის მხრივ, ამარტივებს გადასახადების ადმინისტრირებას, ხოლო, მეორეს მხრივ, სახელმწიფოს არაფერი უჯდება, რადგან სამომხმარებლო ბაზარზე მოხვედრამდე აგრარული პროდუქცია გაივლის გადამამუშავებელ მრეწველობას, რომელიც, ფერმერებისგან განსხვავებით, დღგ-სგან თავისუფალი არ არის.

გადასახადების მხრივ, ერთი შეხედვით, მსგავსი სიტუაციაა საქართველოშიც. ჩვენთან წვრილი მეწარმეები, მათ შორის - ფერმერები, თუ მათი წლიური ბრუნვა 100 000 ლარს არ აღემატება, არ არიან დღგ-ს გადამხდელები. პარადოქსულია, მაგრამ ასეთმა პოლიტიკამ, როდესაც საგადასახადო შეღავათის დაწესების კრიტერიუმად გამოიყენება ბრუნვა, შესაძლოა, პერსპექტივაში სერიოზული პრობლემები შეუქმნას საქართველოში როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის განვითარებას. ერთი პოტენციური პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი წესი ხელს უშლის ევროპაში ფართოდ გავრცელებული, ხოლო ლიტვაში ინტენსიურად სტიმულირებული ფერმერული კოოპერატივების ჩამოყალიბებას. მართლაც, თუ ფერმერები, რომელთა საერთო ბრუნვა 100 000 ლარზე ნაკლებია, გაერთიანდებიან ფერმერულ კოოპერატივში, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ მათი საერთო ბრუნვა ზღვრულ თანხას გადააჭარბებს, კოოპერატივი ავტომატურად ხდება დღგ-ს გადამხდელი, რაც ქმედით კოოპერაციას, პრაქტიკულად, შეუძლებელს გახდის. მეორე პოტენციური პრობლემა ის არის, რომ ასეთი საგადასახადო სისტემა ხელს უშლის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას. როგორც ცნობილია, ავსტრიისგან განსხვავებით, საქართველოში აგრარული პროდუქციის დიდი ნაწილის რეალიზაცია გადამამუშავებელ მრეწველობაში გავლის გარეშე ხდება. ეს ყოველმხრივ მანკიერი პრაქტიკაა და სახელმწიფოს პოლიტიკა ცივილიზებული მექანიზმების დანერგვისკენ უნდა იყოს მიმართული. დღეს ჩვენთან არსებული ვითარება, როდესაც მის მიერ წარმოებულ პროდუქციას გლეხი თავად უკეთებს რეალიზაციას აგრალურ ბაზრებზე (ან, რაც უფრო ხშირად გვხვდება, ამას მის მაგივრად წვრილი გადამყიდველი აკეთებს), ყოველმხრივ წამგებიანია, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ სისტემაში არ არის ხარისხის კონტროლისა და აღრიცხვის საშუალება. გარდა ამისა, გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება საშუალებას იძლევა, ერთის მხრივ, ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი, რაც, თავის მხრივ, საქართველოდან კვების პროდუქტების ექსპორტირებას შესაძლებელს გახდის. გადამამუშავებელ მრეწველობას შეუძლია, აგრეთვე, შექმნას დიდი რაოდენობით ახალი სამუშაო ადგილები. და ბოლოს, ეს მომგებიანია სახელმწიფოსთვისაც, ვინაიდან, ავსტრიისგან განსხვავებით, სადაც ფერმერების დღგ-სგან განთავისუფლება სახელმწიფოს არც ერთი ცენტი არ უჯდება, ჩვენთან გადამამუშავებელი მრეწველობის გარეთ დარჩენილი პროდუქცია პირდაპირ ზარალს აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს. ამის მიუხედავად, დღეს არსებული საგადასახადო სისტემა ხელს არ უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას. მართლაც, პროდუქცია, რომელიც მწარმოებლის ან წვრილი გადამყიდველის მიერ იყიდება აგრარულ ბაზრებზე, დღგ-ს არ ექვემდებარება. მეორეს მხრივ, თუ რომელიმე ბიზნესმენი გადაწყვეტს, ვთქვათ, ხილის წვენის, ან ტომატის წარმოებას, მას 18-პროცენტიანი დღგ-ს გადახდა მოუწევს, რაც მის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას მნიშვნელოვნად შეამცირებს. ამასთან, ვინაიდან ნედლეულის მიმწოდებლები (გლეხები) არ არიან დღგ-ს გადამხდელები, ამ ბიზნესმენს სრულად მოუწევს დღგ-ს გადახდა ყოველგვარი ჩათვლის გარეშე. სამრეწველო პროდუქციის წარმოების დროს სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია. მაგალითად, ბეტონის ბლოკების წარმოების დროს ხდება ცემენტის, ღორღის, არმატურის, წყლისა და ელექტროენერგიის შეძენა დღგ-ს ფაქტურებით და, შესაბამისად, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ ხდება ნედლეულში დახარჯული დღგ-ს დაბრუნება ან/და ჩათვლა. ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ საქართველო, პრაქტიკულად, არ აწარმოებს ხილის წვენებს, ტომატს, კიტრის მწნილს და ზეთს, რომლებსაც წარმოების ძალიან მარტივი ტექნოლოგია აქვს.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შესაძლოა უპრიანი იყოს სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში ავსტრიის ტიპის საგადასახადო პოლიტიკაზე გადასვლა. სახელდობრ, სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის წარმოების დღგ-სგან გათავისუფლება (ასეთი ფორმულირება ხელს არ შეუშლის ფერმერული კოოპერატივების განვითარებას), ხოლო, მეორეს მხრივ, გადამამუშავებელი და კვების მრეწველობისთვის დღგ-ს შეღავათიანი (ლიტვისა და ავსტრიის მსგავსად 9-10-პროცენტიანი) განაკვეთის დაწესება, რაც ამ დარგების განვითარების მნიშვნელოვანი სტიმული იქნება.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა გარკვეულ პრობლემებს უქმნის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას, მაგრამ ნამდვილად არ წარმოადგენს უშუალოდ სოფლის მეურნეობის განვითარების დამაბრკოლებელ გარემოებას, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ დღევანდელ რეალობაში ფერმერები (საბედნიეროდ) არანაირ გადასახადებს არ იხდიან.

დასასრული შემდეგ ნომერში

# "Bank Austria Creditanstalt"-მა და "East Capital"-მა "საქართველოს ბანკის" აქციებში 30.6 მილიონი ლარი გადაიხადეს

ნინო ნარჩემაშვილი

*"საქართველოს ბანკმა" ახალი ინსტიტუციონალური ინვესტორები შეიძინა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და რამდენიმე სხვა ინვესტორის მიერ გაყიდული ბანკის 2,042,346 აქცია "Bank Austria Creditanstalt"-მა შეისყიდა და ამ აქციებზე შეძენის უფლების ვორანტები, ანუ ქოლ ვორანტები (call warrants) გამოუშვა. აქციათა 2,4 პროცენტი კი დამოუკიდებელი აქტივების მართვის წამყვანმა კომპანიამ "East Capital"-მა შეისყიდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაშიც - "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი ლადო გურგენიძე არჩეულ იქნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. მისი პოსტი ირაკლი გილაურმა დაიკავა, ქართული წარმოშობის გამოცდილი საინვესტიციო ბანკირი ნიკა ენუქიძე კი ჯგუფის ფინანსური დირექტორი გახდება.*



*ლადო გურგენიძე*

ასე რომ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, რომელიც "საქართველოს ბანკის" აქციონერი ექვსი წლის განმავლობაში გახლდათ, საკუთარი წილი გაყიდა, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ ბანკი EBRD-ის დახმარებას აღარ საჭიროებს და იგი ნებისმიერი სახის ფინანსირებას პირდაპირ ბაზრიდან მოიზიდავს. ამასთან, ეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვის მომგებიანი ინვესტიცია აღმოჩნდა. "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ლადო გურგენიძის განცხადებით, **"გათვლების საფუძველზე, უკუგებამ ინვესტიციაზე 40 პროცენტს გადააჭარბა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გაყიდა თავისი წილი იმ დროს, როდესაც "საქართველოს ბანკის" მიმართ მკვეთრად გაიზარდა ინსტიტუციონალური ინტერესი და ნამდვილად საამაყოა, რომ "საქართველოს ბანკმა" ამდენი მნიშვნელოვანი ახალი აქციონერი მოიზიდა."**

2 მაისს საქართველოს საფონდო ბირჟაზე გაიყიდა "საქართველოს ბანკის" 2,427,349 აქცია, ანუ 15,6 პროცენტი, რომელთა საერთო ღირებულებამ 30.6 მილიონი ლარი (16.9 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა. ერთი აქციის საშუალო შეწონილმა ფასმა 12.62 ლარი შეადგინა, რაც ბანკის აქციის ღირებულების საკმაოდ გაზრდილი მაჩვენებელი გახლავთ.

"საქართველოს ბანკის" ქოლ ვორანტები (call warrants), რომლის სტრუქტურირებაც "Bank Austira Creditanstalt"-ის საბროკერო და საინვესტიციო საბანკო დანაყოფმა "CA-IB"-მა ვენის საფონდო ბირჟის ლისტინგში განახორციელა, ვაჭრობაში 2005 წლის სექტემბრიდან არის ჩაშვებული. "საქართველოს ბანკის" შვილობილი საინვესტიციო ბანკი "გალტ ენდ თაგგარტ სიქიურითის", გარიგებისას ადგილობრივი ბროკერის როლს ასრულებდა. "Bank Austria Creditanstalt"-ი მიმდინარე ეტაპზე ფლობს ბანკის ჩვეულებრივი აქციების 22.9 პროცენტს. 2005 წლის ნოემბერში მან საქართველოს ეროვნული ბანკის ნებართვა მიიღო "საქართველოს ბანკის" აქციების მფლობელობის 25 პროცენტამდე გაზრდის შესახებ.

ქოლ ვორანტები შეისყიდეს "საქართველოს ბანკის" აქციების შესყიდვის სურვილის მქონე "CA-IB"-ის ინსტიტუციონალურმა ინვესტორებმა, მათ შორის, ისეთმა ცნობილმა ინვესტორებმა, როგორიცაა: "Julius Baer Investment Management LLC" (აშშ), "Farrallon Capital Management LLC" (აშშ), "Griffin Capital Management Limited" (გაერთიანებული სამეფო), "RAB Capital PLC" (გაერთიანებული სამეფო), "Danske Bank A/S" (დანია) და "Noonday Global Management Ltd" (გაერთიანებული სამეფო). ასევე "DWS Russia EM Europe Equity Fund"-მა, რითიც მან გაზარდა საკუთარი წილი ბანკის სააქციო კაპიტალში. იმავე სავაჭრო სესიისას დადებული გარიგების შედეგად "East Capital Financial Institutions Fund II AB"-მა შეისყიდა "საქართველოს ბანკის" 385,000 ჩვეულებრივი აქცია. გარიგებისას "გალტ ენდ თაგგარტ სიქიურითის" მოქმედებდა, როგორც ადგილობრივი ბროკერი.

ლადო გურგენიძის შეფასებით, **"ძალზე მნიშვნელოვანია ის მხარდაჭერა, რომელიც EBRD-მა "საქართველოს ბანკს" აღმოუჩინა. აღსანიშნავია ისიც, რომ "CA-IB"-მა ბანკის აქციები წარმატებით გაანაწილა. ახალმა ინვესტორებმა მოქნილობა გამოიჩინეს, რამეთუ მათ საბოლოოდ იმაზე ნაკლები აქცია მიიღეს, ვიდრე ყიდვა სურდათ. ბანკის აქციონერების დივერსიფიცირებული ბაზა, რომელიც ახლა უკვე დაახლოებით 24 ინსტიტუციონალურ ინვესტორს მოიცავს, უნიკალურია დსთ-ს ქვეყნის ბანკისათვის და ჩვენი სიძლიერის წყაროს წარმოადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არსებულმა აქციონერებმა "DWS"-მა და "East Capital"-მა გაზარდეს თავიანთი წილი ბანკის სააქციო კაპიტალში."**

"საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის ირაკლი გილაურის თქმით, **"ბანკი შიდა ბაზარზე სწრაფი ზრდის ფაზაში შევიდა. მისი აქტივები 2006 წლის 1 კვარტალში 32 პროცენტით გაიზარდა და საქართველოს საბანკო სექტორის ზრდის ტემპს, რომელმაც იმავე პერიოდში 14 პროცენტი შეადგინა, მნიშვნელოვნად გაუსწრო. ჯგუფის მენეჯმენტის გაძლიერების შემდეგ საერთაშორისო ექსპანსია, რომელსაც ლადო გურგენიძე გაუძღვება, ამ ეტაპზე აღსრულების ფაზაში გადადის."**

რაც შეეხება "საქართველოს ბანკის" აქციონერთა კრების შედეგებს, რომელიც 3 მაისს გაიმართა და რომელმაც, სხვა საკითხებთან ერთად, ბანკის 2005 წლის "ერნსტ ენდ იანგის" მიერ აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების დამტკიცება, ერთ აქციაზე წლიური დივიდენდის დამტკიცება 0.05 ლარის ოდენობით და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მფლობელობიდან გასვლის შემდეგ ბანკის წესდებაში ცვლილებების შეტანა განიხილა, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაშიც და ჯგუფის მენეჯმენტის გაძლიერების შესახებ გამოაცხადა. "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ლადო გურგენიძის შეფასებით, **"წლიური აქციონერთა კრება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბანკისა და მისი აქციონერებისთვის - აღდგა შარშან შეწყვეტილი დივიდენდების გაცემა, თუმცა დივიდენდების მოცულობა დაბალი იქნება სანამ ბანკი სწრაფი ზრდის ფაზაში იმყოფება. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ არჩევა კი შესაძლებლობას მომცემს, ნიკა ენუქიძესთან და ბანკის მენეჯმენტის წევრებთან ერთად მეტი ყურადღება დავუთმო დაგეგმილ ლისტინგს ლონდონში, საერთაშორისო ექსპანსიას, სავალო დაფინანსებას და სამერჩანტო საბანკო საქმიანობას საქართველოში, აგრეთვე, ზედამხედველობა გავუწიო ბანკის საოპერაციო საქმიანობას. ირაკლი გილაური და ბანკის მენეჯმენტის დანარჩენი წევრები, რომლებიც ერთად მუშაობენ მას შემდეგ, რაც 2004 წელს ცვლილებების გატარება დავიწყეთ, იზიარებენ ერთიან ხედვას და სტრატეგიულ მიდგომას. აქედან გამომდინარე, ბანკის განვითარება კვლავინდებურად გაგრძელდება. ნიკა ენუქიძე მეტად მნიშვნელოვანი მონაპოვარია ბანკისთვის და მოხარული ვარ, რომ უკვე მესამედ მეძლევა მასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობა. ჩვენ მანამდე ერთად ვმუშაობდით "MeesPierson"-ში და "ABN AMRO"-ში მოსკოვში, შემდეგ ისევ "ABN AMRO"-ში ლონდონში."**

და ბოლოს, კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც "საქართველოს ბანკის" საქმიანობაში იგეგმება: გადამწყვეტ ფაზაშია მოლაპარაკებები უკრაინული ბანკის შეძენასთან დაკავშირებით - განიხილება სამი კონკრეტული წინადადება. უახლოეს მომავალში კი "საქართველოს ბანკი" ლონდონის ცნობილ ბირჟაზე იქნება წარმოდგენილი, რაც პირველი პრეცედენტი გახდება ქართული კომპანიებისათვის. შესაბამისად, კიდევ უფრო გაიზრდება მოთხოვნილება "საქართველოს ბანკის" აქციებზე, რომლებიც დღეისათვის უკვე, შეიძლება ითქვას, დეფიციტია.

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ფინალი - პიანისტის აკომპანემენტით



C2

თამარი ნამდვილი ჭორჭიიდან



C3

შევჩენკო "მილანს" დატოვებს



C4




სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15





# ბოლნისში დღესასწაულია

## "სიონი" - საქართველოს ახალი ჩემპიონი

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ყველა თვალსაზრისით ახალი ჩემპიონი ჰყავს - ბოლნისის "სიონი", რომელმაც თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მოიპოვა ეს ტიტული. ეს პატივი "სიონმა" ნამდვილად დაიმსახურა და ისე გახდა ოქროს მედლების მფლობელი, რომ თავის უპირატესობაში სხვა გუნდებთან შედარებით იოტისოდენა ეჭვიც არ დაუტოვებია. 5 ქულა - ასეთია ბოლნისელთა უპირატესობა უახლოეს მდევართან - თბილისის "ვიტ ჯორჯიასთან". თავდაუზოგავი შრომა მთელი სეზონის განმავლობაში, უდიდესი მიზანსწრაფვა და თავგანწირვა, ერთ მუშტად შეკრული კლუბის ხელმძღვანელობა, მწვრთნელთა კორპუსი, ფეხბურთელები და გულშემატკივარი - არა, ბოლნისელები ამას ნამდვილად იმსახურებდნენ. იმსახურებდნენ კიდევ იმიტომ, რომ "სიონის" მსგავსი ქომაგთა კორპუსი საქართველოში მართლაც არც ერთ გუნდს არ ჰყავს. იმსახურებდნენ იმიტომ, რომ "სიონს" კახა ცხადაძე ჰყავს, რომელსაც დაუმსახურებლად მიაყენეს შეურაცხყოფა და თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან არცთუ სამართლიანად გაუშვეს. კახა ცხადაძემ კი ყველას - თბილისის "დინამოს" და მის ხელმძღვანელობას, ბოლნისელ გულშემატკივარს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, მთელ ქართულ საფეხბურთო სამყაროს დაუმტკიცა, რომ იგი კარგი მწვრთნელია. "24 საათი" ულოცავს კახა ცხადაძეს, "სიონის" თითოეულ ფეხბურთელს, ბოლნისელ გულშემატკივართა არმიას და უსურვებს, რომ ღირსეულად დაეცვათ ქართული ფეხბურთის პრესტიჟი ევროსარბიელზე.

"სიონი" ჩემპიონი გახდა ქუთაისში, სადაც გუშინ ბოლო ტურში ადგილობრივ "ტორპედოს" დაუპირისპირდა. ამ ტურის წინ ცხადაძის გუნდი სამი ქულით უსწრებდა "ვიტ ჯორჯიას", რაც იმას ნიშნავდა, რომ ბოლნისელებს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ქულაც ხელს აძლევდათ. მაგრამ მიზანმიმართულად ფრეზე თამაში საკმაოდ სარისკოა, რაც არაერთხელ დადასტურებულა. ამიტომ ცხადაძემ უაზროდ არ გარისკა - ძლიერი, შეტევაზე ორიენტირებული შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე. ქუთაისის ტორპედო" დღეს ის გუნდი არ არის, რომელსაც მივეჩვიეთ და რომელიც ეროვნულ ასპარეზზე ტიტულს ტიტულზე იგებდა. მათ ისეთი მძიმე ფინანსური და საკადრო პრობლემები ჰქონდათ, რომ გუნდმა გაჭირვებით შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში. საბედნიეროდ, მდგომარეობა გამოსწორებისკენ მიდის და იმედია, "ტორპედო" მომავალი სეზონიდან ისევ ქართული საკლუბო ფეხბურთის ლიდერთა შორის დაიმკვიდრებს ადგილს. გუშინ კი, გუნდში არსებული არასახარბიელო ვითარების მიუხედავად, ქუთაისელები შეეცადნენ, თავისი სიტყვა ეთქვათ ჩემპიონატში ძალთა გადანაწილებაში და "ოქროზე დაგეშილ" "სიონს" დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. თუმცა, უაღრესად მოტივირებულ ბოლნისურ კლუბთან ვერაფერი გააწყვეს. ცხადაძის შეგირდებმა პრაქტიკულად პირველივე ტაიმში მოათავეს საქმე.

გაგრძელება C3 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"სიონი" ჩემპიონია, "სპარტაკი" კი ლიგას დაემშვიდობა.

## ორი მოგება და მარცხი

მაისის ბაშოზე ქართველმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ (კოკაიმ) მესამე ბრძოლა გამართა. ამჯერად ჩვენებურის მეტოქე მეცხრე მაიგეშირა ივაკიამა იყო. წესით, კოკაის არ უნდა გასჭირვებოდა რანგით მასზე დაბლა მდგომი სუმოისტის დამარცხება, მაგრამ მეტოქემ კოკაი ილეთზე გამოიჭირა და დაამარცხა. სამი ბრძოლის შემდეგ კოკაი ორი მოგებითა და ერთი მარცხით ლიდერთა შორისაა. ანალოგიური შედეგი აქვს იოკოძუნა ასოშორიუსაც. დღეს კოკაი დაუპირისპირდება მესამე მაიგეშირა კოტოსეგიკუს, რომელსაც ჯერჯერობით ისეთივე შედეგი აქვს, როგორიც ქართველ გოლიათს.

## გაბრის ესპანეთში თამაში მობეზრდა

ესპანური პრესისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში "ბარსელონას" ნახევარმცველმა გაბრიმ განაცხადა, რომ სეზონის დასრულებისთანავე ინგლისის პრემიერლიგის რომელიმე კლუბში გადავა. კატალონიურ კლუბთან ესპანელი მოთამაშის კონტრაქტი სეზონის ბოლოს იწურება, თუმცა, ფეხბურთელის თქმით, ის "ნოუ კამპზე" დარჩენას აღარ აპირებს. ცოტა ხნის წინ გაბრის მეორე ესპანურ კლუბ "ესპანიოლს" უკავშირებდნენ, თუმცა კითხვაზე, გადავა თუ არა "ესპანიოლში", მან უპასუხა, რომ ჯერჯერობით იქიდან არავინ შეხმიანებია. "ზუსტად არ ვიცი, განვაგრძობ თუ არა კარიერას ესპანეთში, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ სათამაშო გამოცდილების მიღება ევროპის სხვა რომელიმე უძლიერეს ჩემპიონატში მინდა. განსაკუთრებით მიზიდავს ინგლისის პრემიერლიგა, რადგან, ჩემი აზრით, დღეს ინგლისური კლუბები მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთს აჩვენებენ. გარდა ამისა, ინგლისში ყოფილ თანაგუნდელებს შევხვდები", - განაცხადა "ბარსას" ნახევარმცველმა.

## კაპელოს "ინტერმა" დაადგა თვალი

იტალიური პრესის ცნობით, შესაძლოა, ტურინის "იუვენტუსის" თავკაცი ფაბიო კაპელო ახალი სეზონიდან მილანის "ინტერს" ჩაუდგეს სათავეში. გავრცელებული ხმების თანახმად, რამდენიმე დღის წინ კონკრეტული საკითხების განსახილველად კაპელო უკვე შეხვდა მილანური კლუბის მფლობელს მასიმო მორატის. ფეხბურთის სპეციალისტთა აზრით, სავარაუდოდ, კაპელოს ტურინიდან წასვლა "იუვენტუსის" ხელმძღვანელობაში მომხდარი სკანდალის შედეგია. როგორც ჩანს, მილანური კლუბის ხელმძღვანელობა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ამტკიცებდა, რომ რობერტო მანჩინის გაშვებას არ აპირებს, სერიოზულად დაინტერესდა კაპელოს დონის სპეციალისტის გადაბირებით.

## "ფენერბახჩე" კარლოსით ისევ დაინტერესდა

ესპანური "მარკას" ცნობით, თურქული "ფენერბახჩე" კვლავაც დაინტერესებულია მადრიდის "რეალისა" და ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მცველით რობერტო კარლოსით. თურქული კლუბის ხელმძღვანელთა თქმით, წლეულს კლუბის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, კარლოსის თურქეთში ჩაყვანის სახით, მათ სურთ გულშემატკივრებს ერთგვარი საჩუქარი მოუმზადონ. მთავარი მწვრთნელის აზრით, კარლოსი საგრძნობლად გააძლიერებს გუნდის დაცვით ხაზს. შეგახსენებთ, რომ "ფენერბახჩე" კარლოსით ჯერ კიდევ წლეულს იანვარში დაინტერესდა, როცა "რეალში" წარმოშობილი კრიზისის გამო გავრცელდა ხმები, თითქოს "სამეფო კლუბს" ყველა ვარსკვლავი ტოვებდა. რობერტო კარლოსის კონტრაქტი გუნდთან სეზონის ბოლოს იწურება, თუმცა მის გახანგრძლივებაზე ჯერჯერობით არც ერთი მხარე არაფერს ამბობს. ბრაზილიელი მცველის ანგარიშზე მადრიდის "რეალში" გატარებული 10 სეზონი და უამრავი ტიტულია.

## იტალიელთა მორიგი დანაკლისი

იტალიის ნაკრებმა სამუნდიალოდ კიდევ ერთი ფეხბურთელი დაკარგა. "სამპდორიას" მცველი აიმო დიანა მსოფლიოს ჩემპიონატს საზარდულის მძიმე ტრავმის გამო გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ ერთი დღით ადრე იტალიელებმა კრისტიან ვიერიც დაკარგეს, რომელსაც ზაფხულში მუხლის ოპერაცია უნდა გაუკეთონ.

## იმედია, ანრი დარჩება

"არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ანრის შენარჩუნების იმედი აქვს. "რამდენჯერმე ვცადე ანრის ტრანსფერთან დაკავშირებული ჭორების შეჩერება, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი გამომდის. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ტიერის კონტრაქტი აკავშირებს "არსენალთან" და 2007 წლამდე იგი ჩვენი გუნდის ფეხბურთელი უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ მომავალი ორი სეზონი მის კარიერაში საუკეთესო იქნება და ამ ორ სეზონს ის "არსენალში" გაატარებს", - ამბობს ვენგერი.




# ფინალი - პიანისტის აკომპანემენტით

დღეს ჰოლანდიის ქალაქ ეინდჰოვენში, პსვ-ს სტადიონზე გაიმართება უეფას თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს ხვდებიან ესპანეთის "სევილია" და ინგლისის "მიდლსბრო".

2005-2006 წლების ევროპული სეზონი დასასრულისკენ მიექანება. ფეხბურთის გულშემატკივრები თავისი მნიშვნელობით მეორე ხარისხის ევროპული თასის ფინალს მოელიან. შარშან უეფას თასი რუსეთის ცსკას ერგო. ამჯერად კი ჯილდოს მოპოვების შანსი "მიდლსბროსა" და "სევილიას" აქვთ.

გუნდებისთვის წლევანდელი სეზონი არაერთგვაროვანი გამოდგა. "სევილიისთვის" სეზონი შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს, რადგან უეფას თასის ფინალში გასვლის გარდა, გუნდს შანსი აქვს, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურიც მოიპოვოს. "მიდლსბრომ" კი ვერ მოახერხა თავი წარმოეჩინა ინგლისის პრემიერლიგაში. გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატი მე-14 ადგილზე დაასრულა. ამის გამო ბრიტანული კლუბისთვის უეფას თასის მოგება ერთადერთი შანსია მოიპოვოს ტიტული წლევანდელ სეზონში.

"მიდლსბრომ" უკვე წარმოაჩინა თავი, როგორც მებრძოლმა გუნდმა. როგორც არ უნდა დასრულდეს ფინალური მატჩი, კლუბის ფანებს



სავიოლა და ბოატენგი - ფინალის მთავარი პერსონაჟები.

დიდხანს ემახსოვრებათ გუნდის გმირობა, როცა ტურნირის მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ შეხვედრებში "მიდლსბრომ" შვეიცარიულ "ბაზელსა" და რუმინეთის "სტიაუას" სამბურთიანი ფორა ამოუქაჩა. იმ მატჩების ნამდვილი გმირი გახდა იტალიელი ფორვარდი მასიმო მაკარონე - სწორედ მან გაიტანა გადამწყვეტი გოლები "ბაზელისა" და "სტიაუას" კარში.

"სევილიას" გზა ფინალისკენ ნაკლებად დრამატული იყო. ესპანელები რუსული კლუბების ნამდვილი მესაფლავეები გამოდგნენ. მეთექვსმეტედფინალში სევილიელებმა ჯერ მოსკოვის "ლოკომოტივი" დაიფრინეს გათამაშებიდან, მეოთხედფინალში კი "ზენიტს" მიუჩინეს თავისი ადგილი. ყველაზე უფრო რთული მატჩი "სევილიას" ლევან კობიაშვილის "შალკე 04"-თან ელოდა. აქ საქმე დამატებით დრომდე მივიდა. ფორტუნამ ესპანელებს გაუღიმა, რომლებმაც შეძლეს გადამწყვეტი გოლის გატანა და ფინალის საგზურიც მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად "მიდლსბრო" თამაშობს ინგლისის ნაკრების მომავალი მწვრთნელის სტივ მაკლარენის ხელმძღვანელობით. მაკლარენი, რომელიც დღეს გუნდს ფინალისთვის განაწყობს, აგვისტოში ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე შვედ სვენ-გორან ერიქსონს შეცვლის.

უეფას თასის ფინალს გერმანელი არბიტრი ჰერბერტ ფანდელი განსჯის, რომელიც პროფესიით პიანისტია. ამჟამად ფანდელი კერძო მუსიკალურ სკოლას ხელმძღვანელობს, ამასთან, აგრძელებს სამსაჯო კარიერას. ადრე ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო მატჩი, რომელიც ფანდელმა განსაჯა, იყო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი, სადაც ტურინის "იუვენტუსი" და ლონდონის "არსენალი" შეხვდნენ ერთმანეთს.

იმის გამო, რომ ესპანური "სევილია" წლევანდელ სეზონს უფრო სტაბილურად ატარებს, ვიდრე "მიდლსბრო", ბუკმეკერები ესპანელებს ანიჭებენ უპირატესობას. მათი ფსონი ცოტათი უფრო მაღალია, ვიდრე ინგლისელების (1:2,4 - 1:3,0-ის წინააღმდეგ). თუმცა სპორტი სწორედ იმით არის მიმზიდველი, რომ გამარჯვებულის გამოცნობა წინასწარ ასი პროცენტით შეუძლებელია. უეფას თასის ფინალური მატჩი თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება.

# მოჯის გარიგებებმა პრეზიდენტი შეიწირა

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო ოფიციალურად გადადგა თანამდებობიდან. 66 წლის კარარო ხუთი წლის განმავლობაში თავკაცობდა ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას.

პრეზიდენტის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი მიზეზით მიიღო: სურს გზა დაუთმოს ახალგაზრდა საფეხბურთო მოღვაწეებს, რომლებიც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ შემუშავებულ პროექტებს დაიწყებენ. მისივე თქმით, ახალგაზრდა კადრით მისი შეცვლა იტალიურ ფეხბურთს მხოლოდ სიკეთეს მოუტანს.

თუმცა, ფრანკო კარაროს გადაწყვეტილება აპენინებზე ტურინის "იუვენტუსის" გენერალური მენეჯერის ლუჩანო მოჯის გარშემო ატეხილ სკანდალს მოჰყვა.

გასულ კვირას იტალიურ პრესაში მოჯის სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერები გამოქვეყნდა.

აღმოჩნდა, რომ ტურინული კლუბის მენეჯერი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ წარმომადგენელთან პიერლუიჯი პაირეტოსთან აწარმოებდა გარიგებას. საქმე ის გახლავთ, რომ 2004-05 წლების სეზონში, მაშინ, როცა ტურინის "იუვენტუსმა" სკუდეტო მოიპოვა, სერია ა-ში მსაჯების დანიშვნა სწორედ პაირეტოს პრეროგატივა გახლდათ.

ჩანაწერის მოსმენის შედეგად გაირკვა, რომ პიერლუიჯი პაირეტო "იუვენტუსის" მატჩებზე მხოლოდ იმ მსაჯთა კოლეგიას ნიშნავდა, რომელსაც სინიორ მოჯი მოისურვებდა.

ამბობენ, რომ მოჯის ფარული საუბრები იტალიურ პრესას თავად ტურინის პროკურატურამ გადასცა გამოსაქვეყნებლად.

სამართალდამცავები მოჯის სატელეფონო საუბრებით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც "იუვენტუსის" მოთამაშეებზე, დოპინგის მიღებაში მათი მხილების მიზნით, გამოძიება დაიწყო. თუმცა, მოგვიანებით ტურინის პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა, რადგან მიიჩნია, რომ სატელეფონო საუბრებში აღმოჩენილი ფაქტები სისხლის სამართლის კოდექსს არ არღვევდა.

აღსანიშნავია, რომ თავად ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო სკანდალში გახვეული არ ყოფილა, მაგრამ ვინაიდან ამ ამბავში მის დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანი ფიგურირებდა, კარარომ წასვლა ამჯობინა.

პრეზიდენტის გადადგომას მაშინვე გამოეხმაურა იტალიური ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი ადრიანო გალიანი:

"ფრანკომ ნამდვილად მამაცური გადაწყვეტილება მიიღო. შეიძლება ეს ხალხისთვის გაუგებარი იყოს, მაგრამ ვინც მას კარგად იცნობს, კიდევ ერთხელ დარწმუნდა მის ვაჟკაცობაში. იტალიურ ფეხბურთს ნამდვილად სჭირდება ისეთი პრეზიდენტი, როგორიც ფრანკოა - განათლებული და ნიჭიერი. ამიტომ იმედს ვიტოვებ, რომ ის უახლოეს მომავალში შეცვლის გადაწყვეტილებას".

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების საბოლოო განაჩენი ჯერ არ გამოქვეყნებულა, სერია ა-ში მოასპარეზე რამდენიმე კლუბის წარმომადგენელი უკვე მოითხოვს "იუვენტუსის" მატჩის შედეგების გაუქმებას და შეხვედრების გადათამაშებას.

"ჩვენ ყველა უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ სამართლიანობა აღდგეს და დაისაჯოს ყველა დამნაშავე. ფედერაცია კი ვალდებულია, დროულად მოახდინოს რეაგირება. მათ საერთოდ მთელი სისტემა უნდა შეცვალონ და რაც შეიძლება მალე1" - განაცხადა ასოციაციის პრეზიდენტმა სერჯიო კამპანამ.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს დროებით ვიცე-პრეზიდენტი ჯანკარლო აბიტი შეცვლის.




## ინფოთეკა

### მსაჯები გაირკვა

გუშინ ფიფამ გამოაქვეყნა იმ მსაჯების სია, რომლებიც მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს მოემსახურებიან. აღსანიშნავია, რომ სიაში მთავარ არბიტრებთან ერთად მათი ასისტენტების გვარებიცაა მოცემული.

**ესამ ამბ ელ ფათაყი,** ეგვიპტე (დრამანე დანტე, მალი. მამადუ ნდაი, სენეგალი)

**კარლოს ამარილია,** პარაგვაი (ამელიო ანდინო, პარაგვაი. მანუელ ბერნალი, პარაგვაი)

**ბენიტო არჩუნდია,** მექსიკა (ხოსე რამირესი, მექსიკა. ექტორ ვერგარა, კანადა)

**მასიმო ბუსაკა,** შვეიცარია (ფრანჩესკო ბურაგენა, შვეიცარია, მატიას არნეტი, შვეიცარია)

**კოფი კოდია,** ბენინი (სელესტინ ნაგუნგირა, რუანდა. აბოუდუ ადეროჟუ, ბენინი)

**ფრანკ დე ბლეკერი,** ბელგია (პეტერ ჰერმანსი, ბელგია. ვალტერ ვრომანსი, ბელგია)

**მასიმო დე სანქტისი,** იტალია (ალესანდრო გრისელი, იტალია. მარკო ივალდი, იტალია)

**ეორაციო ელისონდო,** არგენტინა (დარიო გარსია, არგენტინა. როდოლფო ოტერო, არგენტინა)

**ვალენტინ ივანოვი,** რუსეთი (ნიკოლაი გოლუბევი, რუსეთი. ევგენი ვოლნინი, რუსეთი)

**ტორუ კამიკივა,** იაპონია (იოშიკაცუ ჰიროშიმა, იაპონია. კიმ დაე-იანგი, სამხრეთ კორეა)

**ბორხე ლარიონდა,** ურუგვაი (ვალტერ რიალი, ურუგვაი. პაბლო ფანდანო, ურუგვაი)

**შამსულ მაიდინი,** სინგაპური (პრაჩია პრემპანიჩი, ტაილანდი. ეისა გულოუმი არაბეთის გაერთიანებული საემიროები)

**ლუის მედინა კანტალეხო,** ესპანეთი (ვიქტორიანო ჯირალდეს კარასო, ესპანეთი. მარიო მედინა ერნანდესი, ესპანეთი)

**მარკუს მერკი,** გერმანია (კრისტიან შრერი, გერმანია. იან-ჰენდრიკ სალვერი, გერმანია)

**ლუბოშ მიხელი,** სლოვაკეთი (რომან სლისკო, სლოვაკეთი. მარტინ ბალკო, სლოვაკეთი)

**გრემ პოლი,** ინგლისი (ფილიპ შარპი, ინგლისი. გლენ თერნერი, ინგლისი)

**ერიკ პულა,** საფრანგეთი (ლიონელ დაგორნე, საფრანგეთი. ვისენ ტექსიე, საფრანგეთი)

**პეტერ პრენდერგასტი,** იამაიკა (ენტონი გარვუდი, იამაიკა. ჟოზეპ ტეილორი, ტრინიდადი და ტობაგო)

**მარკო როდრიგესი,** მექსიკა (ხოსე ლუის კამარგო, მექსიკა. ლიონელ ლეალი, კოსტა რიკა)

**რობერტო როსეტი,** იტალია (კრისტიანო კოპელი, იტალია. ალესანდრო სტანოლი, იტალია)

**ოსკარ რუისი,** კოლუმბია (ფერნანდო ტამაიო, ეკვადორი. ხოსე ნავია, კოლუმბია)

**მარკუს შელდი,** ავსტრალია (ნათან გიბსონი, ავსტრალია. ბენ უილსონი, ავსტრალია)

**კარლოს სიმონი,** ბრაზილია (არისტეუ ტავარესი, ბრაზილია. ედნილსონ კორონა, ბრაზილია)

**სარეზერვო მსაჯები:**

**ეალილ ალ ჩამდი,** საუდის არაბეთი (ჰამიდ ალ კადრი, სირია. ფათჰი არაბატი, იორდანია)

**კარლოს ჩანდია,** ჩილე (კრისტიან ხულიო, ჩილე. როდრიგო გონსალესი, ჩილე)

**დერომ დამონი,** სამხრეთ აფრიკა (ენოკ მოლოფე, სამხრეთ აფრიკა. ჯუსტიკ ებოა, განა)

**მუჰამედ გუეზაზი,** მაროკო (ბრაჰიმ ჯეზარი, ანგოლა. ჟან მარი ენდენგ ზოგო, კამერუნი)

**კევინ სკოტი,** აშშ (კრის სტრიკლენდი, აშშ. გრეგორი ბარკლი, აშშ)

### ტურამი ლონდონისკენ იყურება

ტურინის "იუვენტუსისა" და საფრანგეთის ნაკრების ვეტერანი მცველი ლილიან ტურამი მომავალ სეზონში შესაძლოა ლონდონის "არსენალში" აღმოჩნდეს. მიუხედავად იმისა, რომ, ვენგერის აზრით, გუნდმა არ უნდა იყიდოს ფეხბურთელი, რომელმაც 30 წელს გადააბიჯა, მაგრამ ფრანგი მწვრთნელი მთლიანად ენდობა ტურამს და მისთვის გამონაკლისსაც დაუშვებს.

### მოურინიო საუკეთესოა

"ჩელსის" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო ზედიზედ მეორედ დაასახელეს პრემიერლიგის საუკეთესო მწვრთნელად.

"ეს საკმაოდ დიდი პატივია. არ მეგონა თუ ზედიზედ მეორედ დამასახელებდნენ საუკეთესოდ. ბოლოს და ბოლოს, ინგლისში ყოველთვიურად ასახელებენ თვის საუკეთესო მწვრთნელს და მე არც ერთხელ არ მომიგია ეს ტიტული. ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როდესაც წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული მე მომანიჭეს," - განაცხადა მოურინიომ "ჩელსის" ოფიციალური ინტერნეტ-ვებგვერდის ჟურნალისტთან საუბარში.

## ინფოთეკა

### ნიჰათი "ვილიარეალში" გადადის

თურქი ფორვარდი ნიჰათი მომავალ სეზონში შესაძლოა "ვილიარეალში" აღმოჩნდეს. "სოსიედადიდან" წასვლას ნიჰათი ჯერ კიდევ გასულ სეზონში გეგმავდა, მაგრამ მაშინ ფეხბურთელის ტრანსფერი ჩაიშალა. ახლა კი თითქმის გადაწყვეტილია, რომ თავდამსხმელი "ყვითელი წყალქვეშა ნავის" ფეხბურთელი გახდება. როგორც ამბობენ, ნიჰათი ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს "ვილიარეალთან".

### "დეზები" აპროტესტებენ

კლუბ "ტოტენჰემის" ხელმძღვანელებმა შესაძლოა გააპროტესტონ ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრა და მოითხოვონ, რომ გაუქმდეს "იოტენჰემისა" და "ვესტ ჰემის" მატჩის ანგარიში, რომლის შედეგად "დეზებმა" ჩემპიონთა ლიგის საგზური დაკარგეს.

საქმე ისაა, რომ მატჩამდე ერთი დღით ადრე "ტოტენჰემის" ათი ფეხბურთელი მოიწამლა. "დეზების" ხელმძღვანელებმა თხოვნით მიმართეს პრემიერლიგის ხელმძღვანელებს, რომ მატჩი გადაეტანათ, მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა, რასაც კლუბის მესვეურები უსამართლობად მიიჩნევენ.

### ლუდის ომი

ლუდის მწარმოებელი ამერიკული ფირმა Budweiser მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორია და, წესით, მუნდიალის დღეებშიც მხოლოდ ეს ლუდი უნდა გაიყიდოს. თავად განსაჯეთ, რა რეაქცია მოყვებოდა ამას გერმანიაში, სადაც ლუდის წარმოება უმაღლეს დონეზეა აყვანილი. გერმანელებმა საპროტესტო აქციებიც კი გამართეს და მოსთხოვეს ფიფას, რომ Budweiser-ისთვის ლუდის გაყიდვის ექსკლუზიური უფლება ჩამოერთმია. ფიფამ ეს არ ისურვა, თუმცა თავად Budweiser-ის მესვეურები წავიდნენ დათმობაზე და საკუთარი უფლებების 30 პროცენტი გერმანულ ლუდ Bitburger-ს დაუთმეს. მაგრამ გერმანელები არც ამან დააკმაყოფილა - საკუთარი ღირსების შელახვად მიაჩნიათ, თუ მუნდიალზე ამერიკული ფსევდოლუდი გაიყიდება.

### თინეიჯერები "მანჩესტერში"

"მანჩესტერ იუნაიტედმა" წინასწარი შეთანხმება გააფორმა ორ ბრაზილიელ თინეიჯერთან, რომლებიც "ფლუმინენსეს" ჭაბუკთა გუნდის ღირსებას იცავენ. რაფაელი და ფაბიო ჯერ 15 წლის არიან და, ფიფას კანონების თანახმად, "მანჩესტერი" მათთან სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმებას მხოლოდ 2008 წელს შეძლებს, როდესაც მათ 18 წელი შეუსრულდებათ.

### კუმანი პსვ-ს მწვრთნელად დაინიშნა

გუშინ სააგენტო როიტერმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად რონალდ კუმანი ჰოლანდიური პსვ-ს მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ამ სეზონში რონალდ კუმანი პორტუგალიურ "ბენფიკაში" მუშაობდა და ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშიც გაიყვანა. აღსანიშნავია, რომ კუმანის გარდა პსვ-ს მთავარი მწვრთნელის პოსტზე განიხილებოდა დიკ ადვოკაატის კანდიდატურაც. ახლა კი დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ადვოკაატი სანქტ-პეტერბურგის "ზენიტის" მთავარი მწვრთნელი გახდება.

### ვან ნისტელროის ბედი ორ დღეში გაირკვევა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელი ფორვარდის რუუდ ვან ნისტელროის ბედი უახლოეს 48 საათში უნდა გადაწყდეს. სავარაუდოდ, ვან ნისტელროი მანკუნიანურ კლუბს დატოვებს და ესპანეთში ან იტალიაში გააგრძელებს კარიერას. ჰოლანდიელმა ფორვარდმა არ ისურვა "მანჩესტერთან" კონტრაქტის გაგრძელება და ბრიტანულმა გრანდმა ამიტომ გადაწყვიტა მისი დაყენება ტრანსფერზე.

აღსანიშნავია, რომ "მანჩესტერმა" უკვე დაასახელა ვან ნისტელროის სატრანსფერო თანხა. ჰოლანდიელი მეგოლე 10 მილიონ გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული.

# თამარი ნამდვილი ჭორჭიიდან

გიგა გურასაშვილი

*6 წლის იყო, როდესაც მშობლებმა ჩოგბურთზე მიიყვანეს. სისტემატურად ვერ ვარჯიშობდა. უფრო თავს იქცევდა. თამაშობდა, მაგრამ აშკარა იყო: თამაშ-თამაშში ჩოგბურთისადმი სიყვარული მატულობდა. ორი წლის წინ ჩოგანს სერიოზულად მოჰკიდა ხელი. თუმცა, საქართველოში ჯერ წარმატებისთვის არ მიუღწევია. იქ, ოკეანის გაღმა კი თანატოლებს ეთამაშება და ხშირად სჯაბნის კიდეც. გზადაგზა ჯილდოებსაც აგროვებს. როგორც თავად ამბობს, დიდი ჩოგბურთის თამაშის გარდა არაფერი უნდა. მაშ ასე, გაიცანით: 10 წლის თამრიკო ჭალაგანიძე, რომელიც სავსებით შესაძლებელია კარგი ჩოგბურთელიც დადგეს.*



10 წლის თამრიკო ჭალაგანიძე ამერიკაში ჯილდოებს აგროვებს.

შვიდი წლის იყო, თბილისში, ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ორი შეხვედრა წააგო და ასპარეზობას გამოეთიშა. ბევრი იტირა. დღეს ამერიკაში მიღწეული წარმატებები ახარებს, თუმცა, ამბობს, რომ საქართველოში უფრო კარგად თამაშობენ ჩოგბურთს.

ყოველთვის ასე იყო: გვყავდა და გვყავს ნიჭიერი სპორტსმენები, მაგრამ განვითარებისთვის არახელსაყრელი პირობების გამო იჩაგრებიან და ბოლოს სპორტსაც თავს ანებებენ. ერთ-ერთი ხელშემშლელი მიზეზი ტურნირების დეფიციტია. მაგალითისთვის თამრიკოც გამოდგება, რომელსაც ამერიკაში კვირაში სამი დღე ამა თუ იმ ტურნირზე გამოსვლის საშუალება აქვს. ეს მაშინ, როდესაც საქართველოში მსგავსი არაფერი ხდება. იქ ყურადღებაც მეტია, შესაძლებლობებიც და სტიმულიც.

სწავლობს 53-ე საშუალო სკოლაში, მაგრამ საკუთარ წარმატებებზე თანაკლასელებთან არ ლაპარაკობს. რატომ-მეთქი, - დავინტერესდი.

- რა ვიცი, აბა. ამერიკელებს კი ვუგებ, მაგრამ საქართველოში მიჭირს თამაში. აქ უფრო ძლიერები არიანო.

ზაფხული ამერიკაში მოსწონს. დანარჩენი დრო ურჩევნია აქ გაატაროს.

უყვარს თხილამურებით სრიალი, ცურვა, დადის ფორტეპიანოზე, მაგრამ ყველაფერს მაინც ჩოგბურთი ურჩევნია.

**- თუ მოხდა ისე, რომ ჩოგბურთელობა ვერ შეძელი, რას გააკეთებ?**

- ჩოგბურთს მაინც არ შევეშვები. იმიტომ რომ ძალიან მიყვარს.

**- როდესაც ამერიკაში ხარ, არ გეკითხებიან, სადაური ხარო?**

- როდესაც "ჯორჯია" ესმით, ჰგონიათ, რომ ამერიკელი ჯორჯიელი ვარ, მაგრამ მერე ბებია უხსნის, რომ მე ნამდვილი ჯორჯიელი ვარ.

**- რაკი ასე გინდა ჩოგბურთელობა, კერპიც გეყოლება.**

- ჩემთვის ამელი მორესმოა საუკეთესო. ადრე შარაპოვა მომწონდა, მაგრამ ახლა რაღაც აღარ...

**- ვინმე ცნობილ ჩოგბურთელს თუ შეხვედრიხარ?**

- უცხოელს არავის. მარტო ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია ვიცი.

■ ■ ■

მისი ამერიკული წარმატებები ძმის - ნოდარის დამსახურებაა, რომელიც ძმის სტატუსთან ერთად მწვრთნელობასაც ითავსებს.

ამერიკაში მოპოვებულ ჯილდოებს შორის გამოარჩევს "მერის თასს", რომელიც შარშან ბრიჯპორტში (კონექტიკუტის შტატი) "მუსკატის კაკლის თამაშებზე" (Mayor's Cup/Nutmeg Games) 12-წლიანთა შორის მეორე ადგილისთვის გადაეცა. მაშინ 9 წლის იყო. თანატოლთა შორის მოგებული აქვს სტემფორდის ღია ტურნირი. იმავე შტატში კიდევ ერთი ტურნირი მოიგო. კონექტიკუტის შტატში თანატოლებს შორის პირველი ჩოგნის სტატუსი აქვს.

თამრიკო ჭალაგანიძის წარმატებები უყურადღებოდ არ დარჩენიათ და სამ ჩოგბურთელთან ერთად აპრილში მონრეალის ერთ-ერთ ტურნირზეც მიიწვიეს, სადაც რაღაც მიზეზების გამო ვერ გაემგზავრა.

წლეულს საპატიო მიზეზი აქვს და ამერიკაში აღარ მიდის. თამრიკოს ძმა ნოდარი, რომელიც დაზე ხუთი წლით უფროსია, ინსტიტუტში აბარებს. უნდა ვუქომაგოო...

# ბოლნისში დღესასწაულია

პირველი გვერდიდან

28-ე წუთზე "სიონის" საუკეთესო ბომბარდირმა მიკუჩაძემ გახსნა ანგარიში, ხოლო ოთხ წუთში ალავიძემ ორამდე გაზარდა სტუმართა უპირატესობა. ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა სეზონში ოცდამესამე გამარჯვების (30 მატჩში) მოსაპოვებლად და ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. ბოლნისელებმა თამაშის ბოლომდე შეინარჩუნეს ანგარიში და მსაჯის საფინალო სასტვენიდან ზეიმზე გადავიდნენ.

"ძალიან ბედნიერი ვარ. "სიონი" პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი და უბედნიერესი ვარ, რომ ეს ჩემთან ერთად შეძლო. ჩვენ არ გვყავდა თუნდაც საქართველოს საზომებით ვარსკვლავი ფეხბურთელები. ჩვენი მთავარი ძალა გუნდურ თამაშში, ერთიან სულისკვეთებასა და თავდაუზოგავ ბრძოლაში გამოიხატა. რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა იტვირთა ლიდერის ფგუნქციები, დანარჩენებმაც ფეხი აუწყეს და ამ დიდ წარმატებამდე ერთად მივედით. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ბოლნისის გამგებელს გია არევაძეს და კლუბის ვიცე-პრეზიდენტს დავით სილაგაძეს. მათ ყველა პრობლემა მოგვიხსნეს, მოქმედების სრული თავისუფლება მომცეს, რაც სამწვრთნელო საქმეში უმნიშვნელოვანესია და რასაც ადრე მოკლებული ვიყავი. საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ, ფეხბურთელების თავგანწირვამ და საქართველოში ყველასთვის კარგად ცნობილი ბოლნისელი გულშემატკივრების მხარდაჭერამ შედეგი გამოიღო - ჩვენ ჩემპიონები ვართ", - განუცხადა მატჩის შემდეგ "24 საათს" კახა ცხადაძემ.

"ვერცხლი" და ვიცე-ჩემპიონის ტიტული, მასთან ერთად, უეფას თასის საგზური თბილისის "ვიტ ჯორჯიას" ხვდა წილად. მართალია, ვეტერინარებმა ბათუმში ადგილობრივ "დინამოსთან" გასვლით მატჩში ფრედ ითამაშეს, მაგრამ მეორე ადგილის დასაკავებლად ქულაც საკმარისი აღმოჩნდა.

შემადგენლობისა და ფინანსური შესაძლებლობის თვალსაზრისით საუკეთესო გუნდი თბილისის "დინამო" მხოლოდ მესამეა. "დინამომ" ბოლო ტურში "სოხუმი" დაამარცხა და ბოლო წლებში მისთვის უჩვეულო, "ინტერტოტოს" ტურნირში მოუწევს ასპარეზობა. უეფას თასის კიდევ ერთ საგზურს 13 მაისს დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ფინალში "ამერი" და "ზესტაფონი" გაითამაშებენ.

უმაღლეს ლიგას დატოვებენ სოხუმის "დინამო" და თბილისის "სპარტაკი", ხოლო "თბილისს", "ცხინვალს" და ფოთის "კოლხეთს" უძლიერესთა კომპანიაში ადგილის შესანარჩუნებლად პირველლიგელებთან გადათამაშებაში მოუწევთ მონაწილეობა.

**30-ე ტური**

ლოკომოტივი - სპარტაკი ..........0:0
ამერი - თბილისი ..........1:0
კოლხეთი - ცხინვალი ..........0:0
დინამო (ბთ) - ვიტ ჯორჯია ..........0:0
დილა - ბორჯომი ..........1:0
ტორპედო - სიონი ..........0:2
კახეთი - ზესტაფონი ..........0:0
დინამო (სხ) - დინამო (თბ) ..........1:3

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 სიონი | 30 | 23 | 4 | 3 | 55-17 | 73 |
| 2 ვიტ ჯორჯია | 30 | 21 | 5 | 4 | 52-16 | 68 |
| 3 დინამო (თბ) | 30 | 20 | 4 | 6 | 58-22 | 64 |
| 4 ზესტაფონი | 30 | 18 | 8 | 4 | 44-21 | 62 |
| 5 ბორჯომი | 30 | 19 | 2 | 9 | 50-25 | 59 |
| 6 დინამო (ბთ) | 30 | 17 | 7 | 6 | 41-20 | 58 |
| 7 ამერი | 30 | 15 | 4 | 11 | 32-25 | 49 |
| 8 ლოკომოტივი | 30 | 10 | 5 | 15 | 38-47 | 35 |
| 9 კახეთი | 30 | 9 | 5 | 16 | 32-46 | 32 |
| 10 დილა | 30 | 9 | 4 | 17 | 34-44 | 31 |
| 11 ტორპედო | 30 | 8 | 6 | 16 | 28-40 | 30 |
| 12 კოლხეთი | 30 | 8 | 6 | 16 | 23-36 | 30 |
| 13 თბილისი | 30 | 9 | 2 | 19 | 28-44 | 29 |
| 14 ცხინვალი | 30 | 8 | 4 | 18 | 30-58 | 28 |
| 15 დინამო (სხ) | 30 | 5 | 3 | 22 | 26-67 | 18 |
| 16 სპარტაკი | 30 | 3 | 7 | 20 | 11-54 | 16 |

# ნეში შეუცვლელია

დაიწყო NBA-ს ფლეიოფების მეორე რაუნდი. ფენიქსმა სერიის პირველ მატჩში უმასპინძლა ლოს ანჯელეს "კლიპერსს" და გაიმარჯვა - 130:123. მასპინძელთა შორის კვლავ საუკეთესო იყო სტივ ნეში. რეგულარული სეზონის MWP-მ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ეს ტიტული ზედიზედ მეორედ ტყუილად არ მოუგია. ნეშმა საკუთარ გუნდს 31 ქულა შესძინა, ამავე დროს სამჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და 12 შედეგიანი გადაცემაც მიითვალა. კალიფორნიელთა შორის კი საუკეთესო იყო ელტონ ბრენდი, მაგრამ მისმა 40 ქულამ "კლიპერსს" მაინც ვერ უშველა. ბრენდს მხოლოდ სემ კასელმა აუბა მხარი. მაგრამ ამ ორი კალათბურთელის გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა "ფენიქსის" დასამარცხებლად. რაც შეეხება ნიკოლოზ ცქიტიშვილს, მას ამჯერად არ უთამაშია.

ფლეიოფის კიდევ ერთ მატჩში "ნიუ ჯერსიმ" სტუმრად დაამარცხა "მაიამი" - 100:88 და სერიაშიც დაწინაურდა. აღსანიშნავია შაკილ ო`ნილის საკმაოდ სუსტი თამაში. ლიგის საუკეთესო ცენტრმა მხოლოდ 20 ქულა შესძინა თავის გუნდს. კიდევ ერთხელ იჩინა თავი შაკილის ყველაზე სუსტმა მხარემ - 12 საჯარიმო ტყორცნიდან მან მხოლოდ ექვსი გამოიყენა. "ნიუ ჯერსის" შემადგენლობაში კი ბრწყინვალედ ითამაშეს გუნდის მთავარმა ვარსკვლავებმა. ვინს კარტერის ანგარიშზე 27 ქულა, 8 მოხსნა, 6 შედეგიანი გადაცემა და 4 ჩაჭრაა. დეისონ კიდმა კი 22 ქულით, 9 მოხსნითა და 7 შედეგიანი გადაცემით დაამთავრა მატჩი.



"ფინიქსმა" ნახევარფინალის პირველი თამაშიც მოიგო.

ეს, რაც შეეხება აღმოსავლეთ კონფერენციას. დასავლეთ კონფერენციაში კი ფლეიოფების მეორე რაუნდის პირველ მატჩებში "სან ანტონიომ" "დალასს" სძლია - 87:85, ხოლო "დეტროიტმა" შანსი არ დაუტოვა ლებრონ ჯეიმსის "კლივლენდს". მატჩი დეტროიტელთა გამარჯვებით - 113:86 დასრულდა.

### ლივერანის იები იზიდავს

"ლაციოს" ნახევარმცველმა ფაბიო ლივერანიმ უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება ფლორენციული "ფიორენტინას" ექიმებთან და უახლოეს მომავალში ამ კლუბის ფეხბურთელი გახდება. 30 წლის ფეხბურთელმა არ მოისურვა დედაქალაქურ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება და თავისი მომავალი "იებს" დაუკავშირა. ლივერანის არჩევანი იმითაც არის განპირობებული, რომ "ფიორენტინა" მომავალ სეზონში ალბათ ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს.

### 47 დაკავებული

ჰოლანდიის თასის ფინალური მატჩის შემდეგ, რომელშიც "აიაქსმა" ანგარიშით 2:1 დაამარცხა პსვ, ჰოლანდიელმა სამართალდამცავებმა 47 ადამიანი დააკავეს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ფანებმა ქუჩაში ჩხუბი დაიწყეს. პოლიცია შეისწავლის ამ ჩხუბის ვიდეოჩანაწერს და ამის შემდეგ არეულობის ორგანიზატორებს დასჯის.

### "მანჩესტერიდან" - "ევერტონში"

"მანჩესტერ იუნაიტედის" ამერიკელი მეკარე ტიმ ჰოვარდი მომავალ სეზონს "ევერტონში" გაატარებს. ჰოვარდი იჯარით ითამაშებს მერსისაიდულ კლუბში. აღსანიშნავია, რომ ტიმმა მანკუნიანური გუნდის შემადგენლობაში მას შემდეგ დაკარგა ადგილი, რაც "ოლდ ტრაფორდზე" სათამაშოდ ედვინ ვან დერ სარი მიიწვიეს. მანამდე კი ჰოვარდი, ფაქტობრივად, "მანჩესტერის" ძირითადი მეკარე იყო.

### კალუ "არისტოკრატი" გახდება

ლონდონის "ჩელსის" მესვეურებმა, ფაქტობრივად, უკვე გაფორმეს კონტრაქტი როტერდამის "ფეიენოორდის" ფორვარდ სოლომონ კალუსთან. გუშინ პიტერ კენიონმა ხანგრძლივი მოლაპარაკება გამართა ფეხბურთელთან და უახლოეს დღეებში ალბათ კონტრაქტიც გაფორმდება. შეგახსენებთ, რომ როტერდამულმა კლუბმა კალუ გასულ ზაფხულს შეიძინა პორტუგალიური "ბენფიკასგან".

### ნადირობა შიმბონდაზე

"უიგანის" მცველ პასკალ შიმბონდაზე ნამდვილი ნადირობა გაიმართა. ამ ფეხბურთელის შეძენას ერთდროულად ლამობს სამი ბრიტანული კლუბი - "ტოტენჰემი", "ლივერპული" და "მანჩესტერი".

ფეხბურთელის აგენტის განცხადებით კი, მას ორი იტალიური გრანდიც დაუკავშირდა, კერძოდ, "იუვენტუსი" და "მილანი". ამ ეტაპზე "უიგანმა" მცველი 6 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეაფასა, თუმცა, თუ ინტერესი მართლაც ამდენად დიდია, სავარაუდოდ, თანხა გაიზრდება.

### სისე დარწმუნებულია

"ლივერპულის" ფორვარდი ჯიბრილ სისე დარწმუნებულია, რომ რეიმონ დომენეკი მას აუცილებლად წაიყვანს მსოფლიო ჩემპიონატზე. "ნერვიულობის მიზეზი არა მაქვს. მართალია, "ლივერპულის" შემადგენლობაში მხოლოდ 14 მატჩი გავმართე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად გავემგზავრები", - განუცხადა სისემ გაზეთ "ეკიპის" ჟურნალისტს.

### უკრაინა ბოლოა

მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე 32 გუნდს შორის უკრაინის ნაკრები ყველაზე გვიან ჩავა გერმანიაში. სავარაუდოდ, ოლეგ ბლოხინი მხოლოდ მუნდიალის გახსნის დღეს - 9 ივნისს ჩაიყვანს თავის გუნდს. გუნდების უმეტესობა 5 ივნისს ეწვევა გერმანიას. ყველაზე პირველი კი ტოგოს ნაკრები იქნება, რომელიც სამუნდიალო მზადებას გერმანიაში გაივლის და 15 მაისისთვის გეგმავს იქ ჩასვლას.

### რიბერი "მარსელში" დარჩება

"მარსელის" ახალგაზრდა ნახევარმცველი ფრენკ რიბერი მომავალ სეზონსაც ამ გუნდში გაატარებს. კლუბის ხელმძღვანელებმა უარით გაისტუმრეს "ლიონი", რომელიც რიბერის ყიდვით იყო დაინტერესებული.

"ფრენკს ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს და მის გაყიდვას არ ვაპირებთ", - განაცხადა "მარსელის" სპორტულმა დირექტორმა ჟოზე ანიგომ.

### კიდევ ერთი კანდიდატი

მადრიდის "რეალის" პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვა 50 წლის ბიზნესმენმა ფრანცისკო ბაროსომ. იგი პრეზიდენტობის მეცხრე კანდიდატია. ბაროსომ უკანასკნელ მომენტში წარადგინა საკუთარი კანდიდატურა. ეს მოხდა ვადის ამოწურვამდე რამდენიმე საათით ადრე.

### ნაკატას არჩევანი

"ბოლტონის" იაპონელი ნახევარმცველი ჰიდეტოში ნაკატა არჩევანის წინაშე დადგა. სულ რამდენიმე დღის წინ იგი გუნდის დატოვებას აპირებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ "ბოლტონმა" კონტრაქტი არ გაუგრძელა ჯეი ჯეი ოკოჩას, შესაძლოა, იაპონელი დარჩეს კიდეც გუნდში. არადა, ნაკატას უკვე ეპატიჟებოდა "ჩარლტონი", რომელიც ფეხბურთელში 2 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიდა. გუშინ კი "ბოლტონის" მესვეურებმა ნაკატას დარჩენა შესთავაზეს. ახლა თავად იაპონელმა უნდა გადაწყვიტოს სად ითამაშებს მომავალ სეზონში.

### ნაკრებში გამოძახება აღნიშნა

"ჩელსის" მცველი უეინ ბრიჯი, რომელიც ერიქსონმა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში დაასახელა, გუშინ საღამოს ერთ-ერთ ღამის კლუბს ეწვია და იქ იჩხუბა.

ინგლისური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბრიჯი გატეხილი წარბით დაბრუნდა სახლში. ინციდენტის შემდეგ სამართალდამცავებმა სამი ადამიანი დააკავეს.

### NBA ცვლილებების მოლოდინში

NBA-ს კომისიონერი დევიდ სტერნი აცხადებს, რომ მომავალში შესაძლოა შეიცვალოს ფლეიოფების ფორმატი. ამ სეზონში ფლეიოფების მეორე რაუნდში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ "დალასი" და "სან ანტონიო". ამ გუნდებმა კი რეგულარულ სეზონში საკუთარ კონფერენციებში ყველაზე მეტი ქულა დაგროვეს. ფლეიოფების ნაადრევ ეტაპზე მათი შეხვედრა სატელევიზიო ტრანსლაციების თვალსაზრისით მომგებიანი არ არის.

## რინგზე ჩხუბი არ შეიძლება

ორშაბათს ნევადის შტატის ათლეტთა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება 9 აპრილს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.

საქმე ისაა, რომ 8 აპრლის IBF-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ზაბ ჯუდასა და ფლოიდ მეივეზერს შორის მეათე რაუნდში რინგზე კრივის ნაცვლად ჩხუბი დაიწყო, რომელშიც მოკრივეთა სეკუნდანტებიც ჩაერივნენ. ნევადის ათლეტთა კომისიამ საკმაოდ მკაცრი სასჯელი გამოუტანა ამ ჩხუბის მონაწილეებს.

ფლოიდ მეივეზერის ბიძა და მწვრთნელი როჯერი 200 ათასი დოლარით დააჯარიმეს, გარდა ამისა, ერთი წლით ჩამოართვეს სეკუნდანტის ლიცენზია. ჯუდა 250 ათასი დოლარით დაჯარიმდა და ერთი წლით ჩამოერთვა მოკრივის ლიცენზია. მისი მწვრთნელი ჰოელ ჯუდა ასევე ერთი წლით არის დისკვალიფიცირებული. მას 100 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს.

## დე ლა ჰოია დაშავდა

ოსკარ დე ლა ჰოიამ რიკარდო მაიორგასთან ტიტულისთვის ბრძოლაში ხელი იტკინა. მართალია, ლეგენდარულმა მოკრივემ მეტოქე დაამარცხა, მაგრამ ახლა უკვე დასვენება მოუწევს. ექიმების თქმით, დე ლა ჰოიას ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ოსკარმა ამაზე უარი განაცხადა და ისე იმკურნალებს. ჯერჯერობით უცნობია, რა გართულება შეიძლება მოჰყვეს ამ ტრავმას.

## იაგრს ოპერაცია გაუკეთეს

"რეინჯერსის" ჩეხ ჰოკეისტს იარომირ იაგრს გუშინ მხრის ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების განცხადებით, სარეაბილიტაციო პერიოდი ერთ კვირაში დაიწყება. იაგრი თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში ვერ შეძლებს ვარჯიშს, თუმცა NHL-ის რეგულარული სეზონის დაწყებისთვის უკვე მზად იქნება.

## პოლი და უოლასი საუკეთესოები არიან

რამდენიმე დღის წინ NBA-ს რეგულარული სეზონის საუკეთესო კალათბურთელად "ფენიქსის" ლიდერი სტივ ნეში დაასახელეს. ასევე გაირკვა ლიგის საუკეთესო ახალბედისა და მცველის ვინაობაც. საუკეთესო ახალბედის ტიტული "ნიუ ორლეანის" შემტევმა მცველმა კერის პოლმა დაისაკუთარა, საუკთესო მცველად კი დეტროიტელი ბენ უოლასი დაასახელეს.

## ალონსო საშინაო რევანშისთვის ემზადება

ფორმულა 1-ის უკანასკნელი ეტაპი გერმანიაში გაიმართა და მიხაელ შუმახერის გამარჯვებით დასრულდა. მომდევნო ეტაპს კი ფერანანდო ალონსოს მშვობლიური ესპანეთი უმასპინძლებს, სადაც გასული წლის მსოფლიო ჩემპიონი რევანშის აღებას გეგმავს.

"ბარსელონაში ყოველთვის კარგად გამოვდივართ. საერთოდ, ეს ერთ-ერთი იმ ეტაპთაგანია, რომლის მოგებაც ყოველთვის მინდა. ვფიქრობ, ამჯერად გამარჯვების კარგი შანსი მექნება", - განაცხადა ფერნანდო ალონსომ.

## წასვლას არ ვაპირებ

მას შემდეგ, რაც მიხაელ შუმახერმა ამ სეზონში მეორე რბოლა მოიგო, ფორმულა 1-ის სამყაროში უკვე იმაზე საუბრობენ, რომ თუ ამ სეზონში მიხაელმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, საერთოდ დაასრულებს კარიერას. მაგალითად, მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი ფერნანდო ალონსო აცხადებს: "თუ შუმახერი მერვედ გახდება მსოფლიო ჩემპიონი, ალბათ კარიერას დაასრულებს. ყოველ შეთხვევაში, მის ადგილზე მე ასე მოვიქცეოდი. დიდი ჩემპიონები სპორტიდან გამარჯვებულები უნდა წავიდნენ." განსხვავებული აზრი აქვს თავად შუმახერს: "არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამ სეზონში ჩემპიონის ტიტულის მოგებას, მაგრამ ფორმულა 1-ში ჩემი დარჩენის საკითხი ამაზე ნამდვილად არ არის დამოკიდებული. ვგრძნობ, რომ მაღალ დონეზე კვლავაც შემიძლია რბოლა და რატომ უნდა წავიდე".

## შერიდანი ტესტებს გამოტოვებს

ინგლისის მორაგბეთა ნაკრების მორკინალი ანდრიუ შერიდანი გამოტოვებს თავისი გუნდის ორ ტესტ-მატჩს, რომლებიც ინგლისელებმა ავსტრალიაში უნდა გამართონ. მიზეზი მუხლის ტრავმაა, რომელიც შერიდანმა ერთ-ერთ ბოლო მატჩში მიიღო. ამავე დროს ტრავმა არც ისე სერიოზულია - შერიდანს ოპერაცია არ დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მორაგბე ექვსი ერის დაწყებისთვის უკვე მწყობრში იქნება.

## მოყვარულებიდან პროფესიონალებში

იაპონელმა მოციგურავემ შიზუკა არაკავამ, რომელმაც ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე ოლიმპიური ოქრო მოიპოვა, სამოყვარული სპორტში გამოსვლა დაამთვარა და პროფესიონალებში გადადის. შეგასხენებთ, რომ 24 წლის იაპონელმა სპორტსმენმა ტურინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ფაქტობრივად უარი თქვა სამოყვარულო სპორტზე და მარტში მსოფლიო ჩემპიონატიც გამოტოვა.

## სილვესტრი დიარაში იცვლება

ბრიტანულ გაზეთ "ტაიმსის" ინფორმაციით, "მანჩესტერ იუნაიტედს" სურს შეიძინოს "ლიონის" ნახევარმცველი მაჰამადუ დიარა. მანკუნიანელები ფრანგულ კლუბს გაცვლას სთავაზობენ. სერ ალექს ფერგიუსონი მზადაა "ლიონში" გაუშვას ფრანგი მცველი მიქაელ სილვესტრი და, თუ საჭირო გახდა, "ლიონს" ფულიც დაუმატოს. დიარას "მანჩესტერში" როი კინის შემცვლელად მოიაზრებენ.

## სეიტარიდისი 5 მილიონად

მოსკოვის "დინამოს" ხელმძღვანელობა ხელს არ შეუშლის ბერძენ მცველ იურკას სეიტარიდისის ტრანსფერს, რომელიც რუსულმა გუნდმა გასული სეზონის შუაში შეიძინა, მაგრამ ფეხბურთელი ვერაფრით ვერ მოერგო გუნდს.

ამ ეტაპზე სეიტარიდისის შეძენით სერიოზულად არის დაინტერესებული მადრიდის "ატლეტიკო". მოსკოვის "დინამო" მზადაა გაუშვას ბერძენი ფეხბურთელი მადრიდულ კლუბში 5 მილიონი ევროს სანაცვლოდ. თავად "დინამომ" სეიტარიდისში 10 მილიონი ევრო გადაიხადა.

# შევჩენკო "მილანს" დატოვებს

ანდრეი შევჩენკო მსოფლიო სპორტული მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. მიზეზი მარტივია: უკრაინელმა გოლეადორმა შესაძლოა "მილანი" დატოვოს.

7 მაისს ანდრეი შეხვდა "მილანის" მფლობელს სილვიო ბერლუსკონის. იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საუბარი ერთადერთ თემას შეეხო - ანდრეი შევჩენკოს შესაძლო ტრანსფერს. უკრაინელს სურდა, რომ ბერლუსკონისგან მიეღო თანხმობა ლონდონის "ჩელსიში" გადასვლაზე.

"პარმასთან" გამართული მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ "მილანის" ფეხბურთელები ვახშამზე მიიწვია, თუმცა ანდრეიმ მწვრთნელის შეთავაზებაზე უარი განაცხადა და პირდაპირ ბერლუსკონის ეწვია.

მოგეხსენებათ, ანჩელოტისა და შევჩენკოს შორის უთანხმოებაა. ურთიერთობა "ლივორნოსთან" მატჩის შემდეგ გაფუჭდა.

ამავე დროს ცნობილია, რომ ამ კვირაში მილანში ჩავა რომან აბრამოვიჩი და ბერლუსკონის შეხვდება. როგორც ამბობენ, რუსი მილიარდერი იტალიელ მაგნატს ანდრეი შევჩენკოში 50 მილიონ ევროს შესთავაზებს. შესაძლოა, თანხა ოდნავ ნაკლები იყოს. მაშინ "მილანი" გალასსა და ერნან კრესპოსაც მიიღებს.



ანდრეი შევჩენკო "მილანს" ემშვიდობება.

შევჩენკოს წასვლასთან ერთად "მილანში" ალბათ საკადრო რევოლუცია დაიწყება. უკრაინელის გაყიდვით მიღებული თანხით იტალიური გრანდი ან ტიერი ანრის ან კიდევ სამუელ ეტოოს იყიდის. აგრეთვე გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ "მილანს" ფერნანდო ტორესის შეძენაც უნდა.

შევჩენკოს გაყიდვასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია ჯერჯერობით მხოლოდ ჭორის დონეზეა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო ხანს "მილანი" სუპერფორვარდის შეძენით არის დაინტერესებული, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანდრეი მართლა დატოვებს "მილანს".

გასათვალისწინებელია ერთი საინტერესო დეტალიც: გუნდიდან შევჩენკოს წასვლას ძირითადად ანჩელოტისთან მომხდარ კონფლიქტს უკავშირებენ. გამორიცხული არაა, რომ მილანური კლუბის ხელმძღვანელებმა შევჩენკოს ნაცვლად ანჩელოტი გაუშვან გუნდიდან. მით უმეტეს, რომ, გუშინ ესპანურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კარლო ანჩელოტი "რეალის" მომავალ მწვრთნელად მოიაზრება.

მოკლედ, შევჩენკოს ტრანსფერის საკითხი ალბათ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე გადაწყდება. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ ანდრეის ერთადერთი რეალური მყიდველი ლონდონის "ჩელსია", ჟოზე მოურინიოს კი არაერთხელ უთქვამს, რომ ახალი ფეხბურთელების შეძენა მუნდიალის დაწყებამდე უნდა დასრულდეს.

ამავდროულად ცნობილი გახდა, რომ ანდრეის მეუღლე ამერკელი მოდელი კრისტენ პაზიკი აქტიურად ცდილობს ანდრეის გადაყვანას ლონდონში. კრისტენი რომან აბრამოვიჩის მეუღლის ირინას ახლო მეგობარია, თავად ანდრეი კი რუს მილიარდერთან მეგობრობს.

# რაული: "მოედანზე სათამაშოდ კი არა, მხოლოდ მოსაგებად გამოვდივარ"

*ცოტა ხნის წინ, საკმაოდ ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ, "სანტიაგო ბერნაბეუს" რაული დაუბრუნდა. მადრიდელთა კერპის ზამთარში მიღებულმა ტრავმამ ესპანურ ინჩადას ერთხანს იმედიც კი გადაუწურა, რომ თავიანთ სათაყვანებელ მოთამაშეს მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ იხილავდნენ. ეს კი, ბუნებრივია, უდიდესი დანაკლისი იქნებოდა ესპანეთის ნაკრებისთვის. საბედნიეროდ, რაული გამოჯანმრთელდა და ახლა გაათმაგებული ძალით ემზადება გერმანიაში სათამაშოდ.*

**- წლევანდელი სეზონი თქვენთვის განსაკუთრებით ცუდი გამოდგა. რით ახსნით ამას?**

- სამწუხაროდ, სერიოზული ტრავმა მივიღე და დიდი შანსი იყო, მთელი სეზონი გამომეტოვებინა. მაგრამ, საბედნიეროდ, ტრავმას დროულად დავაღწიე თავი და მსოფლიო ჩემპიონატისთვის ფორმაში ვიქნები. წლევანდელ მუნდიალს ჩემთვის დიდი დატვირთვა აქვს, რადგან შეიძლება ის უკანასკნელი გამოდგეს ჩემს კარიერაში.

**- ჩემპიონატი დღეს რომ იწყებოდეს, ლუის არაგონესი ალბათ არ გამოგიძახებდათ...**

- ვერც ვერავინ გაამტყუნებდა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩემპიონატამდე კიდევ არის საკმარისი დრო და ამ ხნის განმავლობაში ბევრს ვივარჯიშებ, რათა პირვანდელ ფორმას დავბრუნდე.

**- როგორ ცხოვრობდით ფეხბურთის გარეშე?**

- პირველი რამდენიმე კვირა ტანჯვა-წამებაში გავატარე. განსაკუთრებით მძიმე იყო პერიოდი, როცა ყავარჯნებით დავდიოდი. საკუთარი თავი ყველაზე გამოუსადეგარი ადამიანი მეგონა, რადგან სახლში, ბავშვებსაც კი ვერ ვეთამაშებოდი. თითქმის მთელი დღე უმოძრაოდ ვიწექი და ტელევიზორს ვუყურებდი. სამი კვირის მერე, როგორც იქნა, ცოტა ამოვისუნთქე, დღითიდღე ნორმალურ ცხოვრებას ვუბრუნდებოდი.

**- რას გრძნობდით, როცა "რეალის" თამაშს სკამიდან უყურებდით?**

- ნერვები მეშლებოდა.

**- ისევ პირველ შეკითხვას დავუბრუნდეთ. წარუმატებელ სეზონში მარტო თქვენი ტრავმა კი არა, მთლიანად "რეალის" წარუმატებლობა ვიგულისხმე.**

- ჩვენ მართლაც ურთულესი პერიოდი გავიარეთ. უკვე სამი სეზონია, ვეღარაფერს ვიგებთ, რაც ძალიან დიდი დანაკლისია ისეთი დონის კლუბისთვის, როგორიც "რეალია". ბევრს ეს ხელმძღვანელობაში არსებული კრიზისის შედეგი ჰგონია. ასეთი სიტუაცია ჩვენს გუნდში მართლაც არ ყოფილა, მაგრამ, მერწმუნეთ, ყველაფერი არც ისე ცუდადაა, როგორც ჩანს. ჩემპიონატში მეორე ადგილზე ვართ, ასე რომ, ავტომატურად ვითამაშებთ ჩემპიონთა ლიგაზე. წინა ორ სეზონში კი მესამე ადგილზე გავდიოდით. საერთოდ, ხალხი მარტო იმას ხედავს, რისი დანახვაც უნდა. გეთანხმებით, ბევრი მატჩი მართლაც ცუდად ჩავატარეთ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გუნდში რეორგანიზაციის პერიოდია და ასეთ დროს უმაღლეს დონეზე თამაში ძნელია.



რაული მოედანს დაუბრუნდა.

**- ბევრის აზრით, "რეალის" დაშლა გუნდში ვარსკვლავების მოზღვავებას მოჰყვა...**

- შეიძლება, არ ვიცი. მაგრამ საკადრო ცვლილებები მე არ მეხება. ამისთვის სპორტული დირექტორი გვყავს.

**- გყავთ კი? ამბობენ, ბენიტო ფლორო, არიგო საკი, ემილიო ბუტრაგენიო წასვლას აპირებენ. ვინ დაიკავებს მათ პოსტს?**

- იცით, რას გეტყვით? მე ფეხბურთელი ვარ და ჩემი საქმე ფეხბურთის კარგად თამაშია. ასე რომ, სხვა საკითხებზე ფიქრისთვის დრო აღარ მრჩება.

**- არ გენატრებათ ის დრო, როცა სანჩესთან, იეროსთან, რედონდოსთან, მორიენტესთან ერთად ვარჯიშობდით?**

- ბევრ ყოფილ თანაგუნდელთან ახლაც ვმეგობრობ, ხშირად ვხვდები კიდეც მათ. მაგრამ ცხოვრება გრძელდება და წარსულზე ტირილი უაზრობაა.

**- ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ თავად ცდილობთ მოთამაშეებში გუნდური სულის გაღვივებას. ამის ნათელი მაგალითი რონალდოს საჯარო გაკრიტიკება იყო.**

- მე მხოლოდ ის აღვნიშნე, რომ "არსენალთან" მატჩის წინ ნათქვამმა რონალდოს სიტყვებმა, შანსი არცთუ დიდი გვაქვსო, კიდევ უფრო დააჩქარა ლიგიდან ჩვენი გავარდნა. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, რონალდო ბრწყინვალე ფეხბურთელია. უბრალოდ, იმ მომენტში ნერვებმა უმტყუნა.

**- ისიც უნდა ითქვას, რომ რონალდოს მოსვლის შემდეგ გოლების გატანას საგრძნობლად მოუკელით...**

- სამწუხაროდ, მართლაც ასეა. მაგრამ მე სხვა პოზიციაზეც შემიძლია სარგებლობის მოტანა. უკვე რამდენიმე სეზონია უფრო ცენტრში ვთამაშობ.

**- მაგრამ ამბობენ, რომ ძირითადში ადგილი გარანტირებული გაქვთ.**

- ტყუილად არავინ არავინ არაფერს გაჩუქებს. თუ ძირითადში ვთამაშობ, ესე იგი, დავიმსახურე.

**- რა უნდა შეიცვალოს "რეალში", რომ გუნდმა ლიდერის პოზიცია დაიბრუნოს?**

- ვფიქრობ, პირველ რიგში, საკლუბო პოლიტიკა უნდა შეიცვალოს. გუნდი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს და არა ისე, როგორც ზემდგომ ორგანოებში უნდათ.

**- "ბარსელონაზე" რას იტყვით?**

- "ბარსა" ფანტასტიკურ ფეხბურთს აჩვენებს. ეს სრული ჭეშმარიტებაა და ამის დამალვა უაზრობა იქნებოდა. იყო დრო, "რეალის" ჰეგემონია მარტო ესპანეთში კი არა, ევროპაშიც დაუმხობელი იყო. ახლა "ბარსაა" ლიდერი, რომელსაც ძალიან ძლიერი და მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს. ვფიქრობ, ისინი დამსახურებულად არიან იმ პოზიციაზე, სადაც ახლა იმყოფებიან.

**- რას გვპირდება ესპანეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე? ბოლოს და ბოლოს, წელს მაინც თუ გადალახავთ თქვენთვის საბედისწერო მეოთხედფინალს?**

- წინასწარ ვერაფერს გეტყვით. მაგრამ მთავარია, საკუთარი თავის კონცენტრირება შევძლოთ და არავის არაფერი დავუთმოთ.

**- თქვენს ჯგუფზე რას იტყვით?**

- ვფიქრობ, ჯგუფიდან გასვლას მოვახერხებთ. ამ ჯგუფს ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს - ესპანეთი და უკრაინა, მაგრამ ეს საფეხბურთო მოედანზეც უნდა დავამტკიცოთ. რაც შეეხება საუდის არაბეთს, 1994 წელს მათ შეძლეს ჯგუფიდან გასვლა, ტუნისს კი საკმაოდ კარგი და გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს.

**- რატომ ხდება ისე, რომ ესპანეთი, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შიდა ჩემპიონატი აქვს, მსოფლიო ჩემპიონატზე ბევრს ვერაფერს ახერხებს?**

- მიზეზი ჩვენს მენტალიტეტშია. ესპანეთში შიდა ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა გაცილებით პოპულარულია, ვიდრე ის ტურნირები, სადაც ნაკრები გამოდის. საკლუბო ფეხბურთი უფრო მნიშვნელოვანია, რადგან მას მეტი მოგება მოაქვს. რა თქმა უნდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ გუნდებში უცხოელი ფეხბურთელები გამოდიან, რაც თავისთავად ნაკრების კრიზისს განაპირობებს.

**- რაში ხედავთ გამოსავალს?**

- სიტუაციის გამოსწორება არცთუ ისე იოლია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ პრობლემა მენტალიტეტშია. ძალიან მშურს იტალიელების, არგენტინელების, ბრაზილიელების. ამ ქვეყნის ქუჩაში ხშირად შეხვდებით ქვეყნის ეროვნული გუნდის მაისურებში ჩაცმულ ადამიანებს. ჩვენთან კი მხოლოდ საკლუბო ეკიპირებებს ატარებენ, ეროვნული გუნდის ფერებს აქ იშვიათად წააწყდებით.

**- "ბოსმანის საქმის" მერე ბევრი ესპანელი ფეხბურთელი საზღვარგარეთ აღმოჩნდა.**

- ეს ერთგვარად ხელს უწყობს ჩვენი მოთამაშეების დონის ამაღლებას. ესპანელებს მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ახლა უფრო მეტ პატივს გვცემენ. განსაკუთრებით ინგლისში. ჩემი აზრით, დღეს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ, ვიდრე ადრე ვიყავით. 1978 წლიდან მოყოლებული, მუდმივად გამოვდივართ მსოფლიო ჩემპიონატზე, რაც შემთხვევით არ ხდება.

**- ლუის არაგონესზე რა აზრის ხართ?**

- ლუისი პროფესიონალია, მაღალი დონის ბევრ კლუბში უმუშავია, აქვს დიდი გამოცდილება და კარგად შეუძლია გუნდის მოტივირება.

**- მაინც როდის გახდებით მსოფლიო ჩემპიონები?**

- ყოველ წელიწადს ამ მიზნით ვიცავთ ჩვენი ქვეყნის ღირსებას ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატზე. პირადად მე მოედანზე სათამაშოდ კი არა, მარტო მოსაგებად გამოვდივარ. მხოლოდ ამის წყალობით მივაღწიე წარმატებებს კარიერაში, თუმცა, ჯერ ყველაფერი მაინც არ მომიგია.

**- წარმოვიდგინოთ, რომ მეოთხედფინალში ბრაზილიას ხვდებით...**

- ოოო, ცოტა ძნელი წარმოსადგენია. ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონია, მაგრამ 90 წუთის განმავლობაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, იმის ფიქრი, რომ ბრაზილია გადაულახავი მეტოქეა, უაზრობა მგონია. თუ ვინმე ასე ფიქრობს, მაშინ შინ დარჩენა ჯობს.

## ინფოთეკა

### რეკლამის გარეშე

თანამედროვე ფეხბურთში თითქმის ყველა გუნდის მაისურზე სხვადასხვა ფირმების სარეკლამო ლოგოებია გამოსახული. ამ მხრივ გამონაკლისია ესპანური "ბარსელონა".

გუშინ "ბარსას" ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ტრადიცია არ დაირღვევა და "ბარსას" მაისურზე რეკლამა ისევ არ იქნება. არადა, გრანდები ასეთი რეკლამით სოლიდურ შემოსავალს იღებენ.

აღსანიშნავია, რომ "ბარსელონას" სახელოვანი ფირმებიდან ჰქონდა შეთავაზებები, მაგრამ ლაპორტამ ტრადიცია შეინარჩუნა და სოლიდურ შემოსავალზე უარი განაცხადა.

### ზიდანი "რეალში" დარჩება

გასულ უქმეებზე ზინედინ ზიდანმა თავისი უკანასკნელი მატჩი გამართა "სანტიაგო ბერნაბეუზე". ცნობილია, რომ ბოლო ათწლეულის საუკეთესო ფეხბურთელი მუნდიალის შემდეგ კარიერას დაასრულებს. გუშინ კი ზიდანის მომავალი საქმიანობის დეტალებიც გაირკვა.

ფრანგი ვარსკვლავი და ესპანური გრანდი შეთანხმდნენ, რომ ზიდანი "რეალში" დარჩება და "სამეფო კლუბის" ბავშვთა გუნდს გაწვრთნის. ზიზუს სწორედ ეს სურდა.

### "ბოავიშტა" მწვრთნელის გარეშე დარჩა

პორტუგალიურ კლუბ "ბოავიშტას" ხელმძღვანელებმა თანამდებობიდან დაითხოვეს გუნდის მთავარი მწვრთნელი კარლუშ ბრიტუ, რომელმაც ვერ უზრუნველყო "ბოავიშტას" გასვლა ევროთასებზე.

კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყდა, ასე რომ, "ბოვაიშტას" მწვრთნელისთვის საკომპენსაციო თანხა გადასახდელი არ ექნება.

### კაპაროსი "დეპორტივოდან" მიდის

ლაკორუნიული "დეპორტივოს" მთავარი მწვრთნელი ხოაკინ კაპაროსი მოლაპარაკებას მართავს კლუბის ხელმძღვანელებთან, რათა ამჟამად არსებული კონტრაქტი გაწყვიტოს. როგორც ესპანური მედია ირწმუნება კაპაროსს უფრო საინტერესო სამუშაოს სთავაზობენ. გალისიელთა თავკაცს "ოსასუნასა" და მადრიდის "ატლეტიკოში" ეპატიჟებიან. აღსანიშნაივა, რომ "ოსასუნა" მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს. ალბათ ამან მოხიბლა კაპაროსი.

### ბერბატოვის შანსი

ინგლისური "ტოტენჰემი" ბულგარელი ფორვარდის დიმიტარ ბერბატოვის შეძენას გეგმავს. ბოლო ხანს გართულდა ურთიერთობა "დეზების" ხელმძღვანელებსა და ეგვიპტელ თავდამსხმელ მიდოს შორის, რომელიც, სავარაუდოდ, ზაფხულში დატოვებს ლონდონურ კლუბს. ბერბატოვი მარტინ იოლს სწორედ მიდოს შემცვლელად წარმოუდგენია.

ინგლისელებმა უკვე მიმართეს ლევერკუზენის "ბაიერის" ხელმძღვანელებს და ბულგარელ ფორვარდში 12 მილიონი ევრო შესთავაზეს.

### მესის იმედი

აგერ უკვე ორი თვეა, რაც ლიო მესი ვერ თამაშობს. არგენტინელმა ფეხბურთელმა "ჩელსისთან" მატჩში მიიღო სერიოზული ტრავმა და მას შემდეგ მინდორზე არ გამოჩენილა. ამ ტრავმის გამო ახალგაზრდა ვარსკვლავი ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც გამოტოვებს. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, მესი იმედოვნებს, რომ მუნდიალის დაწყებისთვის უკვე სრულ საბრძოლო ფორმაში იქნება.

"ძალიან მინდა თამაში, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. შესაძლოა მინდორზე გამოსასვლელად უკვე მზად ვარ, მაგრამ ექიმები რატომღაც მიკრძალავენ. ალბათ ჩემპიონთა ლიგის ფინალში არ მათამაშებენ, თუმცა მუნდიალზე აუცილებლად გავემგზავრები და, იმედია, არგენტინის ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც მოვხვდები," - აცხადებს მესი.